K 67
K 1a

Bâton

სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება

და

სოციალური რევოლიუცია.

ფასი ერთი აბაზი.

თ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „ურჯმა“, მიხეილის პრ., № 65,
1906

3.60
335.8
Bâton
ქ.ვ. 2015-3333
15.
67/10

სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება

სოციალური რევოლიუცია.

თ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „ბრომა", მიხეილის
1906

Академия Наук

სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლიუცია.

I

მას შემდეგ, რაც ინტერნაციონალი დაარსდა და მუშათა კლასი ყოველ-დღიური გამოცდილებითა და ბრძოლით თან და თან იკვლევს თავის განთავისუფლების საშუალებას, არც ერთ კითხვას არ გამოუწვევია იმდენი მსჯელობა მუშათა შორის და სოციალისტთა კონგრესებზედ, იმდენი დავა და წინააღმდეგობა სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიათა შორის, როგორც კითხვას სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდების შესახებ.(La Conquête des pouvoirs publics).

ეს სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება ერთად ერთ საშუალებად შეიქმნა საციალური ტრანსფორმაციისა სოციალისტურ-პოლიტიკურ პარტიათათვის და მალე თავისი ნაყოფიც გამოიღო,—იგი გადიქცა სოციალ-დემოკრატების და სხვა „პოლიტიკურ პარტიათა“ კანონიერი მოქმედების წყაროდ, მათი ლეგალიზმის დასაძტკიცებელ და გასამართლებელ პრინციპად.

და ეხლა როდესაც მთელი სოციალ-დემოკრატია და სხვა სოციალისტურ-პოლიტიკური პარტიები, რომელთაც სრულიად დაჰკარგეს ყოველივე რევოლიუციონური სული, რომელნიც სრულიად ჩაიფლენ კანონიერების და მშვიდობიანობის მორევში,—ეხლა მეტადრე, როდესაც ეს პარტიები მთელი დედამიწის ზურგზედ აწმუნებენ მუშებს, რომ მხოლოდ ისინი არიან

„ერთად-ერთი პარტიები პროლეტარიატის დამცველი“, როდესაც საჯაროდ გაიძახიან რომ თოფითა და იარაღით ბრძოლა ბურჟუაზიული წესებია რევოლიუციისა და მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენით, მხოლოდ საყოველთაო არჩევნებით არის შესაძლებელი ამ პარტიათა მიერ მთავრობის ხელში ჩაგდება და შემდეგ საპარლამენტო უმეტესობითა და კანონმდებლობით საზოგადოების გარდაქმნა, —ეხლა მიგვაჩნია ჩვენ საჭიროდ, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც პირველად შედის ხალხში სოციალიზმისა და რევოლიუციის ცნებანი, მივუთითოთ ხალხს ნამდვილ საშუალებებზედ და დავგმოთ ღირსეულად ევროპიდან რუსეთში და იქიდან ჩვენში შემოტანილი ნაყოფი ევროპის გადაღჩუებული დემოკრატიის აზროვნებისა, ევროპის აზრის სილაჩრისა, რომელმაც შეიპყრო მთელი ეგრედ წოდებული პოლიტიკურნი პარტიანი.

მაგრამ. მიუხედავად ამისა, დღეს, საბედნიეროდ, დიდი პროტესტია ევროპის მუშათა კლასთა შორის ამ ლეგალური კრეტინიზმის წინააღმდეგ, დიადი ტენდენცია არსებობს ნამდვილი სოციალური რევოლიუციისაკენ. მის საშუალებათა შეგ-მუშავებაზედ ბევრი გონებრივი ენერგია დაუხარჯავს, ბევრი სისხლი დაუღვრია ევროპის მუშათა კლასებსა—და ჩვენც ვეცდებით,—გავარკვიოთ ეს ორი მიმდინარეობა სოციალიზმის განხორციელების საშუალებათა შემუშავებაში,—ლეგალიზმი, კანონიერი მოქმედება, სახელმწიფო უფლებათა ხელში ჩაგდება,—და სოციალური რევოლიუცია. ეს ორი ცნება არა თუ ერთი და იგივე არ არის, როგორც ამას ამბობენ პოლიტიკური პარტიები, არამედ პირდაპირ ჰრიკხავენ ერთმანეთს, პირდაპირი მოწინააღმდეგენი და მტერნი არიან ერთმანეთისა.

ამ პოლიტიკურ პარტიებს რომ ჰკითხოთ,—რათ ეძახიან ისინი თავს „პოლიტიკურ პარტიებად“—მაშინვე გიპასუხებენ: —მიტომ რომ ჩვენ პოლიტიკური ბრძოლა გვწამს; მიტომ რომ ყოველივე ბრძოლა ეკონომიური, ყოველივე ბრძოლა

კლასსთა შორის იმავე დროს პოლიტიკური ბრძოლაა! — კარგი და პატიოსანი, — ეტყვით თქვენ, — მაგრამ აქ კანონიერი მოქმედება, პარლამენტარიზმი რაღა შუაშია? — აქ კი ჩვენი პოლიტიკური პარტიის წევრი გაკვირვებით შემოგხედავსთ და მართლაც ეგონება, — გიჟი ხომ არ არის ჩემი მოსაუბრეო. — როგორ? სწორედ იმიტომა ვართ პოლიტიკური პარტია, რომ სახელმწიფოს საზღვრებში ვიბრძვით, ვსარგებლობთ იმ უფლებით, რომელიც გვაქვს დღევანდელ ბურჟუაზიულ პირობებში, და მივდივართ თან და თან სახელმწიფო უფლების მთლად ხელში ჩაგდებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისკენ, „სოციალური რევოლიუციის სახელით“. — ამგვარი იქმნება მათი პასუხი.

თანამედროვე მარქსისტი, მაგალითად, და განსაკუთრებით ბერშტეინის მიმდევარი, სრულიად ჩაიფლა კანონიერების უფსკრულში და საარჩევნო კენჭი ერთად ერთ იარაღად აღიარა პრაქტიულად, და ასე გასინჯეთ — თეორეტიულადაც; მრავალმა მათგანმა სოციალური რევოლუციის მოხდენისთვის. ერთი მათგანი. ავსტრიელი ს.-დ — ი ჰილფერდინგი, ფრანგებს რევოლიუციონერობასაც უკიჟინებს, და საფრანგეთის მუშათა კლასსის თეორიას რევოლიუციისას (რევოლიუციონურ საყოველთაო გაფიცვას, მაგალითად) გალლების ფრაზეოლოგიას ეძახის, და საფრანგეთის წესებს რევოლიუციისას — ბურჟუაზიულ წესებად სახავს. საზოგადოდ ამ ბოლო დროს სქელ-კანა გერმანელი ძლიერ თავხედობით ექცევა ფრანგებს და რევოლიუციასაც კი ასწავლის, მაგრამ მათ ამ შემთხვევაში სხვა არა ეთქმისთ რა, გარდა კრილოვის „ვირისა და ბულბულის არაკისა“... თვით ოპორტიუნისტმა ჟორესმა ძლიერი წიპურტი ჰკრა ცხვირში გერმანელ ს.-დემოკრატიას ამსტერდამის კონგერესსზედ; თუ კი ამისი გრძნობა შეეძლო მოუხეშავ გერმანელს, ძლიერ საგრძნობელი იყო ეს წიპურტი...

აგრეთე ბლანკისტი მუდამ გაიძახოდა, და ეხლაც გაიძა-

ხიან ნაშთები ბლანკიზმისა, რომ სახელმწიფოს ხელში ჩაგდება ერთად ერთის საშუალებაა სოციალური ტრანფორმაციისაო, მაგრამ ესენი უფრო რევოლიუციონური გზით აღწევენ ამ მიზანს, ვიდრე კანონიერითა, და ამით ინახავენ თავიანთ დიდებული მებრძოლი მოძღვრის ტრადიციას. დიქტატურა პროლეტარიატისა!—გაიძახიან ისინიც, როგორც ს.-დ—ები, იმ განსხვავებით, რომ ს.-დ—ების უმეტესი ნაწილი კანონიერი მოქმედებით მიისწრაფის ამ დიქტატურისაკენ, ბლანკისტები კი როგორც კანონიერით, მით უმეტეს რევოლიუციონური მოქმედებით.

არის აგრეთვე სხვა სკოლები სოციალიზმისა, რომლებიც კანონიერი და არა კანონიერი გზით მიილტვიან დიქტატურისაკენ, რომელნიც არ სცილდებიან სახელმწიფო დაწესებულებათა საზღვრებს და მათ ფარგალაში, **მათი საშუალებით** ჰგონიათ შესაძლებელი სოციალური ტრანსფორმაციის მოხდენა.

არის მაშასადამე ერთი განსაზღვრული საშუალება ბრძოლისა —სახელმწიფოს საშუალებით ბრძოლა,—ან არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა გაუმჯობესება, ან მათი ხელში ჩაგდება, ან და მათი დანგრევა რევოლიუციონური გზით და შემდეგ ისევ მსგავს დაწესებულეათა შექმნა თვით დიქტატორთა მიერ, რაითაც შეიძლება შემდეგ აგრეთვე მშიდობიანად გარდაქმნა საზოგადოებისა. კაუცკის აზრი: „სახელმწიფო„ უნდა იყოს ბერკეტი სოციალური რევოლიუციისაო“ (Agrarfrage)—ნათლად გვიხატავს ამ სოციალისტურ ჯგუფის რევოლიუციონურ საშუალებათა ფორმულას.

ცხადია, ყველა ზემოხსენებულ პარტიათა შეხედულება ბრძოლის საშუალებაზედ განისაზღვრება მათ მიერ სახელმწიფოს აღიარებით ისინი სახელმწიფოს არ უარყოფენ პრინციპიალურად, მათი იდეალია—სახელმწიფო ორგანიზაცია მომავალი სოციალისტური საზოგადოებისაც: ყველა უნდა გახდეს სახელმწიფო მოხელედო,—ხშირად გვსმენია ხოლმე ამ სკო-

ლათა წარმომადგენელთაგან, და ამიტომაც ეხლაც ეს სახელმწიფო ფარგალი დაუსახავთ მათ ერთად-ერთ სამოქმედო ასპარეზად. აქედამ ლოგიკურად გამომდინარეობს მათი კანონიერება, მათი უარ-ყოფა ძალ-დატანებითი რევოლიუციისა, კაუცკის, გედისა და ფერრის იკლიკანტური სოფიზმები რევოლიუციის განსაზღვრის დროს, მათი „პარლამენტარული კრეტინიზმი“ და სხვა. ამ ბოლოს დროს ბლან ქისტებმაც კი დაჰკარგეს თავიანთი რევოლიუციონური ტრადიცია, თუმცა ეს უფრო მათი სრული გადაშენებით აიხსნება.

და ყველა ამ ცნებათ კი არავითარი საერთო არა აქვსთ არც სოციალიზმთან, არც რევოლიუციასთან. ინტერნაციონალსაც არ ესმოდა პოლიტიკური ბრძოლა, როგორც საარჩევნო კენჭის ხმარება და კანონიერება. როდესაც ინტერნაციონალი ამბობდა, რომ ყოველივე ეკონომიური ბრძოლა არის იმავე დროს პოლიტიკური ბრძოლაო,—ამითი იგი პირდაპირ უჩვენებდა კაპიტალიზმისა და სახელმწიფოს განუყოფლობაზედ და ერთარსებობაზედ, ამითი იგი პირდაპირ ამბობდა, რომ ეკონომიური ბრძოლა (ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ) რომ გამარჯვებით დაგვირგვინდეს,—ამისათვის საჭიროა ბრძოლა პოლიტიკური, ე. ი. სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ყველა თავისი დაწესებულებებით მფარველობას უწევს კაპიტალიზმს, ბურჟუაზიასაო. ამიტომაც დააწერა მან თავის დროშაზედ: „მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა მიერ“. ეს დევიზი უბრალო ფრაზა არ არის, მასში შთაბეჭდილია მთელი დიადი აზრი სოციალური რევოლიუციისა, მთელი ფილოსოფია რევოლიუციისა და რევოლიუციონური ბრძოლისა.

„მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა მიერ“ ნიშნავს სრულიად გამოყოფას მუშათა კლასისას ბურჟუაზიის და სახელმწიფო დაწესებულებათაგან, სრულ უარ-ყოფას კლასსთა თანამშრომლობისას, სრულ უარ-ყოფას კანო-

ნიერებისასა და სახელმწიფო დაწესებულებებში მონაწილეობის მიღებისას. მუშათა კლასსი, შეკავშირებული როგორც ცალკე კლასსი წინააღმდეგ ბურჟუაზიისა და სახელმწიფოსი, —კლასსი, რომელსაც აქვს თვით-შეგნება, მომზადება, დასახული იდეალი და სამყოფი ენერგია ამ იდეალის განსახორციელებლად, —აი ის ელემენტი, რომელმაც უნდა განათავისუფლოს შრომა და მთელი კაცობრიობაც, დაამკვიდროს ახალი საზოგადოება თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობა სოლიდარობისა, —და ყველა ეს კლასსების მოსპობითა, და არა მითი სოლიდარობით, პირდაპირი მოქმედებით, და არა რამდენიმე არჩეულთა მიერ ბურჟუაზიულ დაწესებულებებში მონაწილეობის მიღებით, სახელმწიფოსთან ბრძოლით, და არა მისი ხელში ჩაგდებით, და ბურჟუაზიისა და სახელმწიფოს სრული მოსპობით, და არა ერთთან შერიგებითა და მეორეს გაუმჯობესებით.

აი რას ნიშნავს ზემოხსენებული დევიზი ინტერნაციონალისა. ამას ინტერნაციონალი პრაქტიკულადაც და თეორეტიულადაც ამტკიცებდა, სანამ არ დაინგრა და ერთმა მისმა ნაწილმა, —მარქსისტებმა ძველ იაკობინურ დემოკრატიზმად არ გადააქციეს მთელი სოციალიზმი, — მეორემ კი, ანარქიზმა, კიდევ უფრო არ განავითარა ეს პრინციპი სიტყვითაც და საქმითაც.

ეს დევიზი ინტერნაციონალისა სრულიად წინააღმდეგი იყო, ვიდრე დიქტატურა და კანონიერება; ეხლა მისი მიმდევარნი და დამცველნი მხოლოდ ანარქისტები-ღა არიან.

დღეს ჩვენთვის პოლიტიკური ბრძოლა ნიშნავს ბრძოლას სახელმწიფოს წინააღმდეგ, და არა ლეგალიზმს; დღეს ჩვენთვის სიტყვა „პოლიტიკური ბრძოლა“ და ინტერნაციონალის დევიზი: „მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა მიერ“ —ერთსა და იგივეს ნიშნავს, და როდესაც ჩვენ ვამბობთ —ჩვენ წინააღმდეგნი ვართ პოლიტიკური ბრძოლისა, ამისი მიზეზი თვით ბ. ბ. „პარლამენტარული კრეტინები“ ბრძა-

ნდებიან, რომელთაც მთელი ქვეყნის მუშათ მოჰფინეს აზრი, რომ პოლიტიკური ბრძოლა მხოლოდ საარჩევნო კენჭების რაზუნს ნიშნავსო. და როდესაც ისინი გვეუბნებიან,—თქვენ პოლიტიკის წინააღმდეგნი ხართო, მაშასადამე რეაქციონერებიო,—ან განგებ ამბობენ, რომ ბინძური ცილის წამებით მოგვისპონ მოქმედების სახსარი მუშათა შორის, ან და თვით არიან ტვინგამოლაყებულნი კანონიერებით, რომ გარეშე კენჭის ყრისა მათ არც პოლიტიკა და არც ბრძოლა არა ჰგონიათ.

მაშასადამე,—ჩვენი სახსარი სოციალური რევოლიუციისა სულ სხვაა, სრულიად წინააღმდეგნი იმ ბრძოლის პრინციპისა, რომელსაც აღიარებენ ლეგალისტები: მათთვის სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება, დიქტატურა, და შემდეგ კანონმდებლობით გარდაქმნა საზოგადოებისა, მათთვის „სახელმწიფოა ბერკეტი სოციალური რევოლიუციისა“,—ჩვენთვის კი მოსპობა ყოველივე სახელმწიფოისა, ყოველივე მის დაწესებულებათა, ყოველივე დიქტატურისა, და მათ გარეშე ორგანიზაცია მუშათა კლასისა, დღესვე, სახელმწიფოსა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მათთვის სახელმწიფო, კანონიერი, პარლამენტარული კრეტინიზმია **პოლიტიკა**,—ჩვენთვის კი კანონისა, პარლამენტისა და სახელმწიფო დაწესებულებათა წინააღმდეგ ბრძოლაა პოლიტიკა.

ვნახოთ ვისი „პოლიტიკა“ სჯობია და ვინ უარ-ყოფს პოლიტიკურ ბრძოლას.

მათთვის სოციალური რევოლიუცია სახელმწიფოს შექმნით, სახელმწიფოს საზღვრებში და სახელმწიფოს დახმარებით უნდა მოხდეს,—ჩვენთვის კი სახელმწიფოს გარეშე, სახელმწიფოს წინააღმდეგ,—სრულიად ახალ საზოგადოებრივ ძალთა და პრინციპთა დახმარებით. ვნახოთ რომელი პრინციპი უფრო ჭეშმარიტია და ცხოველი.

II

სანამ არ განვმარტავთ იმ სოციალურ ტრანსფორმაციის ხასიათს, რომელიც ჩვენ იდეალად დაგვისახავს, ყოვლად შეუძლებელია გავითვალისწინოთ ან დავამტკიცოთ ამა თუ იმ ტაქტიკის რაციონალური გამოყენება. ბევრისთვის სოციალური ტრანსფორმაცია ნიშნავს ნელ და მშვიდობიან განვითარებას არსებულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა; ეს განვითარება ერთ განსაზღვრულ წერტილზედ უკვე მოასწავებს აღსრულებულ ფაქტს,—რომ უკვე მოხდა სოციალური ტრანსფორმაცია, და შემდეგი ევოლიუცია კიდევ უფრო გააუმჯობესებს უკვე განვითარებულ დაწესებულებათა და ეს უკანასკნელები დაედებიან საფუძვლად მთელი საზოგადოების ცხოვრებას. მათთვის მაშასადამე სოციალური ტრანსფორმაცია. მოასწავებს არსებულ დაწესებულებათა, საზოგადოებრივი ცხოვრების არსებულ ფორმათა მშვიდობიან განვითარებას, თანდათან გაუმჯობესებას, და ამიტომაც მთელი მათი მოქმედება, მთელი მათი ენერგია ტრიალებს არსებულ, თანამედროვე ცხოვრების ფორმათა წრეში. არსებობს სახელმწიფო,—სულ ერთია როგორიც უნდა იყოს მისი წარმოშობა, მისი განვითარება, მისი როლი ისტორიაში, — მაშასადამე ამ სახელმწიფოს წრეში მოქმედება, სახელმწიფო მანქანის გაუმჯობესება, საკანონმდებლო მოქმედება, „კარგ კანონთა“ გამოცემა და „ცუდ კანონთა“ მოსპობა,—აი რა არის მაგალითად რადიკალების, ლიბერალების და სხვა კანონიერ პარტიათა მოქმეღების შინაარსი და ასპარეზი. არსებობს კერძო საკუთრება, კაპიტალიზმი, კაპიტალისტური ფორმა კერძო საკუთრებისა,—მაშასადამე აგრეთვე მოქმედება ასებულ წარმოებით განწყობილებათა ფარგალში,—შერიგება შრომისა და კაპიტალისა, სამედიატორო სამართალი მუშათა და კაპიტალისტს შორის, მუშათა მფარველი კანონმდებლობა, შემოკლება სამუშაო დღისა კანონით, მომატება ქირისა და კანონით დადგენილი

ქირა, თან და თანი გადასვლა ყველა უმთავრეს საწარმოო. საშუალებათა სახელმწიფოს ხელში, მშვიდობიანად, კანონმ-დებლობის ძალით, — აი რა შინაარსი და ასპარეზი აქვს აგრეთვე რადიკალურ და ეგრედ წოდებულ სოციალისტურ პარტიათა.

ეს მშვიდობიანი ტრანსტფორმისტები არა ჰყოფენ უარს არც კაპიტალიზმს, არამედ მისი ევოლიუციის ნიადაგზედ სდგანან, მათი მშვიდობიანი განვითარების იმედი აქვსთ; ამ განვითარების აუცილებელი შედეგი იქმნება, მათი აზრით სოციალური ტრანსფორმაციაც, და მათ ამგვარ შეხედულებას სრულიად ეთანხმება მათი მოქმედების ხასიათიც, მათი ბრძოლის ტაქტიკაც *). თუ სახელმწიფო და კანონი გრწამს, — აუცილებელია სახელმწიფო ფარგლებში კანონიერი მოქმედება. თუ კაპიტალიზმის ფატალური განვითარება აუცილებლად მოახდენს ბუნებრივად და მშვიდობიანად სოციალური მშვიდობიანობის დამყარებას, — საჭიროა ხელი შეუწყო მშვიდობიანი გზით ამ სასურველ ევოლიუციას და იხსნა კაცობრიობა უსარგებლო რევოლიუციათაგან, სისხლის ღვრისაგან.

და ამ შეერთებამ ორი უმთავრესი პრინციპისა, — კაპიტალიზმისა და სახელმწიფოს გაუმჯობესებისა, — და მათი შესაფერი ტაქტიკის შემუშავებამ დაჰბადა ინგლისის ლიბერალიზმი და რადიკალიზმი და საფრანგეთის რადიკალიზმი. მაგრამ ამანვე დაჰბადა აგრეთვე ორი მოვლენა არა სასურველი სოციალისტური შეგნების მხრივ, — სოციალისტური ოპპორტიუნიზმი და პარლამენტარული კრეტინიზმი ეგრედ წოდებულ რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც მუდამ რევოლიუციაზედა ჰყვირის, თეორეტიულად უფრო, რევო-

*) თუმცა ძლიერ ხშირად რევოლიუციონერობის შიშით ბევრს მიუღია ჯერ მშვიდობიანი ტაქტიკა და მხოლოდ შემდეგ შეუმუშავებია მშვიდობიანი ტრანსფორმიზმის თეორია, რომ გაემართლებია თავი, რობორც რევოლიუციის მოღალატეს.

ლიუციონერია თავისი მამათმთავარის მარქსის მოძღვრების ძალით,—პრაქტიკულად კი მხოლოდ უფრო მდაბალი სინდისით განირჩევა უბრალო რადიკალთაგან.

ამგვარ სოციალურ ტრანსფორმაციას უწოდებენ ისინი **რევოლიუციას**. და ს. დ.-ებმა, როდესაც მათაც მიიღეს სავსებით მშვიდობიან მოქმედების ტაქტიკა *), სულ სხვანაირად განსაზღვრეს რევოლიუციის ცნებაც. მაგალითად ენრიკო ფერრი, იტალიელი ს. დ.-იის პარტიის პაპა, პირდაპირ ამბობს თავის წიგნში (Modern science and socialism), რომ რევოლიუცია ეხლა აღარ უნდა გვესმოდეს იმ ძველი აზრით, რომ ვითომც იგი უსათუოდ აჯანყებაში, სისხლის ღვრაში და ძალდატანებაში უნდა გამოიხატოსო. პირიქით, ევოლიუცია, რომლის მსვლელობას ვერაფერი დაუდგება წინ (the resistless evolution) პირდაპირ მიგვაქროლებს სახელმწიფოსა და სხვა დაწესებულებათა—საქალაქო და სასოფლო დაწესებულებათა—უფლებრივ ძალის ხელში ჩაგდებისაკენ და შემდეგ კი, როდესაც სოციალისტები უმეტესობას შევადგენთ პარლამენტში და ამ სხვა დაწესებულებებში—სოციალური რევოლიუციაც მომხდარი ფაქტი იქნება; როგორც მშვიდობიანად მოხდა ბრაზილიის რევოლიუცია (!)—დონ-პედროს ტახტიდან გადაყენებით, ან Bill of Rights-ის გაყვანა ინგლისში—სწორედ ისე მშვიდობიანად მოხდება მთელი სოციალური ტრანსფორმაციაც და კაცობრიობა შემდეგ მშვიდობიანი განვითარების გზას დაადგებაო. მეორე სოც. დ—ი კაუცკი, თავის წიგნში „Le Lendemain de la Rèvolution sociale" კიდევ უარესებს ამბობს,—

*) ჩვენ რუსეთის ს. დ.-იაზედ აქ არას ვამბობთ, რადგანაც ისინი დღეს იძულებულნი არიან ორი მარემოებით რევოლიუციონერები იყონ: პირველად იმიტომ, რომ რუსეთში არავითარი თავისუფალი პოლიტიკური რეჟიმი არ იყო, მაშასადამე არც ნიადაგი კანონიერი მოქმედებისათვის. მეორედ იმიტომ რომ ეხლა რუსეთში რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა ა, და ს. დ.—ებზედ უფრო მდაბალი პარტიებიც გარევოლიუციონერდენ.

იგი სულ მთლად მოცილებულია არა თუ რევოლიუციონურ თვალთა ხედვას, არამედ თვით სოციალისტურ იდეალსაც, და ამითი აიხსნება ისეთი უცნაური განსაზღვრა რევოლიუციისა, რომელიც საზოგადოდ მას ახასიათებს: პარლამენტარული უმეტესობის მოპოვება, შემდეგ სახელმწიფოს მიერ გამოყიდვა საწარმოვო საშუალებათა და არა ექსპროპრიაცია ან კონფისკაცია, შემდეგ მშვიდობიანი განვითარება კოლექტივისტური სახელმწიფოსი,—აი მომენტი კაუცკის „სოციალური რევოლიუციისა“. ჟორესმა, ბრიანმა, პოლ ბრუსსმა და თითქმის ნახევარმა საფრანგეთის ს. დ—ისამ, რომელსაც ღირსეულად შეგვიძლია რომ ვუწოდოთ სოციალისტური ოპპორტიუნისტები, ხომ უფრო ნათლად, უფრო გულწრფელად აღიარეს თავიანთი ოპორტიუნიზმი. და ჟორესი პირდაპირ ამბობდა ლაგარდელის მიერ შეკრებილ ანკეტაში საერთო გაფიცვის შესახებ: არის ერთად ერთი საშუალება სოციალისტების ხელში სოციალური ტრანსფორმაციისათვის და აგრეთვე კერძო გაუმჯობესებათათვის,—მოპოვება პარლამენტში უმეტესობისა (Conquerir la majorité au parlement).

ამავე აზრის არის თითქმის მთელი ს. დ—ია გერმანიაში, ბელგიაში, იტალიაში და ყველგან, სადაც კი პარლამენტარული რეჟიმია მჭიდროდ დამყარებული და პარტიას საკანონმდებლო ასპარეზი აქვს გახსნილი საყოველთაო არჩევნების საშუალებით.

ამითი აიხსნება მათ მიერ ზემოხსენებული უცნაური განსაზღვრა რევოლიუციისა, სოციალური რევოლიუციისა.

და ყველა ესენი,—ლიბერალები, რადიკალები, სოციალისტ-ოპორტიუნისტები,—მართალნი არიან. ეგრედ წოდებულ რევოლიუციონურ ს. დ.-ებს კი რაც შეეხება, მათ ერთი რამე უშლისთ ხელს, რომ ისინიც მართალი იყვნენ. საქმე მათი უგულ-წრფელობაა. ზემოხსენებული პარტიებივით რომ ისინიც პირდაპირ ამბობენ,—ჩვენ ასე გვესმის რევოლი-

უცია, სოციალური ტრანსფორმაცია და სხვ. და, გამოვდივართ რა ამ განსაზღვრიდან, განსაზღვრულ მშიდობიან ტაკტიკას ვადგივართო,—კარგი და პატიოსანი. მაგრამ ისინი კიდევ რაღაცას უმატებენ: **თუ დაგვჭირდა**, ჩვენც ძალ-დატანებითი რევოლიუციის მომხრენი ვართო. თუ დაჭირდათ! თითქოს ყოველ დღეს, ყოველ წელიწადს, ყოველ ცოტად თუ ბევრად მოკლე პერიოდში არ იყოს საჭირო ამ ძალ-დატანებითი რევოლიუციისათვის მზადება და საზოგადოდ თვით ეს ძალდატანებითი რევოლიუცია!—ამითი ისინი ღალატობენ თავიანთ საკუთარ განსაზღვრას რევოლიუციის ცნებისას. რევოლიუცია ან ძალ-დატანებითია, ან იმ ხასიათის, როგორც მათ წარმოუდგენიათ-პირველ შემთხვევაში,—კანონიერებისა და რევოლიუციონერობის შეერთება საშინელი ულოღიკობაა, წინაღმდეგობა, და დიდხანს ვერ გასტანს ამ წინააღმეგობის მიმდევარი პარტიის მთლიანობა და მოქმედების პირდაპირი მიმდინარეობა. ასეც მოხდა ს. დ—ის პარტიაში; მისი დიდი ნაწილი ოპორტიუნისტად გადიქცა, კანონიერებამ ჩაყლაპა; მცირე ნაწილმა კი სრულიად უარ-ჰყო კანონიერება და რევოლიუციონურ სინდიკალიზმს მიემხრო: ლაგარდელი საფრანგეთში, ლაბრიოლა იტალიაში, ფრიდბერგი გერმანიაში, პოსსე რუსეთში... საშუალო მართლმადიდებელი ნაწილი კი უმოქმედოდ რჩება, და მიუხედავად მისი მძლავრი ორგანიზაციისა გერმანიაში, მაგალითად, ლამის არის სულ დაჰკარგოს ყოველივე სიცოცხლის ელფერი ამ შეუერთებელ წინააღმდეგობათა შერიგების სურვილში. მეორე შემთხვევაში კი გულწრფელი ოპორტიუნიზმი იბადება, და ბერშტეინი და ჟორესი ნამდვილი შვილებია ამგვარი მოვლენისა. ერთი სიტყვით, რევოლიუციონურ ს. დ-ებს გულწრფელობა აკლიათ, თორემ ისინიც მართალი იქმნებიან თავისი თვალთა ხედვით. ს. დ-იას სამი გზა ჰქონდა: ან ოპპორტიუნიზმი, ან ნამდვილი რევოლიუციონერობა, ან ორტოდოქსალური ჯიუტობა შეურიგებელის

შერიგებისა; პირველმა ორმა გზამ რამოდენიმე მანძილი განვლო და ამ გზაზედ მიმავალს ს. დ-ებს სიმართლე მოუხვეჭა, შესამემ კი მგზავრებს სულ აუბნია გზაკვალი. და აქაც ერთი შესაფერი მოვლენა მოხდა: ოპპორტიუნისტები, როგორც ვარ ვსთქვით,—თაყვანისმცემლები არიან სახელმწიფოსი და მან განსაზღვრა მათი გულწრფელი ტაქტიკა. სინდიკალისტ სოც. დ-ებმა უარ-ჰყვეს სახელმწიფო და მათი რევოლიუციონერობაც ამან გამოიწვია. ორტოდოქსებს კი ჯერ სავსებით არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი სახელმწიფოზედ,—ხან აღიარებენ მასა ხან უარ-ყოფენ, რასაკვირველია ათასჯერ უფრო აღიარებენ, ვიდრე უარჰყოფენ, და ამიტომაც ხან რევოლიუციონერები არიან, ხან ოპორტიუნისტები,—რასაკვირველია უფრო ოპპორტიუნისტები, და ამიტომაც ისინი თითქმის არ განირჩევიან საქმით ბერშტეინისაგან და ჟორესისაგან.

რაც შეეხება ბლანკისტებს,—ანუ მათ მსგავსს ს. დ-ებს, რომელთაც ძალდატანებით, რევოლიუციონურად უნდათ ჩაიგდონ ხელში სახელმწიფო უფლება და შემდეგ მშვიდობიანად გარდაქმნან საზოგაოება,—ესენიც დაბნელებულნი არიან სახელმწიფოებრივი ფილოსოფიით, სახელმწიფოს თაყვანისცემითა და რწმენით,—და ამიტომაც მათი მოქმედება, მათი ტაქტიკა ნახევარ-რევოლიუციონურია თავისი შინაარსით, თუმცა საქმით ბევრი საგმირო საქმეები ჩაუდენიათ მათ და საფრანგეთის მუშა ხალხის ბრძოლაში მათ დიადი როლი უთამაშნიათ,—ნახევარ-რევოლიუციონური იმიტომ, რომ სწორედ სახელმწიფო დაწესებულებებით უნდათ მოსპონ კაცთა შორის უთანასწორობა,—თუმცა არსებული სახელმწიფოს დანგრევისა და ხელში ჩაგდების შემდეგ;—ისინი იმავე რევოლიუციის შემჩერებლად გამოდიან ბრძოლის პირველი აქტის გათავების შემდეგ, რომელიც თვითონ მოახდინეს. ამასთანავე იგინი სტოვებენ იმავე ხასიათისა და შინაარსის დაწესებულებათ, რომელნიც მათ რევოლიუციის დასაწყისში უარ-ჰყვეს, თითქოს

საქმე ის იყოს, — თუ ვინ იქნება ბიუროკრატი და პოლიციელი, — ბლანკისტი, დიქტატურის თაყვანისმცემელი, თუ თანამედროვე დერჟიმორდა ან „ჩინუშა“, — და არა თვით ხასიათი, თვით შინაარსი დაწესებულებათა, რომელთა სრული მოსპობაც დაახასიათებს ნამდვილ რევოლიუციას. — ყოველ შემთხვევაში, ესენიც სახელმწიფო თაყვანისმცემელნი არიან და ამითი განისაზღვრება მათი დიქტატურის საშუალებად აღირება სოციალური ტრანსფორმაციის მოხდენისათვის, — და აგრეთვე მართალნი თავიანთი თვალთა ხედვით. — მართალია მე მრწამს სახელმწიფო, ამბობს ბლანკისტი, სოციალური ტრანსფორმაციაც არ არის სახელმწიფოს მოსპობა, მაგრამ თანამედროვე პერსონალი უნდა შეიცვალოს სახელმწიფოსი და სხვა დაწესებულებათა; მე რევოლიუციის საშუალებით ჩავიგდებ ხელში ამ სახელმწიფო ძალას და შემდეგ მისი საშუალებით გარდავქმნი საზოგადოებას, მოვახდენ სოციალურ ტრანსფორმაციას, როგორც ესა სწადია იმ ხალხს, იმ კლასს, რომელმაც მე სადიქტატურო პირობები მომიმზადაო. — ეს არის რწმენა ბლანკისტთა და ბევრი მარქსისტისაც, და თავისი შედეგებით და დასკვნებით ეგი დიდათ არაფრით განირჩევა ზემოხსენებულ შეხედულებათა და რწმენათაგან სოციალურ რევოლიუციაზე და მის საშუალებებზედ.

აი განსაზღვრანი სოციალური რევოლიუციისა, სოციალური ტრანსფორმაციისა, და ამ განსაზღვრიდან ლოგიკურად გამომდინარებული საშვალებანი ბრძოლისა ყველა იმ პარტიათა, რომელნიც აღიარებენ სახელმწიფოს, კაპიტალიზმს, ან ორივეს ერთად, ან მარტო სახელმწიფოს უკაპიტალიზმოდ (რაიცა ჩვენის აზრით და მათ საკუთარ პრინციპთა ლოგიკურ განვითარებით შეუძლებელია).

და განვიმეორებთ, ყველა ესენი თავიანთი თვალთა ხედვით მართალნი არიან, გარდა მართლმადიდებელ ს. დ-თა,

К 67/10

რომელნიც მხოლოდ ნახევრად არიან მართალნი, რადგანაც გულწრფელობა აკლიათ სიმართლე აღიარონ.

მაგრამ განა სოციალიზმის იდეალი სახელმწიფო დაწესებულებათა მხოლოდ გაუმჯობესებაა, განა მუშათა იდეალი კოლლექტივიზმია, სახელმწიფოს ხელში გარდასვლა საწარმოვო საშუალებათა, გამოსყიდვა ამ საწარმოვო საშუალებათა ანუ მათი სახელმწიფოს მიერ კონფისკაციაც, განა რევოლიუცია სახელმწიფო ფარგალში მომხდარი რეფორმებია, განა სოციალური ტრანსფორმაცია არსებულ დაწესებულებათა განვითარება-გაუმჯობესების ერთ განსაზღვრულ წერტილის იქით ჩაითვლება მომხდარ ფაქტად? განა თუნდ პროლეტარიატის დიქტატურაც მოასწავებს იმ დიად საზოგადოებრივ ცვლილების დასაწყისს, რომელიც უნდა დამთავრდეს სოციალური ტრანსფორმაციით? განა თვით განსაზღვრა რევოლიუციისა ისე უნდა მივიღოთ, როგორც ამას ახვევენ თავზედ დღეს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს ფერრი, კაუცკი, ჟორესი ან ამერიკელი ვეილი? განა თვით ევოლიუციონიზმის თეორიამ მიიყვანა იგინი იმ დასკვნამდე, რომ ცნება „რევოლიუციას“ აზრი დაეკარგა მას შემდეგ, რაც დამტკიცდა ფორმათა თანდათანი განვითარება, ნელი ევოლიუცია, უჩინარი ტრანსფორმაცია? განა მათი განსაზღვრა მუშათა იდეალისა თვით რევოლიუციის ცნებისა, და რევოლიუციის ხასიათისა, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს ლოგიკურად ამ ზემოხსენებულ ცნებათა განსაზღვრიდამ, უფრო რაციონალურია, ვიდრე ჩვენი, ანარხისტული? განა თვით ცნება სოციალური რევოლიუციისა, რომელიც ჩვენა გვაქვს, ისეთი ვიწრო და საცოდავია, როგორც დონ-პედროს გამოგდება ბრაზილიიდამ? ბოლოს, — განა თვით მათი საშუალებანი ბრძოლისა, რომელნიც მათ აქვთ, ლოგიკურად გამომდინარეობენ მათ ძალისაგან, მათ მიერ სოციალური ტრანსფორმაციისა და რევოლიუციის განსაზღვრიდამ, ნამდვილ საშუალებად ჩაითვლებიან თვით მათი

იდეალის განსახორციელებლად? არა! ყველა კითხვაზედ უარ-ყოფითი პასუხი უნდა გავსცეთ და ჩვენ ჩვენის მხრით უნდა დავსვათ შემდეგი კითხვები

1) რა არის სოციალური ტრანსფორმაცია?

2) რა არის რევოლიუცია და როგორი განწყობილება აქვს მას ევოლიუციის ცნებასთან?

3) როგორი იდეალისაკენ მიისწრაფვის კაცობრიობა?

4) როგორი იდეალისაკენ მიისწრაფვის მუშათა კლასსი?

5) ამ მისწრაფების დაგვარად როგორ საშუალებათ იმუ-შავებს იგი აუცილებლად თავის ბრძოლაში?

6) ეთანხმებიან თუ არა ყოველივე ამას ზემოხსენებულ პარტიათა განსაზღვრანი და საშუალებანი ბრძოლისა?

7) როგორი ურთიერთობა აქვს თვით მათი ბრძოლის საშუალებათ მათ საკუთარ იდეალთან? და როდესაც ამ კით-ხვებზედ მიუგებთ, როდესაც ჩვენი თვალთა ხედვით განვსაზ-ღვრავთ ჩვენს იდეალს, რომელიც ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, არამედ თვით ხალხის მისწრაფება, როდესაც გავი-ცნობთ თვით შინაარსს სოციალური ტრანსფორმაციისას,— მაშინ ნამდვილად წარმოგვიდგება თვალ-წინ თვით ხასიათი სოცი-ალური რევოლიუციისაც, მისი ძალ-დატანებითი ხასიათიც, ჩვენ საშუალებათა ლოგიკური კავშირიც ჩვენ იდეალთან და ცნებათა განსაზღვრასთან, და აგრეთვე მათი ძირითადი შეც-დომანი, ამ შეცდომებიდან ლოგიკურად გამომდინარებული შეცდომანიც მათი ბრძოლის საშუალებათა ამორჩევაში,— და აგრეთვე ხშირად ულოგიკობაც მათი იდეალისა და ბრძოლის საშუალებათა კავშირში.

III

სოციალური ტრანსფორმაცია ჩვენთვის უფრო ღრმა ცნე-ბაა, უფრო ფართო მოვლენა, ვიდრე მშვიდობიან სოციალის-ტებისათვის. იგი ნიშნავს მთელ საზოგადოებრივ განწყობი-ლებათა ძირითად შეცვლას, იგი მოასწავებს ყველა იმ დაწე-

სებულებათა უარყოფას, რომელნიც ეხლა არიან საფუძველნი მთელი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისა. იგი ნიშნავს სრულიად ახალ საფუძველთა აშენებას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, სრულიად ახალ საზოგადოებრივ განწყობილებათა შემოღებას განვითარების ახალ ხანაში შესულ ადამიანთა მიერ. ძველ საზოგადოებრივ ფორმათა დატოვება,— სახელმწიფოსი და კაპიტალიზმის, თუ გინდ შეცვლილი ფორმითაც,—სრული წინააღმდეგია სოციალური ტრანსფორმაციისა. ახალ საზოგადოებრივ განწყობილებათა და ფორმათა შემუშავება ადამიანთა მიერ კი მოასწავებს სოციალურ ტრანსფორმაციას, ამ სიტყვის ნამდვილი აზრით.

ჩვენი იდეალიც ამგვარი სოციალური ტრანსფორმაციაა. —ძალ-დამტანებელი თანამედროვე საზოგადოებრივი ორგანიზაციის მაგივრად შექმნა იმგვარი ორგანიზაციისა, რომელიც დამყარებული იქმნება თავისუფალ საზოგადოებრივობაზედ, ნებაყოფლობით შეთანხმებაზედ, თავისუფალ საზოგადოებრივ განწყობილებათაგან გამომდინარებულ სოციალურ ზნეზედა და ჩვეულებაზედ.

ჩვენთვის სოციალური ტრანსფორმაციის პირველი მომენტი მაშინ დაიწყება, როდესაც სახელმწიფო და კაპიტალიზმი მოისპობიან და ხალხი, მწარმოებელი, ახალ, თავისუფალ საზოგადოების შექმნას შეუდგება. და რადგანაც თანამედროვე საზოგადოება სახელმწიფოთი და კაპიტალიზმით დახასიათდება, ჩვენი სოციალური ტრანსფორმაციაც გამოიხატება არა მარტო ამ ორსა და განუყოფელ სოციალურ მოვლენათაგან განთავისუფლებაში, არამედ მათი პირდაპირი მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ და პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრების ფორმათა შექმნაში,—**კომმუნიზმისა და ანარხიის** დამყარებაში.

ეს არის ჩვენი განსაზღვრა სოციალური ტრანსფორმაციისა, და არც შეიძლება მისი სხვანაირად განსაზღვრა, თუ სიტყვა „სოციალურ ტრანსფორმაციას“ ნამდვილი მისი ში-

ნაარსის მიხედვით გავიგებთ,—და აქედამ ცხადად, ლოღიკურად გამომდინარეობს ჩვენი ტაკტიკის ნიშანდობლივი ხასიათი,—ძალ-დატანებითი რევოლიუცია და უარ-ყოფა კანონიერებისა, პარლამენტარული კრეტონიზმისა,—თუ კარგათ დავუკვირდებით ყველა იმ ლოღიკურ დასკვნათა, რომელნიც პირდაპირ გამომდინარეობენ სოციალურ ტრანსფორმაციის ჩვენ მიერ განსაზღვრისაგან.

როდესაც ძალ-დატანებითი რევოლიუციის მოწინააღმდეგენი გვეუბნებიან, რომ ჩვენ მიერ მიღებული ტაქტიკა ძალ-დატანებისა საჭირო არ არის და მავნებელიცაა, რადგანაც ევოლიუციის ძალით მოხდება სოციალური ტრანსფორმაციაო, ისინი არა მარტო სოციალური ტრანსფორმაციის მათ მიერ შემცდარი განსაზღვრიდან გამოდიან,—ისინი მეორე შეცდომაში შედიან,—აგრეთვე შემცდარად საზღვრავენ ევოლიუციას. მათთვის ეს უკანასკნელი უსათუოდ მშვიდობიანი, უსათუოდ ნელი, უსათუოდ უჩინარი უნდა იყოს ბუნების მოვლენათა ყოველ დარგში. ევოლიუცია მათ*) რაღაც მეტაფიზიკურ ცნებათ აქვსთ წარმოდგენილი,—resistless evolution, როგორც ამბობს ენრიკო ფერრი,—და პირდაპირ მის მოწინააღმდეგ ცნებად მიაჩნიათ რევოლიუცია, როგორც ძალ-დატანება, როგორც უარ-ყოფა მოვლენის ბუნებრივი განვითარებისა, თითქმის დარღვევა ბუნების კანონის ჰარმონიული მოქმედებისა, და არა ბუნებრივი მოვლენა. მათ ევოლიუცია წარმოუდგენიათ, როგორც „კანონი ბუნებისა“, რომელიც ყოველივეს მართავს ერთისა და იგივე ხასიათით.

მაგრამ მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს ენერგიის შენახვის კანონი, მას შემდეგ, რაც ყველა ბუნების მოვლენათა განხილვა დაიწყეს ენერგეტიული თვალთა ხედვით,—ევოლიუციის ცნებაც შეიცვალა, იგი აღარ არის რაღაც მეტაფიზიკური

*) არა მარტო მშვიდობიან სოციალისტებს, ძლიერ ბევრ მეცნიერსაც.

ცნება, საყოველთაო ბუნების კანონი, რომელიც ყველა მოვლენათა ერთსა და იგივე ხასიათის განვითარებას გამოჰხატავს, არამედ იგია უბრალო ფაქტი, შემჩნეული ბუნებაში,—იგი უბრალო პირობაა ფორმათა ცვალებადობისა,—იგი მხოლოდ წინამორბედი პროცესსია ტსანფორმაციის ერთი განსაზღვრული აქტისა. ტრანსფორმაცია კი შეიძლება ათასნაირი ხასიათის იყოს, ათასნაირ პირობათაგან გამოწვეული, ათასნაირ ძალთაგან შექმნილი.

და თანამედროვე ენერგეტიული მეცნიერებაც ასე აყენებს კითხვას: რა და რა ძალები, როგორი ოდნობის ენერგია მოქმედებდა და ვითარდებოდა, და როგორი მიმართულებით, როგორი ხასიათით, რომ ესა თუ ის ტრანსფორმაცია მოეხდინა განსაზღვრულ მოვლენათა დარგში? რა და რა ენერგიის მოქმედებამა და ამ მოქმედებათა რომელმა კომბინაციამ გამოიწვია ესა თუ ის მოვლენა და როგორი პირობებია საჭირო, რომ ეს მოვლენა განავითარო და განაცდევინო მას შემდეგი ტრანსფორმაციები, ან სრულიად მოიშორო იგი თავიდან?

და პასუხი ამ გამოკვლევათა მოსალოდნელი აღმოჩნდა. აღმოჩნდა, რომ არიან იმგვარი მოვლენანი, და ნაწილნი ამ მოვლენათა, რომელნიც ნაყოფნი არიან ენერგიის ნელი მოქმედებისა, არიან იმგვარი მოვლენანიც, რომელნიც უფრო სწრაფ მოქმედებათა ნაყოფნი არიან, არიან მოვლენანი აგრეთვე ბევრ ძალთა სხვა და სხვა ხარისხის მოქმედებათა კომბინაციის ნაყოფნი და სხვ. ერთი სიტყვით, ტრანსფორმაცია იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რა პირობებში მთავრდება იგი, თუ როგორი იყო პროცესსი ფორმის ცვალებადობისა, როგორი ხასიათის იყო მისი **ევოლიუცია**.

არის ევოლიუცია მთელი კოსმოსისა, არის ევოლიუცია არა-ორგანიულ არსთა, ორგანიულ არსთა, ამ უკანასკნელთა ევოლიუცია აგრეთვე ორ დიდ საერთო ევოლიუციათაგან შესდგება,—ევოლიუცია ფილოგენეტიური, ევოლიუცია ონტო-

გენეტიური,—არის ევოლიუცია აგრეთვე ორგანიზმის მრავალგვარ ნაწილთა მრავალგვარ მოქმედების დროს,—არის სხვათა შორის ევოლიუცია საზოგადოებრივ ფორმათა. ყველა ეს სხვა და სხვა ევოლიუციები სხვა და სხვა პროცესსებია, სხვა და სხვა ძალთა და ენერგიათა სხვა და სხვა პირობებში მოქმედება,—მათი აუცილებელი ფუნქცია მოვლენათა შესაფერი ტრანსფორმაციაა,—და ევოლიუციის ზემოხსენებული მეტაფიზიკური აზრით ხმარება ამ სხვა და სხვა პროცესსთა მსგავსების აღიარება იქმნებოდა, რაიცა აბსურდია, რადგანაც ამ პროცესსთა ხასიათი სულ სხვა და სხვანაირია და სხვა და სხვა ძალებზედ, ძალთა სხვა და სხვა კომბინაციებზედ არის დამოკიდებული. ევოლიუცია—საერთო ცნებაა, რომელიც გამოჰხატავს საზოგადოდ ტრანსფორმაციის წინამორბედ პროცესს, და თვითოეული პროცესსი, თვითოეული ევოლიუცია დახასიათდება იმ ძალთა ხასიათით, ძალთა იმ კომბინაციითა და მოქმედებით, რომლის შედეგიც არის განსაზღვრული მოვლენის ტრანსფორმაცია, თვით შემდეგი განსაზღვრული მოვლენა,—და ერთი პროცესსის ხასიათს,—**მშვიდობიანს თუ არა მშვიდობიანს,**—შეიძლება არავითარი საერთო არა ჰქონდესრა მეორე პროცესსის ხასიათთან, ევოლიუციასთან.

აი ამიტომაც არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ **ევოლიუცია** მშვიდობიანი ცვალებადობაა, ან არა მშვიდობიანი, რევოლიუციონური. რისი ევოლიუცია, რა ევოლიუცია?—ეს რა არის საკითხავი.

მაგალითად, ჯ. ჯ. ფოხტის უგრედ-წოდებული პიკნოტიური თეორია, ანუ ნივთიერების გასქელების თეორია და ამ გასქელებული ნივთიერების ბრძოლა გარემოცულ ეთერთან იმგვარ და იმდენ პროცესს შეიცავს კოსმოსის სრულ ევოლიუციაში, რომ ყოვლად წარმოუდგენელია იანგარიშოს კაცმა, რამდენი პროცესსი ?ოხდა მშვიდობიანად და რამდენი გაჩქარებული ტემპით, უცბათ, „ძალ-დატანებით“, რევოლიუციო-

ნურად. ადამიანის ფილოგენეტიური განვითარებაც მრავალ ამ-
გვარ პროცესსთაგან შესდგება,— მშვიდობიანთაგან და რევო-
ლიუციონურთაგან. მისი ონტოგენეტიური განვითარება კი რე-
ვოლიუციონურად მთავრდება,— ბავში იბადება რამოდენიმე
წუთის განმავლობაში „ძალ-დატანებით“, თუმცა შთანაჩენის
განვითარება მშვიდობიანი იყო.— პროფესსორი მეჩნიკოვი ამ-
ტკიცებს, რომ სიკვდილი ყოველთვის „ძალ-დატანებითია“,—
რევოლიუციონური, ვიტყვით ჩვენ, თუმცა ადამიანის სიბერის
პროცესსი ნელა, შეუმჩნევლად ხდება. სამაგიეროდ გუსტავ
ლებონის თეორია მატერიის დისსოციაციისა, მატერიის ევო-
ლიუციისა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ მატერია ერ-
თი ფორმაა ენერგიისა და ეხლა მუდამ დისსოციაციის პრო-
ცესსში იმყოფება,—(ამითი ხსნის ის რადის მოვლენას,
რომელსაც ყველა ნივთიერებას აწერს, მაგრამ მისი აზრით ნა-
კლები ხარისხით ხდება ეს დისსოციაცია სხვა ნივთიერებაში)
ისეთი ნელი პროცესსის თეორიაა, რომ ყოვლად შეუძლებე
ლია ამ თეორიიდან გამომდინარებულ ქიმიკურ სახეთა ცვა-
ლებადობის ჰიპოტეზაში რაიმე მსწრაფლი, „ძალ-დატანები-
თი“, რევოლიუციონური პროცესსი იღებდეს მონაწილეობას.

ასე რომ, რევოლიუცია ნაწილია ევოლიუციისა. მათი
დაპირდაპირება არ შეიძლება, როგორც ერთი მთლისა და მი-
სი ნაწილისა. ევოლიუცია შეიძლება, როგორც ნელი პრო-
ცესსი, ევოლიუცია შეიძლება დამთავრდეს რევოლიუციით,—
და თვით ევოლიუციის ნაწილს,—რევოლიუციას,— რატომ არ
შეგვიძლია ვუწოდოთ აგრეთვე ევოლიუცია,—ესეც ხომ თან-
დათანი პროცესსია მოვლენის განვითარებისა, აქაც ხომ იც-
ვლება მოვლენა, მხოლოდ დროის შემოკლება უფრო თვალ-
საჩინოდ ხდება ამ მოკლე პროცესსში?

ადამიანთა ცხოვრების მოვლენანი იგივე ბუნების მოვლე-
ნანი არიან; ისინი ვერ ასცილდებიან ევოლიუციას,
რადგანაც როგორც სხვა ბუნების მოვლენანი, ისინიც

ნაყოფნი არიან სხვა და სხვა ძალთა მოქმედებისა. ამ მხრით, ამ საზოგადო აზრით ადამიანთა საზოგადოების განვითარება ევოლიუციონურად ხდება. მაგრამ როგორც ბუნების სხვა მოვლენათა, ადამიანთა საზოგადოების ევოლიუციაც აგრეთვე არ შეიძლება იყოს უსათუოდ მშვიდობიანი, უსათუოდ ძალადაუტანებელი, უსათუოდ არა-რევოლიუციონური. პროცესსი მისი განვითარებისა, მისი ტრანსფორმაციისა, იმისაგან-რის დამოკიდებული, თუ როგორმა ძალებმა, ენერგიის როგორი ხასიათის მოქმედებამ შეჰქმნა ესა თუ ის საზოგადოებრივი ფორმა. საკითხავი ის არას, შესდგა თუ არა ესე თუ ის ფორმა საზოგადოებისა, რომელსაც დანგრევა უნდა, რომლის ტრანსფორმაციაც აუცილებელი გამხდარა, —იმგვარ პირობათა ზედგავლენით, რომ ეს ტრანსფორმაცია მოხდეს მშვიდობიანად, ან ძალდატანებით, რევოლიუციონურად? კითხვა ასე უნდა იქმნას დაყენებული, უნდა გამოკვლეულ იქმნან ამ საზოგადოებრივი ფორმის შემადგენელი წარსული პირობები, აგრეთვე ხასიათი და შინაარსი თვით ამ განსაზღვრულ მომენტში არსებული საზოგადოებისა, და მაშინ ადვილი იქმნება გამოანგარიშება, თუ როგორი იქმნება პროცესსი მისი ტრანსფორმაციისა. საქმე ის კი არ არის, —დანგრევის რომელი წესია სასურველი, არამედ ის, — როგორი წესია აუცილებელი, რადგანაც დეტერმინისტული ფილოსოფია ყველა ბუნების მოვლენებში გვასწავლის, რომ ყოველივე მოვლენა, ყოველივე ბუნების კანონიც პირობითია: —თუ ეს და ეს, განსაზღვრული ხასიათის მოვლენანი წინ უძღოდენ და შეჰქმნეს ესა თუ ის მოვლენა—მისი თავიდან ასაცილებლად აგრეთვე განსაზღვრული მოვლენანი, განსაზღვრული პირობანი არიან აუცილებელი საჭირონი.

გადავავლოთ თვალი, — როგორი იყო კაცობრიობის ევოლიუცია, როგორია დღეს მისი მდგომარეობა და როგორი იდეალი აქვს მას, როგორი იდეალი აქვს დასა-

ხული მისს უდიდესს, უენერგიულესსა და უუსაჭიროესს ნაწილს,—მუშათა კლასს,—და ეს გათვალისწინება ნათლად დაგვანახვებს რევოლიუციის ლოგიკურ კავშირსაც კაცობრიობისა და მუშათა კლასის იდეალთან, მთელი კაცობრიობის მისწრაფებასთან და აგრეთვე იმ აუცილებლობას, რომელმაც აიძულა მუშათა კლასსი სწორედ რევოლიუციონური საშუალებანი შეემუშავებინა ბრძოლისა. თუ ევოლიუციაზედ წავიდა საქმე, ადვილი დასამტკიცებელია, რომ სწორედ თვით კაცობრიობის ევოლიუციამ, მუშათა კლასსის ბრძოლისა და იდეათა ევოლიუციამ შეჰქმნა მისი ბრძოლის რევოლიუციონური მეთოდიც, რადგანაც ეს ევოლიუცია იმგვარი იყო, იმგვარ პირობებში ხდებოდა საზოგადოებრივ ფორმათა განვითარება, რომ სხვანაირ საშუალებათა შემუშავება შეუძლებელი იყო.

ეხლა დამტკიცებულ ფაქტად მიაჩნიათ ადამიანის ფილოგენიეტიური განვითარების პირობათა შემსწავლელებს, რომ სწორედ სახის შენახვის აუცილებლობის მოქმედებამ, განსაზღვრულმა »ევოლიუციამ“ მიიყვანა ადამიანიც სხვა ცხოველთა შორის საზოგადოებრივი ცხოვრების წესის შემოღებამდე. და ამ საზოგადოებრივ ცხოვრებას დიდი მნიშვნელობა და დიდი აზრი აქვს, დიდი განწყობილება საზოგადოდ ბუნების კანონებთან,—იგი ენერგიის მსოფლიო მოქმედების ნაწილია, მისი გამომხატველი საზოგადოდ მრავლის უმრავლეს არსთა შორის *), ორგანიულ არსთა შორის, ცხოველთა შორის და განსაკუთრებით ადამიანთა შორის. ცხოველთა და ადამიანის სახეთა შენახვის კანონი უმეტეს ნაწილად გამოიხატება სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრების წესის არსებობაში, რადგანაც ეს უკანასკნელი პარდაპირი ეკონომიაა ინდივიდუალურ ენერგიათა, რადგანაც,—კიდევ მრავალჯერ განვიმეორებთ ჩვენ ფორმულას,—მინიმუმი ინდივიდუალური ენერგიის ხარჯვისა და მაქსიმუმი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა,—

*) იხ. ჩვენი „კანონი“ „ნობათის“ ნომრებში.

აი რა უნდა იყოს პირობა სახის შენახვისა, და ეს პრინციპი ხორციელდება მხოლოდ საზოგადოებაში, ინდივიდუალურ ენერგიათა კოორდინაციით*).

თავისუფალი კომმუნიზმი ყველაზედ უკეთესი ფორმაა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, რომელიც ახორციელებს საზოგადებრივობის პრინციპს. ამიტომაც პირველი, ბუნებრივი ფორმა საზოგადოებისა იყო კომმუნისტური, სადაც საერთიერთო დახმარება, ველურ პირობებში შესაძლებელი თავსუფლება და თანასწორობა იყო უმთავრესი დამახასიათებელი მხარე პირველ-ყოფილი საზოგადოებისა, და განხორციელებული პრინციპი ინდივიდუალურ ძალთა ეკონომიისა.

შემდეგ, როცა საზოგადოება დაიყო კლასსებად, როცა გაჩნდა ერთის მხრივ მშრომელი და მეორეს მხრით ნაწარმოების უშრომლად მიმთვისებელი, ერთის მხრით ბატონი და მეორეს მხრით მონა,—და ხანგრძლივი იყო ამგვარ საზოგადოებათა წარმოშობა, აგრეთვე მრავალი იყო მიზეზი მათი შექმნისა და აღღორძინებისა, **)—როდესაც აღღორძინდენ კლასებრივი საზოგადოებანი, რომელნიც ძალ-დატანებაზედ იყვნენ დამყარებულნი, როგორც გახსაზღვრული ფორმანი კლასსებრივი საზოგადოებისა,—მაშინ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ველარ აკმაყოფილებდა ინდივიდს, რომლისთვისაც შეიქმნა თავდაპირველად საზოგადოებრივი წესი ცხოვრებისა,—მაშინ პრინციპი ინდივიდუალურ ძალთა ეკონომიისა არ ხორციელდებოდა საზოგადოებაში, და მშრომელი ნაწილიც საზოგადოებათა სცდილობდა ყოველთვის დაენგრია აუტანელი ფორმა საზოგადოებისა, შეექმნა ძველი, ან ახალი, უმჯობესი

*) იხ. ჩვენი წერილი მოამბეში: „ბრძოლა არსებობისათვის და საზოგადოებრივი პრინციპი".

**) აქ ბ. „მეცნიერი" ლეო. საყვედურს გვეტყვის, რატომ მთელი კაცობრიობის ისტორია არ მოვყევით, მაგრამ იმისთანა „მეცნიერს," რომელიც წერილის საგანს ვერ იგებს ხოლმე, რა უნდა ელაპარაკო.

ფორმა საზოგადოებისა, იმავე საზოგადოებრივ პრინციპზედ დამყარებული, — პიროვნულ ძალთა ეკონომიის პრინციპზედ — ეს მოვლენა ახასიათებდა და ახასიათებს მონობისა, ფეოდალიზმისა, და აგრეთვე თანამედროვე კაპიტალიზმის ისტორიას.

და რადგანაც ძალ-დატანებას, — ერთი კომმუნის მეორეზედ ომით გალაშქრებას, სარწმუნოებრივ ბატონობას და მასზედ აშენებულ ძალ-დატანებას, კერძო საკუთრების წარმოშობას და მასზედ აშენებულ ეკონომიურ ჯგუფთა შორის ბრძოლას და ერთის მიერ მეორის ძალით დამონებას, — ძლიერი როლი უთამაშნია ამგვარ კლასსიურ საზოგადოების შექმნაში, ამიტომაც ბატონობა ეკონომიურად და პოლიტიკურად მმართველ კლასსთა პირდაპირ გამოიხატა საშინელ ძალ-დამტანებელ ორგანიზაციაში, — განსაკუთრებით სახელმწიფოში, რომლის შინაარსი და ესსენცია პირდაპირ ძალ-მომრეობა და იარაღით ძალ-დატანებაა აუარებელ მწარმოებელთა — არჩინონ თავისი შრომით არა-მწარმოებელნი და დაემორჩილონ მათ.

ამგვარად სდგებოდენ და არსებობენ ეხლაც ძალ-დამტანებელი ორგანიზაციანი საზოგადოებისა, რომელთა ევოლიუცია სწორედ იმგვარ ძალების მიერ იყო გამოწვეული, იმგვარ პირობებში მსვლელობდა, რომ მისი ფორმაც არ შეიძლებოდა რომ არ ყოფილიყო შინაარსით ძალ-დატანებითი და უხეშ, შეიარაღებულ ძალაზედ დამყარებული.

და მთელი კაცობრიობის ისტორია უძველეს დროიდან თანამედროვე კაპიტალიზმამდის გამოიხატება უმთავრესად ამ ძალ-დამტანებელ დაწესებულებათა და ამხედრებულ მწარმოებელთა შორის ბრძოლაში. ერთი ნაწილი ამხედრებულთა ძველ საურთიერთო დამხმარებელ, კომმუნისტურ ან მსგავს დაწესებულებათა დაბრუნებას სცდილობდა, ზოგი, — და საუკეთესო ნაწილი, — ახალ, საუკეთესო დაწესებულებათა შექმნას, ზოგიც აჯანყებით სარგებლობდა ხოლმე და სცდილობდა კიდევ უფრო გაეძლიერებია თავისი სიმდიდრე და ბატონობა აუარებელ მშრომელთა დაჩაგვრ-

ით (ეს აზრი გამოსთქვა კროპოტკინმა თავის შესანიშნაშრომაში: the Mutual Aid, as a factor of Evolution). და ბრძოლა ყოველთვის ძალ-დატანებითი იყო ხოლმე, რადგანაც, როგორც არა ვსთქვით, დასანგრევი დაწესებულებანი ძალ-დატანებაზედ იყვნენ დამყარებულნი, და ამ ბრძოლის შინაარსი და მიზანი ამ ძალდამტანებელ დაწესებულებათა დანგრევაში, და ახალ, საურთიერთო დამხმარებელ, კომმუნისტურ დაწესებულებათა შექმნაში გამოიხატებოდა.

ეს იყო ის ბრძოლა, აუცილებლად ძალ-დატანებითი ბრძოლა, რომელსაც ჩვენ **რევოლიუციას** ვეძახით, რომლის ხასიათიც განისაზღვრება იმ დაწესებულებათა ხასიათით, რომელთა დასაქცევადაც ის გაეშურება ხოლმე. როდესაც ესა თუ ის დაწესებულება ძალ-დატანებაზედ არ არის დამყარებული,—მაშინ მისი მოსპობა რევოლიუციით, ძალ-დატანებით, არ არის აუცილებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი რევოლიუცია აუცილებლად ძალ-დატანებითი უნდა იყოს. ამიტომაც არის აბსურდი სიტყვა—„მშვიდობიანი რევოლიუცია“.—იგი ისტორიული აბსურდია, სხვა არა იყოს რა.

ეს საუკუნო მისწრაფება იმგვარ საზოგადოების მოწყობისადმი, სადაც ინდივიდუალურ ძალთა ეკონომია ყოფილიყოს,—ეს საუკუნო მისწრაფება იყო შინაარსი კაცობრიობის ისტორიისა.

ეს მუდმივი იდეალი იმგვარ საზოგადოების შექმნისა, რომელიც ნამდვილი მცველი და განმავითარებელი ყოფილიყოს ინდივიდის ყველა ძალთა,—ეს იდეალი ამოძრავებდა კაცობრიობას და ამოძრავებს ეხლაც. და რადგანაც კომმუნიზმი და ანარხია საუკეთესო ეკონომიური და პოლიტიკური ფორმებია ამ იდეალური საზოგადოების დამყარებისა,—ამიტომაც ემჩნევა კაცობრიობასა და თანამედროვე მუშათა კლასსაც კომშუნისტური და ანარხიული ტენდენცია.

და რადგანაც აგრეთვე ამ იდეალის განხორციელებას წინ

ეღობებოდნენ ძალ-დატანებითი ელემენტები, ამიტომაც ბრძოლა, რევოლიუციები ყოველთვის ძალ-დამტანებელი იყო წარსულში, და ეხლაც მუშათა კლასსი იძულებულია, ძალ-დატანებით, რევოლიუციონურ ბრძოლის მეთოდებს მიმართოს, რადგანაც სახელმწიფო, მისი იდეალის განხორციელების ხელის შემშლელი, ძალ-დატანებით დახასიათდება, განამტკიცებს რა კაპიტალიზმს ცეცხლითა და მახვილითა.

ისტორიას წითელი ზოლივით ევლება როგორც მისწრაფება ხალხისა კომმუნიზმისაკენ და ანარხიისაკენ, ისე ძალ-დატანებითი რევოლიუციონური ბრძოლა.

ამგვარი მაგალითებით სავსეა საბერძნეთ-რომის ისტორია, ფეოდალიზმის ისტორია, ისტორია განახლებისა, საფრანგეთის დიდი რევოლიუცია და თანამედროვე მუშათა კლასსის ისტორია. მთელი თანამედროვე სოციალიზმი ერთი მომენტია ამ დიადი ბრძოლისა, რომელიც უნდა დამთავრდეს დიდი სოციალური რევოლიუციით, ღრმა სოციალური ტრანსფორმაციით, და მუშათა კლასსი ეხლა,—სწორედ ამ თავისი იდეალისა და თანამედროვე საზოგადოების ხასიათის მიხედვით იმუშავებს თავის ბრძოლის ტაქტიკასაც.

თუ ძველად საბერძნეთისა და რომის მონები იარაღით ხელში ომობდენ ბატონთა წინააღმდეგ,—ეს იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ევოლიუციის შედეგი მაშინ მონობაში გამოიხატა და ეს მონობა ძალ-დატანებით, იარაღით იყო განმტკიცებული.

თუ ფეოდალურ ხანაში გლეხები და მუშები იარაღით ებრძოდენ მემამულეებსა, მეფეებსა, თავადებსა და ეპისკოპოსებს,—ამის მიზეზიც ის იყო, რომ ფეოდალური სისტემის შექმნაში დიდი როლი ითამაშა ძალ-დატანებამ და ბატონ-ყმობა იარაღით იყო განმტკიცებული.

თუ დღეს თანამედროვე კაპიტალიზმის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლაა საჭირო, თუ კაპიტალიზმის მოსპობა შესაძლე-

ბელია მხოლოდ ძალდატანებითი რევოლიუციით,—და მარტო ძალდატანებითი რევოლიუციით,—ამისი მიზეზიც ის არის, რომ თანამედროვე კაპიტალიზმთან ერთად განვითარდა თანამედროვე სახელმწიფო. ისინი ორი ერთ-არსება და განუყოფელნი პირნი არიან, შესისხლხორცებულნი ისე, რომ ერთის მოსპობა ყოვლად შეუძლებელია, თუ მეორესთან არ მოგიხდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. და რადგანაც თანამედროვე სახელმწიფო დახასიათდება ჯარით, პოლიციით და ძალ-დამტანებელი დაწესებულებებით, რომელიც არაფერს არ ზოგავს მოწინააღმდეგე ხალხური ძალის გასანადგურებლად, ამიტომ ხალხმაც იგივე ძალ-დატანება უნდა იხმაროს რევოლიუციის დროს,—თოფი, ზარბაზანი, ყუმბარა და სხვ.—მაგალითები:—ყველა რევოლიუციები თუგინდ მე-XIX საუკუნისა და განსაკუთრებით ჩვენ თვალ-წინ მქუხარე რუსეთის დიდი რევოლიუცია.

თანამედროვე სახელმწიფო კაპიტალიზმთან ერთად მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში სდგებოდა ძალ-დატანებით,—იარაღით გლეხების ხოცვით, მათი მიწის დასაკუთრებით მმართველ კლასსთა სასარგებლოდ, ქალაქის მუშათა კავშირთა დევნითა და მოსპობით, ჯარისა და პოლიციის გაძლიერებით, მთელ მილიონ ხალხთა ტანჯვითა და წამებით. და ეს სისტემა, ეს ხუთი საუკუნის განმავლობაში მოგროვილი ტალახი, საზიზღარი ძალ-დატანება, ხალხთა დამონება მაშ რითი უნდა დაინგრეს, თუ არა ძალ-მომრეობით, რომელმაც ხალხის სიღრმიდან უნდა აღმოხეთქოს?

თანამედროვე კაპიტალიზმისა და სახელმწიფოს „ევოლიუციაც“ ისეთი იყო, რომ მასში ძალდატანება თამაშობდა ძლიერ როლს, და ამიტომაც მათ დანგრევაში რევოლიუციონურმა ძალდატანებამ უნდა შიიღოს უმთავრესი მონაწილეობა.

და როდესაც მუშათა კლასსმა უკვე გამოირკვია თავისი იდეალი,—სრული კომმუნიზმი და სრული თავისუფლება,—

როდესაც მან დაინახა, რომ ეს კომმუნიზმი და თავისუფლება არ განხორციელდება, თუ თანამედროვე სახელმწიფო და კაპიტალიზმი არ მოისპო, როდესაც მან დაინახა თვალით, რომ მათი მოსპობა შეუძლებელია ძალა-დაუტანებლად, რადგანაც პატარა გაფიცვის დროსაც არ იბრალებს ხოლმე მუშებს კაპიტალიზმის დარაჯი სახელმწიფო და ტყვიებით ანადგურებს მათ რაზმებს,—როდესაც მუშათა კლასსი დარწმუნდა ამაში მრავალი სისხლის მღვრელი დამარცხებით,—მაშინ შეიმუშავა მან ტაქტიკა, შესაფერი თავისი იდეალისა, დასანგრევ დაწესებულებათა ხასიათისა და მომავალ დაწესებულებათა ხასიათისა აგრეთვე. მან განსაზღვრა სოციალური ტრანსფორმაცია სრულიად რაციონალურად და ლოგიკურად მივიდა ძალ-დატანებითი რევოლიუციის საჭიროების დასკვნამდის.

მისი იდეალია—კომმუნიზმი და ანარხია. მისი საშუალება—ძალდატანებითი სოციალური რევოლიუცია. ეს სამი ცნება კი შეადგენს „ანარხიზმის“ ნიშანდობლივ ხასიათს.

ამაში ჩვენ სრულიად ვეთანხმებით მუშებს, და ჩვენც ვცდილობთ, კიდევ უფრო განვავითაროთ იდეა სოციალური ტრანსფორმაციისა და სოციალური რევოლიუციისა.

მაგრამ ჯერ ვიკითხოთ, ეთანხმებიან თუ არა ყოველივე ამას უკვე მოხსენებულ პარტიათა განსაზღვრანი სოციალური ტრანსფორმაციისა და რევოლიუციისა, როგორია მათი ძირითადი შეცდომანი და თვით ლოგიკაც, რომელიც ვითომც ყოველთვის აკავშირებს მათ იდეალსა და მათ მიერ ამორჩეულ ბრძოლის საშუალებათ? მიუგოთ ჯერ მე-6-ე და მე-7-ე კითხვებზედ და შემდეგ გადვიდეთ იმ კითხვაზედ, თუ რა არის სოციალური რევოლიუცია, რა მომენტებისაგან შესდგება იგი და რას მოასწავებს იგი ადამიანთა ცხოვრების შეცვლის მხრივ?

IV

ჩვენ ნათლად დავინახეთ ზემოხსენებულიდამ, რომ არც ერთი ცნება ჩვენ მიერ განსაზღვრული არა ჰგავს რ. ოპპორტიუნისტების მიერ განსაზღვრულ ცნებათ.

მათთვის სოციალური ტრანსფორმაცია ნელი და მშვიდობიანი გარდაქმნაა საზოგადოებისა, თანდათანი განვითარება და გაუმჯობესობა არსებულ სახელმწიფო და სხვა დაწესებულებათა, ჩვენთვის კი სოციალური ტრანსფორმაცია მოასწავებს ამ დაწესებულებათა სრულ დანგრევას, სრულ მოსპობას და ახალთა შექმნას.

მათი შეხედულება სოციალურ ტრანსფორმაციაზედ დახასიათდება **შეგუების** პრინციპით,—მათ სურსთ შეეგუონ (s'adapter) თანამედროვე წყობილებას, მისი ფარგლიდამ არ გამოვიდენ და ისე გარდაჰქმნან საზოგადოება, ჩვენ კი ვიხილავთ თანამედროვე დაწესებულებათ როგორც ისტორიულად შექმნილ ფორმებს, როგორც იმგვარ ხასიათის ძალთა მიერ შექმნილ ფორმებს, რომელთაც ძალ-დატანების სული აქვს გამჯდარი თვით თავის არსებაში.—ამიტომ ჩვენ შეგუების პრინციპი აბსურდად მიგვაჩნია და სოციალური ტრანსფორმაციის ცნებაშიდაც შეგვაქვს აუარებელი ელემენტი,—ძალ-მომრეობა. ძალ-მომრეობითი მოსპობა ამ დაწესებულებათა, ძალ-მომრეობითი **რევოლიუცია.**

ამით განსხვავდება აგრეთვე ჩვენი განსაზღვრა ზემოხსენებულ პარტიების განსაზღვრათაგან.

სოციალური რევოლიუცია მათ წარმოუდგენიათ რაღაც მშვიდობიან პროცესსად, რომელსაც სისხლის ღვრაც კი არ მოჰყვება, ჩვენ კი იგი წარმოგვიდგენია უმთავრეს პირობად სოციალური ტრანსფორმაციისა, საშინელ ძალ-დატანებით აქტად, რომლითაც იგი დაიწყება და ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ და სხვა და სხვა ხასიათის პროცესსთა შემდეგ დამთავრდება საზოგადოების საფუძვლის სრული გარდაქმნით. ეს კიდევ განსხვავება ჩვენ განსაზღვრათა შორის, მაგრამ უპირ-

ველეს ყოვლისა,—თუმცა ისინი როგორცა ვსთქვით, მართალნი არიან თავიანთ თვალთა ხედვით,—თვით ეს თვალთა ხედვა არ ვარგა, შემცდარია. მათი განსაზღვრანი არ ეთანხმებიან კაცობრიობისა, თანამედროვე მუშათა კლასისა, თვით სოციალიზმის იდეალს. კაცობრიობის იდეალი სრული თავისუფლება იყო ყოველთვის, თანამედროვე მუშათა კლასი აგრეთვე იმ იდეალისაკენ მიისწრაფის, თვით სოციალიზმის შინაარსი ეს იდეალია;—ეს იდეალი კი ნიშნავს, განვიმეორებთ კიდევ, თავისუფალ კომუნიზმსა და ანარხიას, რომელიც ერთად ერთი წარმოსადგენი ფორმაა თავისუფალი, ხალხური სოციალიზმისა და საზოგადოებრივობის პრინციპის განსახორციელებელი იარაღი. მათი განსაზღვრა სოციალური ტრანსფორმაციისა-კი სრულიად ჰრიცხავს ერთსაც და მეორესაც და ამიტომ ეწინააღმდეგება იგი თვით სოციალისტურ იდეალს. აგრეთვე მათი საშუალებანი ბრძოლისა თუმცა ძლიერ ეთანხმებიან მათ მიერ განსაზღვრულ ცნებას სოციალური ტრანსფორმაციისას, მაგრამ თვით ეს საშუალებანი არიან უვარგისნი, ისინი არ ეთანხმებიან არც ისტორიულ ფაქტთა ლოგიკას, არც იმ დაწესებულებათა ხასიათს, რომელთა დანგრევაც უნდა იყოს მიზანი სოციალიზმისა, **რომელთა მოსასპობად ეშურება, მიისწრაფის უკვე ფაქტიურად მუშათა კლასი.** ისტორიაში რევოლიუციებით განახლდებოდა ხოლმე დესპოტიზმისა და მონობის მთრევში ჩაფლული საზოგადოება, ეს რევოლიუციები ბრძოლით, იარაღით იწყებოდენ და ხშირად იარაღითვე მთავრდებოდნენ ხოლმე, და თუ რაიმე პროგრესი მომხდარა საზოგადოებაში, ამ პროგრესის დასაწყისი ყოველთვის ყოფილა შეიარაღებული გალაშქრება მშრომელთა ძალდამტანებელ და მონურ დაწესებულებათა წინააღმდეგ. თანამედროვე საზოგადოებაში არსებულნი დაწესებულებანი, რომლის მოსპობაც სწადია დღეს მუშათა კლასს, ძალდატანებით

რევოლიუციას მოითხოვენ, იწვევენ აუცილებლად; იმისთვის ემზადება მუშათა კლასი, და სწორედ ამ დაწესებულებათა ძალ-დამტანებელი ხასიათი ჰსაზღვრავს მუშათა მხრივ ძალ-დამტანებელ ბრძოლის საშუალებათა არჩევას.

ყოველივე ეს ისტორიული ფაქტია, ფაქტია აგრეთვე თანამედროვე ბრძოლის საშუალებათა განსაზღვრული ხასიათი, და ოპპორტიუნისტთა არჩევანი ბრძოლის საშუალებათა არ ეთანხმება არა თუ სოციალიზმის იდეალს, არამედ თვით ფაქტს, თვით თანამედროვე მოვლენას მუშათა ცხოვრებაში, რომელიც პირდაპირ დიდი სოციალური აფეთქებისაკენ მიისწრაფვის, თუმცა მათი განსაზღვრანი, კიდევ განვიმეორებთ, მათ თვალთა ხედვას სრულიად ეთანხმებიან.

აი რაშია ძირითადი განსხვავება ჩვენსა და მათ შორის. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მათ მიერ ამორჩეულ ბრძოლის საშუალებით ისინი თავიანთ საკუთარ იდეალსაც ვერ განახორციელებენ და ამას თავისი ღრმა მიზეზი აქვს. ჩვენ კიდევ უფრო შორს წავალთ და ვიტყვით,—არა თუ თავიანთ საკუთარ იდეალს ვერ განახორციელებენ, არამედ პირობასაც ვერ შეჰქმნიან თავიანთ საზოგადოების დასაარსებლად,—თავიანთ მიერვე განსაზღვრულ სოციალურ ტრანსფორმაციის მოსახდენად.—აი რატომ:

1) კანონმდებლობა, რომლითაც უნდათ გარდაქმნან ზემოხსენებულმა პარტიებმა საზოგადოება,—ფუნქციაა, პირდაპირი შედეგი მთელი განსაზღვრული საზოგადოებრივი სტრუქტურისა; საზოგადოება უნდა შეიცვალოს და მერე შეიძლება შესაფერი კანონმდებლობის შემოღება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში კანონმდებლობა პირდაპირი ფუნქციაა კაპიტალისტური სახელმწიფოსი, და ყოვლად შეუძლებელია შეცვლა ამ კანონმდებლობისა, თუ კაპიტალისტური სახელმწიფოც არ შეიცვალა; მით უმეტეს შეუძლებელია შეცვლა ამ კაპიტალისტური სახელმწიფოსი კანონმდებლობით, რომ პირველი

უკანასკნელის ფუნქცია არ არის, არც ყოფილა ისტორიულად. განსაზღვრული საზოგადოება შექმნილია ათასნაირ ძალთა მიერ, ათას შთამომავლობას უმუშავნია ამ საზოგადოებრივ განწყობილებათა შესაქმნელად, კანონმდებლობა კი გამოხატულებაა ამ განწყობილებათა, რომელიც იცვლება განსაზღვრულ ძალთა მიერ, და ამ ცვლის თანახმად იცვლება თვით კანონმდებლობაც. კანონმდებლობა თავის თავად ძალას ვერ წარმოადგენს, იგი მაშინ არის ძალა, როდესაც აღმასრულებელი იარაღი აქვს; ეს იარაღი, ეს ძალა კი თვით საზოგადოება, ან მისი ნაწილი უნდა იყოს. მშვიდობიან რეფორმისტებს კი ჰგონიათ რომ არჩევნების დროს უმეტესობა, მთავრობის უმეტესობა წარმოადგენს ძალასო, მაშინ როდესაც თუ ორგანიზაცია,—სამხედრო და საპოლიციო ორგანიზაცია არ არის კანონმდებლობის საზოგადოებაში ძალით გამყვანი, ისე კანონმდებლობას არავითარი აზრი არა აქვს. უამისოდ საზოგადოებაში იგი ვერავითარ ღრმა რეფორმას ვერ მოახდენს. მოიგონეთ თუ გინდ საფრანგეთში უკანასკნელი კანონი კონგრეგაციების შესახებ,—როგორი ძალა დასჭირდა სახელმწიფოს ამ კანონის განსახორციელებლად, —ისიც ნახევრად. რაღა უნდა იყოს მაშინ, როდესაც მთავრობის უმეტესობა მოინდომებს საზოგადოებაში უფრო ღრმა რეფორმის გაყვანას, მაგალითად წარმოების ამა თუ იმ დარგის განსაზოგადოებრივებას,—ერთი სიტყვით როდესაც მას მოუხდება შეტაკება დიდ რომელიმე სოციალურ ძალასთან?—მაშინ ეს შეტაკება რევოლიუციად იქცევა,—რისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, და ამ მხრით ბლანკისტები უფრო მართალნი არიან, როდესაც ისინი ჰქადაგებენ სახელმწიფო ძალის აჯანყებით ხელში ჩაგდებას. ეს უფრო არ არის შეუძლებელი და უტოპიური. მაგრამ რევოლიუციონური გზით სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდებასაც თავისი ფატალური ლოგიკა აქვს,—იგი აუცილებლად რეაქციისაკენ მიდის, ან და თავის წინააღმდეგ

ახალ რევოლიუციას იწვევს,—იმ გვარს, ჩვენ რომ გვსურს,—
და ამიტომაც იგი ისეთივე უვარგისია სოციალური ტრანს-
ფორმაციისათვის, როგორც მშვიდობიანი გზით უმეტესობის
მოპოვება პარლამენტებში და შემდეგ საზოგადოების გარდა-
ქმნა.—ამაზედ კიდევ ცალკე მოვილაპარაკოთ.

2) ბურჟუაზიასა და სახელმწიფოს ისეთი ორგანიზაცია
აქვთ, რომ არჩევნებში ყოველთვის ისინი გამოვლენ გამარ-
ჯვებულნი. ფული, მოსყიდვა, სწავლა-განათლება და ჭკვია-
ნი ხერხები ხალხის არჩევნებში მოტყუებისა, შეშინება ხალ-
ხისა თავისი ძალითა და სიმდიდრით, ხანდახან მუქარა
ულუკმაპუროდ მუშათა დატოვებისა, კავშირი კლერიკალიზმ-
თან, რომელიც დიდ ძალასა და გავლენას წარმოადგენს
განსაკუთრებით გლეხობაში,—ყოველივე ეს ხელს უწყობს
ბურჟუაზიის გამარჯვებასა და ხანდახან სოციალისტური გა-
მარჯვებაც კი არჩევნების დროს ფიქტიური დგება, ხშირად
ბურჟუაზიის სასარგებლოდაც,—ისე მშვენივრად აქვსთ მოწ-
ყობილი საქმე ბურჟუებსა და მათ მოკავშირე, მათ დამცველ
სახელმწიფოს. საყოველთაო საარჩევნო უფლება მთელს ევ-
როპაში და ამერიკაში ერთს დიდ ფიქციად აღმოჩნდა, რეს-
პუბლიკანურ სახელმწიფოებშიდაც-კი. ჯერ ერთი,—ნახევარი
ნაწილი საზოგადოებისა—ქალები—არჩევნებში ევროპაში მო-
ნაწილეობას არ იღებენ, ბ მაშ რაღა საყოველთაო არჩევნებია,
თუ საზოგადოების ნახევარ ნაწილს არ აქვს არჩევნების უფლება.
მეორე,—კიდევაც რომ მიიღოს მონაწილეობა საყოველთაო
არჩევნებში ქალებმა,—მაინც ადვილი შესაძლებელია—ხელ-
საყრელი-კი არა, არამედ მავნებელიც იყოს ეს უფლება კა-
ნონმდებლობის წინმსვლელობისათვის,—თუ ქალთა უმეტე-
სობა კლერიკალების ხელშია და უვიცობითა ბ რელიგიოზური
ფანატიზმით არის შეპყრობილი, როგორც მაგალითად ბელ-
გიაში, საფრანგეთის ძლიერ ბევრს ნაწილებში და სხვაგან.
საზოგადოდ, ხალხის გონებრივი დაქვეითება, რომელსაც

ხელს უწყობს სახელმწიფო ორგანიზაცია და კაპიტალიზმი, ხშირად ქვეყნისათვის უბედურებად აქცევს ხოლმე საყოველთაო საარჩევნო უფლებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რეაქციონურ პარტიათა ხრიკები ადვილად პოულობს ნიადაგს გულ-უბრყვილო ხალხში. მიუმატეთ ამას თვით უმცირესობა-უმეტესობის *) სრული სიაბსურდე, რომელზედაც არის დამყარებული მთელი აზრი საყოველთაო საარჩევნო უფლებისა,—და მაშინ ნათლად წარმოგიდგებათ იგი, როგორც უვარგისი იარაღი სოციალური ტრანსფორმაციისა, მშვიდობიანი თუ არა მშვიდობიანი წესით.

3) შეუძლებელია **ნამდვილ** სოციალისტთა უმრავლესობა პირლამენტში. ამისთვის საჭიროა უმეტესი ხალხისა რწმენით გასოციალისტდეს, ამისათვის აგრეთვე საჭიროა „სოციალისტური პარტია გაიზარდოს ისე, რომ ხალხის უმეტესობა შევიდეს ამ პარტიაში. ამისათვის საჭიროა აგრეთვე ყველა სხვა არა-სოციალისტურ პარტიათა ძალის მინიმუმამდის დაყვანა,—ყველა ეს კი შეუძლებელია: ა) რადგანაც ხალხის უმეტესობას არ შეადგენს ის ელემენტები, რომელთათვისაც ხსენებულ პარტიათა აზრით სოციალიზმი საჭიროა და სასურველი:—პროლეტარიატისა და გაპროლეტარებულ გლეხთა რიცხვი დღეს გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე დანარჩენი ნაწილი განსაზღვრული საზოგადოებისა, და მივიღებთ რა მხედველობაში სახელმწიფოსა და ბურჟუაზიის ორგანიზაციას და ამ ორგანიზაციის მიერ გამოწვეულ მნიშვნელობას არჩევნებში,—ძნელი წარმოსადგენია რომ სოციალისტებმა ამ უმცირესობის უმეტესობაც მიაკედლოს სოციალიზმს, მიუხედავათ მათი ენერგიული პროპაგანდისა და აგიტაციისა. რაც შეეხება ს· დ—ების თეორიას კაპიტალის კონცენტრაციის შესახებ,—ამისი იმედი ტყვილია: ერთი იმიტომ, რომ კონცენტრაცია სულ

*) იხ. ჩვენი „კანონი“.

სხვანაირად ხდება;—იგი თუ არის, ტეხნიკურია, და არა პროლეტართა რიცხვის განმადიდებელი და ბურჟუათა შემამცირებელი. დღეს კაპიტალიზმის ტენდენცია—აგრეთვე ორგანიზიციაა კაპიტალისტების, რომელიც უპირდაპირებდა შეკავშირებულ პროლეტარიატს,—და არა კაპიტალის გადასვლა რამოდენიმეთა ხელში, (კონკურენციის კანონის ძალით), რომელთა ექსპროპრიაცია ადვილი იქმნება ხალხისთვის. მეორე,—კიდევაც რომ ხდებოდეს ეს კონცენტრაცია და შესაძლებელი იყოს გამოანგარიშება იმ ხარისხისა, რომლითაც სოციალიზმის საზოგადოების ელემენტთა რიცხვი მრავლდება საზოგადოებაში და კაპიტალიზმის იკლებს,—მაშინაც ამ „ბუნებრივი“ ეკონომიური პროცესსის დამთავრებას, რომლის პოლიტიკური შედეგიც პარლამენტში სოციალისტთა უმეტესობა იქმნებოდა,—მრავლის უმრავლესი დრო დასჭირდებოდა,—ისე ნელა ხდება ეს პროცესსი, თვით მარქსის თეორიის ძალით, სხვა წინააღმდეგ ეკონომიურ მოვლენათა გამო. და ამ ნელი პროცესსის დამთავრებას უცდის ხალხი? არა, ეს არ ეტყობა სრულიად თანამედროვე საზოგადოებრივ მოძრაობას. პირიქით, მისი ტენდენცია რევოლიუციისაკენაა, ისეთი აუტანელი შეიქმნა დღევანდელი ვითარება. აბსურდია, საზოგადოებრივ მოვლენათა სრული გაუგებრობა და უცოდინარობაა ზემოხსენებული ანგარიში კონცენტრაციის პროცესსის დამთავრებისა და მასზედ დამყარებული იმედები. ბ)—რადგანაც კლერიკალიზმსა, სახელმწიფოსა და ბურჟუაზიულ პარტიებს ისე აქვთ საქმე დაყენებული რომ, სანამ მათ თავიანთი მძლავრი სახელმწიფოებრივი, რელიგიოზური უმეცრებისა და საფინანსო ორგანიზაცია ექმნებათ, ყოვლად შეუძლებელია მათ წინააღმდეგ ლეგალურ ნიადაგზედ ბრძოლა. გ)—რადგანაც თვით სოციალისტური პარტიები ისე გაივსო ბურჟუაზიული ელემენტებით, რომ დღეს ლეგალური სოციალიზმი აღარავისათვის სა-

შიში აღარ არის, და კიდევაც რომ ერთ დღეს პარლამენტებში აღმოჩნდეს „სოციალისტთა“ უმეტესობა,—ეს უმეტესობა ისე იქმნება სოციალიზმს დაშორებული, როგორც მაგალითად ის მთელი მილიონი წვრილი და მომსხო ბურჟუაზიისა, რომელიც ს. დ—ებს ხმას აძლევს გერმანიაში. დ) რადგანაც ბევრ სხვადასხვა მიზეზთა გამო ბურჟუაზიული პარტიები სოციალისტებთან ბლოკს აკეთებენ ხოლმე და პირველად ვითომც და „სოციალიზმის“ გაძლიერების შემდეგ, თვით ეს ბლოკი ღუპავს სოციალისტურ პარტიებსა და ამცირებს ხალხში მათ ავტორიტეტს,—ბლოკის გაკეთება-კი აუცილებელი საჭირო ხდება ყოველთვის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმულ პარტიათათვის იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური ცხოვრება ძლიერ განვითარებულია, პოლიტიკური კითხვები ძლიერ მწვავედ დაყენებული, როგორც მაგალითად საფრანგეთში,—და სხვ. და სხვ.

4) კიდევაც რომ შესაძლებელი იყოს სოციალისტთა უმეტესობა პარლამენტში —ამით ბურჟუაზიას არაფერი არ დაუშავდება. საყოველთაო არჩევნები ბურჟუაზიის იარაღია, წარმომადგენლობითი მთავრობა ბურჟუაზიის წეს-წყობილების პოლიტიკური ფორმა, და თუ მითი სარგებლობა შეუძლია ვისმეს,—ეს მხოლოდ იმავე ბურჟუაზიასა და ხანდახან თავზედ ხელ-აღებულ ავანტიურისტ მონარხსაც. საქმე სახელმწიფო ორგანიზაციაშია,—ჯარში და პოლიციაში,—მხეცურ ძალაში, და ამ მხრივ ვერავითარი უმეტესობა ვერ უშველის სოციალიზმს. თუ ნაპოლეონ მესამემ ისარგებლა პლებისციტით, თუ დღეს ბელგიაში ნამდვილი საყოველთაო არჩევნები განურჩევლად სქესთა კლერიკალიზმის ბატონობას გამოიწვევდა,—ეს იმიტომ რომ ნაპოლეონმა პლებისციტი და Coup d'Etat,—ესე იგი ხალხის უბრალო დახოცვა პარიზის ქუჩებზედ,—შეაერთა, ეს იმიტომ რომ ბელგიის კლერიკალიზმი და ბურჟუაზია ჯარზედა და პოლიციაზედ ამყარებ-

ბენ თავიანთ იმედებს. ეს დაწესებულებანი—მუდმივი ჯარი და პოლიცია, რომლის გამხრწნელი სუნით იწამლება საზოგადოება საუკუნეთა განმავლობაში, ყოველთვის მათ დაუჯერებს, ვინც ყოველთვის მათი მბრძანებელი იყო და არის,—მდიდართა და ბატონთა,—ბურჟუაზიას და კლერიკალებს,—და ამ იარაღით რომელსაც გნებავსთ საპარლამენტო უმეტესობას კისრის ტეხით გამოაძევებს ბურჟუაზია, თუ მოინდომა, როგორც ეხლა რუსეთის მთავრობამ სათათბირო ააწიოკა. მართალი იყო ლიბკნეხტი მე-60-ე წლების დასასრულში რომ ამბობდა: რას შიშნავს უმეტესობა სოციალისტებისა პარლამენტში?—არაფერს! კიდევაც რომ მოვიპოვოთ ჩვენ იგი,—შემოვა რამოდენიმე პოლიციელი, მიგვტყეპავს, წაგვასხამს პოლიციაში და მერე, როცა განგვათავისუფლებენ, ჩვენვე თითონ შეგვრცხვება ჩვენი დონკიხოტობისაო. სულ სხვაა, თუ სოციალისტებმა ძირი გამოუთხარეს თვით ამ დაწესებულებათ,—ჯარსა და პოლიციას,—მაგრამ მაშინ ჯარის აჯანყება, რევოლიუცია იქმნება სოციალისტების გაბატონების იარაღი, და ეს-კი სულ სხვა მოვლენაა, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს მშვიდობიან სოციალურ ტრანსფორმაციასთან და საპარლამენტო უმეტესობასთან.

5) კიდევაც რომ შესდგეს სოციალისტთა უმეტესობა, იგი თვით კანონმდებლობაში ევროპის თითქმის ყველა კონსტიტუციათა ძალით იმპოტენტი იქმნება, რადგანაც ყველა ეს კონსტიტუციები „ძირითად კანონებზედ“ არიან აშენებულნი, და ამ ძირითად კანონთა გამოცვლა არავის არ შეუძლია, გარდა დამფუძვნებელი კრებისა; ამის მოწვევა კი მხოლოდ ახალი, საშინელი სოციალური მოძრაობის შედეგი შეიძლება რომ იყოს,—ამისათვის ახალი რევოლიუციაა საჭირო. რა იქმნება მაგალითად, რომ საფრანგეთის პარლამენტში სოციალისტების უმეტესობა შეეხოს კონსტიტუციის ძირითად კანონს, ანგამოაცხადოს, რომ „დიდი რევოლიუციის“ პრინციპები, გა

მოთქმული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებებში“, რომელთა მემკვიდრედ მიაჩნია დღეს თავი საფრანგეთის ბურჟუაზიას, —მას აღარა სწამს და ახალი დეკლარაცია უნდა გამოსცეს, სადაც კერძო საკუთრება აღარ იქმნება უპირველესი უფლება მოქალაქისა? —ამის უფლება არავითარ უმეტესობას არა აქვს პარლამენტში, თვით კონსტიტუციის ძალით; ამის გამოცადება პირდაპირი უარყოფა იქმნება კონსტიტუციისა, ხალხის მოწვევა რევოლიუციისადმი; მხოლოდ შემდეგ, თუ რევოლიუციამ გაიმარჯვა, დამფუძვნებელი კრება შეიმუშავებს ახალ კონსტიტუციას. მაგრამ აქ სადღაა აგრეთვე მშვიდობიანი, ლეგალური საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია? აქ მოულოდნელი რევოლიუცია იქმნება აუცილებელი, მთელი თავისი წარსული შეცდომებით, რომელმაც შეიძლება ვერავითარ მიზანს ვერ მიაღწიოს, გარდა სისხლის ღვრისა, —შეიძლება 1848 წლის განმეორება მოხდეს, —არც მეტი და არც ნაკლები. თვით ინგლისის პარლამენტსაც არ შეუძლია ამგვარი აქტი მოახდინოს, თუმცა იგი რამოდენიმედ ყოველი სესსიის დროს დამფუძვნებელ კრებას წარმოადგენს, —ისე აქვს გამჯდარი თანამედროვე უფლებას ძარღვებში „ძირითადი კანონი“ კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციისა. კაი ხანი არ არის, რაც ინგლისში უბრალო ქურდობისათვის კაცი სახრჩობელაზედ მიდიოდა...

6) კიდევ წარმოვიდგინოთ რომ პარლამენტებში სოციალისტებმა მოიპოვეს უმეტესობა, იგი არც მთავრობამ დაქსაქსა და დამფუძვნებელ კრებად გადაიქცა. როგორი იქმნება მისი კანონმდებლობა? სასაცილო და შეიძლება სამარცხვინოც, როგორც სოციალისტებისათვის, —ბოლოს და ბოლოს-კი აუცილებლად საშინელი სოციალური აფეთქების გამომწვეველი. სასაცილო იქმნება იგი იმიტომ რომ, თუ საზოგადოება მზად არ არის ახალი კანონმდებლობის მისაღებად ხანგრძლივი მომზადებითა, იდეათა დიდი ზღვის დატრიალებითა

თვით ხალხში, თვით ახალ დაწესებულებათა შექმნის წინ-დაწინ განსაზღვრული მიზნითა და წადილით,—მაშინ ყოველი ახალი კანონი, რომელიც ძირითადათ ეწინააღმდეგება არსებულ წეს-წყობილებას, უბრალო სიტყვად დარჩება და მოკვდება, როგორც უაზრო და უნიადაგო, ქვეყნისაგან სასაცილოდ აგდებული. მაგრამ ეს არა კმარა,—ეს ჩვენ მიერ წარმოდგენილ კანონმდებლობაში იშვიათი მოვლენა იქმნება; საქმე ის არის, რომ ახალი საკანონმდებლო კორპუსი ძალით გაიყვანს ცხოვრებაში კანონს, და რასაკვირველია ძლიერ ბევრ საზიზღარსა და სამარცხვინო ზომებს მიიღებს ძლიერ ბევრ მოქალაქეთა წინააღმდეგ; იგი ამითი როლს გაუცვლის თანამედროვე საზიზღარ ძალ-მომრეობით დაწესებულებათა, და ამითი აამხედრებს თავის წინააღმდეგ მოქალაქეთა ერთ ნაწილს მეორეზედ,—რაიცა სამოქალაქო ომია, რევოლიუცია,—ეს-კი სულ სხვა მოვლენაა, განვიმეორებთ კიდევ, ვიდრე მშვიდობიანი ტრანსფორმაცია საზოგადოებისა. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ ახალი სოციალისტური მთავრობა ექსპროპრიაციის საქმეს შეუდგა. ექსპროპრიაცია—პირველი მუხლია სოციალისტურ პროგრამმისა,—იგი თვით შინაარსია მთელი სოციალისტური მოქმედებისა სოციალისტური ტრანსფორმაციის გარდამავალ ხანაში. ექსპროპრიაციის მოწესრიგებას რომ შეუდგება ახალი მთავრობა, სწორედ მაშინ შეხვდება მას საშინელი გაჭირვება, რომელიც აუცილებლად დიდ რევოლიუციონურ ზღვად გადიქცევა და წაჰლეკავს მას. წარმოება თანამედროვე ხანაში ისეთი რთულია, ისეთნაირად არის გადახლართული ერთმანეთზედ მისი მრავალ-გვარი დარგები, რომ შეუძლებელია მათი ცალ-ცალკე ექსპროპრიაცია. სინჯეთ და მოახდინეთ ექსპროპრიაცია სამრეწველო დარგებში და სამიწადმოქმედო დარგი ისე დასტოვეთ: მაშინ გამოიწვევთ მთელი კაპიტალისტური მეხანიზმის იმგვარ დაშლას, რომ შეუძლებელია ამ დაშლამ დიდი სო-

ციალური აფეთქება არ გამოიწვიოს. ან მოახდინეთ ექსპროპრიაცია მარტო სამიწად-მოქმედო დარგში და მრეწველობა ისევ კაპიტალისტების მადას ჩაუგდეთ ხელში,—მაშინაც იგივე შედეგი მოჰყვება მშვიდობიან სოციალისტურ კანონმდებლობას. ან და კიდევ,—სინჯეთ და თანდათანი გამოსყიდვით მოინდომეთ ეკონომიური ტრანსფორმაცია, როგორც ამბობს კაუცკი, ან და გამოჰხატეთ „სოციალისტური მოწყობა“ წარმოებისა იმაში, რომ მთელი წარმოება სახელმწიფოს ფუნქციად გაჰხადეთ (ეს იყო იდეალი დესპოტ ლუი მე XIV-ისა),—„გაჰხადეთ ყველა მოქალაქენი სახელმწიფო მოხელეებად“, როგორც ამას ამბობს ბევრი ფრანგი და ბელგიელი სოციალისტი, როგორც მაგალითად ბერტრანი დ დევილლი,—და მაშინ ნახავთ, ვის დააკმაყოფილებს ამგვარი „მოწყობა წარმოებისა“, ამგვარი „გამოსყიდვა“, ამგვარი „ეკონომიური განთავისუფლება მუშათა კლასისა“!—თუ განსაზღვრული ტერრიტორიის თვითეულ ერთეულზედ არ მოხდა თვით მუშათა მიერ საწარმოო საშუალებათა ექსპროპრიაცია და მათ მიერვე წარმოების მოწყობა, თუ, როგორც უკვე ვსთქვით, ამ აქტს წინ არ უძღვის მთელი ზღვა სოციალისტურ იდეათა, თუ ამ იდეათ არ აქვს მთელი ხალხი გარემოცული, თუ ამ ხალხს, თვითოეულ პროვინციაში, თვითოეულ ქალაქში და სოფელში, თვითეულ ქარხანაში, სახელოსნოში და ყანაშიაც კი არ აქვს წინდაწინ შეგნება, სწორი გათვალისწინებული გეგმა ექსპროპრიაციის და მომავალი. ამხანაგური წარმოების წესის დამყარებისა,—ტყვილია კანონმდებლობა,—იგი ან ზერელ შეეხება თანამედროვე სოციალურ შინაარსს და მისს ძარღვს ვერც კი ჩასწვდება,——მაშინ სოციალური ტრანსფორმაცია ხელ ახლავ საოცნებო იქმნება,—ან და, თუ შეეხა მისს შინაარს, იგი მხოლოდ საშინელ სოციალურ აფეთქებას გამოიწვევს, საშინელ კატასტროფას, რომელიც ვინ იცის, რითი გათავდება;—იქნებ ეს იყოს მართლაც სოცია-

ლური რევოლიუციის დასაწყისი,—იქნებ კი საშინელი რეაქციითაც გათავდეს და იმედი სოციალური ტრანსფორმაციისა კიდევ უფრო შორეული მომავლისათვის გადიდვას. სამივე ამ შემთხვევაში კანონმდებლობა უვარგისია, როგორც იარაღი სოციალური ტრანსფორმაციისა: პირველსა და უკანასკნელ შემთხვევაში ცხადია რითაც არის იგი უვარგისი,—მეორეში-კი, რომელიც უფრო ნაკლები მოსალოდნელია ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, იგი იწვევს რევოლიუციას სრულიად მოუმზადებელი ხალხისას, რომელიც გამარჯვების შემდეგაც ვერ მოიმკის ნამდვილ გამარჯვებას; ეხლა-კი, ამ მომავალი დამარცხებისათვის, და არა გამარჯვებისათვის, ეუბნება ხალხს კანონმდებლობა,—მე მომიცადე, მე მოგიწყობ საქმეს მომავლისათვის და მომავალში, დაანებე თავი რევოლიუციის მზადებასო!—ამიტომაც კანონმდებლობა აგრეთვე უვარგისია, როგორც ეხლა მიმძინებელი ხალხისა, მომავალში-კი შეიძლება დამარცხებული რევოლიუციის გამომწვეველი.

7) ავიღოთ ეხლა ბლანკისტებისა და სოციალისტ-რევოლიუციონერების*) საშუალება სოციალური ტრანსფორმაციისა—დიქტატურა პროლეტარიატისა, დიქტატურა პროლეტარული კანონმდებლობისა, რომელიც ძალ-დატანებითი რევოლიუციის შედეგი უნდა იყოს. ეს სოციალისტები ამზადებენ ხალხს (რასაკვირველია,—უფრო ჰგონიათ რომ ამზადებენ, ვიდრე ნამდვილად ამზადებენ) დიდი რევოლიუციისათვის, რომ საშინელი მტვრევის შემდეგ ყველა ძველ დაწესებულებათა ხელში ჩაიგდონ სახელმწიფო ძალა, დაამყარონ პროლეტარიატის დიქტატურა და შემდეგ კანონმდებლობით გარდაქმნან საზოგადოება. მათი აზრით მთელი მუშათა ორგანიზაციები, მთელი მათი ძალ-ღონე, მთელი მათი ენერგია ამ დიქტატურის მოპოვებისაკენ უნდა იყოს მიმართული. მაგრამ ეს საშუალებაც ისეთივე უვარგისია და უტოპიური მისი შე-

*) ამ ტერმინს ჩვენ არა ვხმარობთ, როგორც რუსეთის ერთი განსაზღვრული პარტიის აღმნიშვნელს.

დეგების მხრივ, როგორც მშვიდობიანი კანონმდებლობა. პროლეტარიატის დიქტატურა პირდაპირი აზრით ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც დაქტატურის მომხრენი სახელმწიფოისტები არიან, და მათი დაქტატორობა მთელი პროლეტარიატის თავისუფალი მოქმედება კი არ იქმნება, არამედ იგივე წარმომადგელობითი მთავრობის დასმა საზოგადოების თავში, როგორც არსებობს ეხლა, იმ განსხვავებით, რომ უმეტესობა იქმნება ამ მთავრობაში სოციალისტები და პროლეტარიატის წარმომადგენლები. ;ეს კი საქმეს სრულიადაც არა სცვლის. აქ ისევ ის მოხდება, რაიც ჩვენ უკვე განვიხილეთ ზემოხსენებულ პუნქტებში· დიქტატურა მთავრობისა, ან, ადვილი შესაძლებელია, ერთი რომელიმე მძლავრი პიროვნებისაც, დიქტატურის მიერ გამოწვეული აუცილებელი ცენტრალიზაცია ახალი სახელმწიფო ძალისა, მუდმივი უკმაყოფილება ხალხისა ახალ მტარვალობისადმი,—რადგანაც ყოვლად შეუძლებელია მთავრობამ დააკმაყოფილოს ხალხი, განსაკუთრებით რევოლიუციის დროს,—მიღებული აუცილებელი რეპრესსიები მთავრობის მიერ ხალხის წინააღმდეგ, უკმაყოფილება უმრავლესობისა ან უმკირესობისა საზოგადოებაში და მათი აჯანყება, ინტრიგები, რომელიც აუცილებელია ყოველი დიქტატურის დროს, იგივე შეუძლებელი პრეტენზია მთავრობის მხრივ გადასწყვიტოს ყველა კითხვები რევოლიუციისაგან წამოყენებული, განსაკუთრებით კითხვა ექსპროპრიაციისა, და სხვ. და სხვ.,—ყოველივე ეს საშინელი სიმძლავრით იჩენს თავს პროლეტარიატის დიქტატურის დროს, და მით უმეტესი სიმძლავრით, რაც უფრო ღრმაა რევოლიუცია. ასტყდება, როგორც ყველა რევოლიუციათა დროს, საშინელი ბრძოლა ხალხსა და ახალ მთავრობას შორის, ხალხი მეორე რევოლიუციას მოახდენს, თავისი საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ, და ვინ იცის, განვიმეორებთ კიდევ,—იქნებ ეს მეორე აქტი დიდი სოციალური რევოლიუციის დასაწყისიც იყოს, იქნება კიდევ

საშინელი რეაქციისა და ბურჟუაზიული ბატონობის დაბრუ-
ნებისა. მართალია, დაქტატურისათვის მოხდენილ რევოლიუ-
ციაში ხალხი ძველ საზოგადოებრივ განწყობილებათ ანგრევს,
ახალ ძირითად „სოციალისტურ“ კანონთა შესაქმნელად, მაგ-
რამ დიკტატურით, ახალი მთავრობისა და სახელმწიფოს
შენებით, იგი ისევ უარჰყოფს თავის რევოლიუციას,
იგი ისევ აღადგენს დანგრეულსა და უბრუნდება თავის ინი
ციალ (პირველ დასაწყის) მდგომარეობას. ეს იყო მუდმივი
შეცდომა წარსულ რევოლიუციათა, ეს შეადგენს დედა-ძარღვს,
—ეს შეცდომა,—ბლანკისტების ბრძოლის ფილოსოფიისას,
რომელიც მარქსმა და თანამედროვე ეგრედ-წოდებულ რევო-
ლიუციონურ ს· დ—ებმა მთლად გადმოიღეს უკრიტიკოდ
და გადუსინჯავად ბლანკისაგან, და სწორედ ეს არის ეხლა
დაგმობილი ყველა იმ მუშათა ორგანიზაციებისაგან, რომელ-
თაც განსაზღვრული კომუნისტური იდეალი აქვსთ და ამ
იდეალთან შეთანხმებული საშუალებანი ბრძოლისა. მათთვის
სახელმწიფოს დანგრევა, ყველა საწარმოო საშუალებათა ექს-
პროპრიაცია და წარმოების მოწყობა მუშათა თავისუფალ
ჯგუფთა მიერ,—აი ერთად ერთი საშუალება სოციალური
ტრანსფორმაციისა, და არა ჯერ დიქტატურა და მერე მთავ-
რობის მიერ მოწყობა მთელი საზოგადოების ცხოვრებისა კა-
ნონით, როგორც ამბობენ ბლანკისტ-მარქსისტები. ზემოხსე-
ბულ მიზეზთა გამო ეს უკანასკნელი ისეთივე უშინაარსობა,
შეფერხება, დაგვიანება და შეიძლება დაღუპვაც იქმნებოდა
სოციალური რევოლიუციისა, როგორც სხვა ზემოხსენებული
ზომები.

8) ზემოხსენებულ პარტიათა საშუალებანი ბრძოლისა
მათ იდეალსაც არ ეთანხმებიან. როგორიც არ უნდა იყოს
მათი კოლექტივიზმი, მაინც მათ იდეალში იგი განთავისუ-
ფლებაა კაპიტალისტობისა ეკონომიური ექსპლოატაციისაგან, იგი
განთავისუფლებაა ადამიანის პიროვნებისა, იგი აუცილებელი

საფუძველია ადამიანის თავისუფალი განვითარების და მომავალი ძლიერი პროგრესისა;—იგია გარდასვლა, ენგელსის სიტყვით, აუცილებლობის სამფლობელოდამ თავისუფლების სამფლობელოში. ბებელის იდეალი, რომელიც მას აქვს დახატული თავის წიგნში „ქალი და სოციალიზმი“—დიდი იდეალია კაცობრიობისა;—ხანდახან ბებელი ისეთი გატაცებითა ჰხატავს ამ იდეალს, რომ სრულებით ავიწყდება, რომ იგი სოციალდემოკრატია, სახელმწიფოს მომხრე და კოლლექტივისტი. მაგრამ თუ სოციალური ტრანსფორმაცია ისე მოხდა (ჩვენის აზრით ეს შეუძლებელია), როგორც ზემოხსენებული პარტიები ამას ესწრაფვებიან,—მშვიდობიანი კანონმდებლობით, ან დიქტატურით,—თუ სახელმწიფო დღეს აუცილებელი ბერკეტია სოციალური რევოლიუციისა და მომავალშიაც აუცილებელი ფორმა ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რცგორც ეს მათა ჰგონიათ,—მაშინ, ლოდიკურად რომ გავსინჯოთ ყველა შედეგები საქმის ამგვარი ვითარებისა,—მათი იდეალიც სრულიად ვერ განხორციელდება. თანამედროვე კაპიტალიზმი მხოლოდ ფორმას შეიცვლის: მშვიდობიანი ტრანსფორმაციის შემდეგ თანამედროვე კერძო კაპიტალისტთა ან მემამულეთა მაგივრად აღჩნდება კომმუნა, ქალაქი, ან სახელმწიფო, უფრო კი ეს უკანასკნელი, რომელიც იქმნება კაპიტალისტი, ექსპლუატატორი მუშისა. ამ უკანასკნელს მიეცემა, როგორც თვითონვე ამბობენ კოლლექტივისტები, ფულის მაგიერი ჩეკები, გამომხატველი მისი მწარმოებელი ძალისა და დროისა. იქმნება განსხვავება სხვა დას სხვა კატეგორიის მუშათა შორის ჯილდოს მხრივ, იქმნება ჯარი, პოლიცია და სამსაჯულო-საპყრობილეები ამგვარი ეკონომიური ორგანიზაციის დასაცველად, რადგანაც მითი არავინ არ დაკმაყოფილდება, აგრეთვე რადგანაც სახელმწიფოები ისევ დარჩებიან, და მაშასადამე განსაზღვრული ტერრიტორია და საზღვრებიც. ან და იქნებ ერთი მსოფლიო ეკონომიური, ცენტრალისტური სახე-

ლმწიფოს დაარსება უნდათ კოლექტივისტებს?—ეს ხომ უარესი უტოპია და აბსურდი იქმნებოდა, ან, თუ შესაძლებელი იქმნებოდა, იმგვარი საშინელება, როგორიც არ ეგნახავს კაცობრიობას მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში.—იგივე მოვლენა მოხდებოდა დიქტატურის შემდეგ დამყარებულ სოციალისტურ სახელმწიფოებშიაც. ერთი სიტყვით, მთელი თანამედროვე ეკონომიური და პოლიტიკური მონობა, ყველა თანამედროვე მონური დაწესებულებანი დარჩებიან ზემოხსენებულ საშუალებათა მიერ განხორციელებულ საზოგადოებაში,—და არა გვგონია, რომ მართლაც ეს დესპოტიზმი იყოს ყველა თანამედროვე სახელმწიფოისტ-სოციალისტურ პარტიათა იდეალი. თუმცა კაუცკი თავის „ერფურტის პროგრამმაში“ და „სოციალური რევოლიუციის მეორე დღეს“, გედი თავის „კოლლექტივიზმში“, ვანდერველდი თავის ბევრ ნაწერებში, ბერტრანი, რომელიც მთელ კაცობრიობას „გაჩინოვნიკებას“ ჰპირდება, დიდს ვერაფერს ჰპირდებიან მომავალ „განახლებულ კაცობრიობას“, მაგრამ იდეალი მარქსისა, ენგელსისა, ბებელისა და ბევრ სოციალისტთა სულ სხვაა, და არავითარი საერთო არა აქვს მათ არც „რეკვიზიციასთან“, არც „მოთხოვნა-მიწოდების კანონთან“ და არც „ჩინოვნიკობასთან“ მომავალ საზოგადოებაში. ზემოხსენებული საშუალებანი და მოქმედება თანამედროვე „პარტიათა„ სწორედ ამ უკანასკნელი ტიპის იდეალს განახორციელებს მხოლოდ,—და ამ მხრით კაუცკი, გედი და ბერტრანი უფრო ათანხმებენ საშუალებათა და იდეალს,—მაგრამ უმეტეს გულწრფელ სოციალისტთა იდეალი, რაც თუ გინდ მშვიდობიანი იყვნენ იგინი,—როგორც მაგალითად ჟორესი,—სულ სხვაა,—უფრო მაღალი და სპეტაკი,—და ამ იდეალს, რაც თუნდ უფრო დაბლა იდგეს იგი ჩვენ, „ანარხისტულ—უტოპისტურ“ იდეალზედ, მაინც არ ეთანხმება მათი საშუალებანი ბრძოლისა, რომელნიც პირდაპირ, ლოდიკურად მიდიან უუსაშინელეს

მონობისაკენ და დესპოტიზმისაკენ. ყოველისფერს თავისი აუცილებელი ლოგიკა აქვს.

ამგვარად, ჩვენის ფიქრით, ჩვენ ვეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ მშვიდობიან და რევოლიუციონურ პარტიათა სურვილი სახელმწიფოს ხელში ძალის ჩაგდებისა და მერმე საზოგადოების გარდაქმნისა—სრული უტოპიაა,—იგი ვითომც ეთანხმება მათ განსაზღვრას სოციალური ტრანფორმაციისას, მათ იდეალს, —მაგრამ ნამდვილად კი თანხმობაც არა სჩანს თვით მათ განსაზღვრათა და მათ ბრძოლის საშუალებათა შორის, რადგანაც კანონმდებლობა ვერ გარდაქმნის საზოგადოებას, რადგანაც არჩევნებში ყოველად შეუძლებელია პროლეტარიატას გამარჯვება, რადგანაც საყოველთაო საარჩევნო უფლება ფიქციაა და სხვა არაფერი, რადგანაც თვით პრინციპი უმრავლეს-უმცირესობისა აბსურდია და სხვა არაფერი, და მასზედ დამყარებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია—რევოლიუციას იწვევს, რაიცა უარყოფაა სახელმწიფოსი და მშვიდობიანი მოქმედებისა, — ორი დამახასიათებელი მხარისა ზემოხსენებულ პარტიათა,—რადგანაც, კიდევაც რომ შესაძლებელი იყოს სოციალისტთა უმეტესობა პარლამენტში, ბურჟუაზია სახელმწიფოს ძალით განდევნის მას, ან კიდევაც რომ არ განდევნოს, ეს პარლამენტი უფლების მხრივ იმპოტენტი იქმნება, ვიცით რა რომ მხოლოდ „დამფუძნებილ კრებას“ შეუძლია ძირითად კანონთა შეცვლა,—ეს კი რევოლიუციის საქმეა,—ან და კიდევ ამგვარი პარლამენტი უნაყოფო და უშედეგო იქმნება,—რადგანაც, კიდევაც რომ ხელი არ შეუშალონ პარლამენტს, იგი უსათუოდ ან უშედეგო დარჩება აგრეთვე, ან და რევოლიუციას გამოიწვევს, რაიცა, განვიმეორებთ, უარყოფაა სახელმწიფოსი და მშვიდობიანობისა; რადგანაც ბლანკისტებისა და რევ. ს. დ—ების მიერ სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება რევოლიუციონური

გზით იმავე შედეგებს იძლევა, როგორც მშვიდობიან სოციალისტთა მოქმედება,—ან არარაობას და ან მეორე რევოლიუციას;—რადგანაც თვით იდეალი ყველა ამ სოციალისტთა არ ეთანხმება სრულიად ბრძოლის იმ საშუალებათა, რომელთაც აუცილებლად ან არარაობა მოაქვსთ, ან შემდეგ რევოლიუციას იწვევენ, რომლის შედეგი ან სულ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია იქმნება, ვიდრე მათ მიერ იდეალად დასახული, ან და საშინელი დესპოტიზმი, რომელიც არ არის კოლლექტივისტებისა და ავტორიტარული კომმუნისტების იდეალი. მაგრამ განა საქმე ის არის, რომ პარტიები არსებობენ, ამ პარტიებს აქვსთ განსაზღვრული იდეალი და მისი თანახმა საშუალებანი ბრძოლისა? მართალია, ყოველივე პარტიას, როგორც განსაზღვრულ იდეიალთა და აზრთა მქონეს, განსაზღვრულ ბრძოლის საშუალებათა მატარებელს, შეაქვს თავისი წვლილი საერთო მოძრაობაში, იგი შედის, როგორც განსაზღვრული ჯგუფი მომქმედ პირობათა, განსაზღვრულ ოდნობად ხალხის მოქმედებაში, მაგრამ მათი ენერგია, მათი მოქმედება, შედარებით საერთო ენერგიასთან, რომელსაც მთელი ხალხი შეიცავს და რომლის მუშაობის შედეგიც არის ხოლმე მთელი სოციალური ტრანსფორმაცია, ისეთი მცირეა, რომ მათზე ლაპარაკი მხოლოდ იმდენად შეიძლება, რამდენადაც იგი აფერხებს ან წინა სწევს რომელიმე საზოგადოებრივ პროცესს, და არა როგორც ამ პროცესსის გამქარწყლებელ ან სხვა მიმართულებაში გამომხატველ ფაქტორზედ.

ამიტომ მშვიდობიან პარტიათა ესა თუ ის განსაზღვრანი, და მათი ბრძოლის საშუალებანი უფრო ნაკლებად გვაინტერესებენ საერთოდ, ვიდრე თვით ხალხის იდეალი და მისი საშუალებანი ბრძოლისა, მით უმეტეს, რომ ზემოხსენებულ პარტიათა იდეალი და ბრძოლის საშუალებანი ერთმანეთსაც არ ეთანხმებიან, თუმცა პირველი შეხედვით ეს ნამდვილი ეგონება ადამიანს.

მას შემდეგ, რაც კერძო საკუთრებაზე დამყარებული ეკონომიური მონობა გაჩნდა და პოლიტიკურმა მონობამ განამტკიცა ეს ეკონომიური მონობა, ხალხის იდეალი მუდამ იყო ამ მონობიდან თავის დახწევა,—და რადგანაც ხასიათი ამ დაწესებულ მონობისა ძალ-დატანება იყო,—ხალხის ბრძოლის საშუალებაც ყოველთვის იყო ხოლმე ძალდატანებითი; —ძალდატანებითი რევოლიუციები ახასიათებენ მთელი კულტურული კაცობრიობის ისტორიას,—და თანამედროვე სოციალიზმი, მთელი ბუნებრივი მისწრაფება მისდამი თანამედროვე ხალხთა, მხოლოდ ერთი მომენტია ამ მუდმივი ბრძოლისა. ამით აიხსნება, რომ მშვიდობიან სოციალისტთა თეორიებსა და მოსაზრებებს არასოდეს არა ჰქონიათ ხალხში დიდი გავლენა, ხალხი მუდამ ძალმომრეობას მიმართავდა ხოლმე არსებულ დაწესებულებათა წინააღმდეგ, ამასთანავე მისი იდეალი ყოველთვის იყო სრული მოსპობა ეკონომიურ ბატონობისა და სახელმწიფოსი. ამ მხრით, განსაკუთრებით საფრანგეთში, მწარე გამოცდილების შემდეგ ბლანკიზმმაც მოსჭამა წუთი-სოფელი, და დღეს ნაძდვილ მებრძოლ პროლეტარიატს,—საფრანგეთისა, ისპანიისა, იტალიისა, ჰოლანდიისა და ამერიკის პროლეტარიატს,—თვით იდეა პროლეტარიატის დიქტატურისა სრულიად არ მიაჩნიათ სოციალიზმის განსახორციელებელ საშუალებად და თავიანთ თავისუფალ რევოლიუციონურ მოქმედებიდამ მოელიან ხსნას.

განვიმეორებთ, მიუხედავათ მშვიდობიან პარტიათა მშვიდობიანი ქადაგებისა, რევოლიუციონური ტენდენცია არსებობს ხალხში, იგი განისაზღვრება იმ დაწესებულებებით, რომელთა ხასიათიც ძალდატანებაა, და ეს ძალდატანებითი ხასიათი დასანგრევ დაწესებულებათა განსაზღვრავს ბრძოლის ძალ-დატანებითი ხასიათის აუცილებლობას. ამით აიხსნება ხალხის რევოლიუციონური ტენდენცია, რომელიც ძველი დროიდან მომდინარეობს და ეხლაც აუცილებელი ხდება ხალხისა-

თვის. ამისთვის ემზადება იგი, აწყობს თავის ორგანიზაციებს, სარგებლობს სამხედრო ტეხნიკით, რომ „საბოლოო ბრძოლა“ გამოუცხადოს ბურჟუაზიასა და სახელმწიფოს.

წარსულ რევოლიუციებს, დიდ რევოლიუციებს სწორედ ეს ორი რამ ახასიათებდა განსაკუთრებით,—კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს უარ-ყოფა და ძალ-დატანებითი ბრძოლა არსებულ დაწესებულებათა წინააღმდეგ,—კომმუნიზმისა და ანარხიისადმი მისწრაფება, და იარაღით ხელში მოსპობა მონურ დაწესებულებათა. აი ამ ორ ფაქტზედ ვამყარებთ ჩვენ ჩვენს იდეალსა და ბრძოლის საშუალებასაც,—იგინი ხალხურნი არიან, და მით უკეთესი ჩვენ იდეათა გავრცელებისა და მითი ხალხის სულის აღფრთოვანებისათვის!

გარდა ამისა, თვით თანამედროვე საზოგადოება რომ ავიღოთ და ამ ჯრსებულ საზოგადოებრივ განწყობილებათა ფარგალში რომ განვიხილოთ მუშათა კლასთა მოქმედება, მაშინაც ვერ დავეთანხმებით მშვიდობიან სოციალისტებს, ვითომც კანონმდებლობას რაიმე ძალა ჰქონდეს. თვით რეფორმების განხორციელება შეუძლებელი ხდება მშვიდობიანად მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ინგლისის მუშათა კანონმდებლობის ისტორია ვინც იცის,—მისთვის ეს ცხადია. მთელი ნახევარი საუკუნის ომი დასჭირდათ ინგლისის მუშებს, სანამ უუმცირეს რეფორმებს მოიპოვებდნენ. ვებბის ისტორია ტრედ-იუნიონიზმისა და მისივე ისტორია 8 სათის სამუშაო დღისა ნათლად მოგვითხრობენ მ ომს ინგლისის მუშათა კლასისას. საფრანგეთის მუშათა კლასის ისტორიის ცოტად თუ ბევრად მცოდნეც აგრეთვე მალე დარწმუნდება ამ ჭეშმარიტებაში. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საერო კრებამ გაიყვანა 1791 წელს შაპელიეს კანონი მუშათა კავშირების წინააღმდეგ, 1884 წლამდის, როდესაც დაკანონდა თითქმის მთელი საუკუნის ომი უუმცირეს რეფორმათა მოსაპოებლად,—გაფიცვებით აჯანყებით, იარაღით

ხელში,—პარლამენტი მხოლოდ აღსრულებულ ფაქტს აკანონებდა. აიღეთ მაგალითად მშვიდობიანი სოციალისტის პოლ ლუის წიგნი—„მუშა სახელმწიფოს წინაშე“—L'Ouvrier devant l'Etat,—სადაც იგი შედარებით მუშათა კანონმდებლობას იკვლევს, და დაინახავთ, თუ რა უბედურება გამოუვლია განსაკუთრებით საფრანგეთის მუშათა კლასს უბრალო რეფორმათა მოსაპოვებლად. სხვა ქვეყნებში კიდევ უარესი იყო. ისპანიაში და იტალიაში, სადაც მონობა უარესად იყო ფესვგადგმული, ვიდრე ინგლისში და საფრანგეთში, მუშებს რეფორმათა მოსაპოვებლად მთელი წყებანი დასჭირდათ აჯანყებათა. ამისათვის ბურჟუაზიამ და სახელმწიფომ კიდევ უარესი სისასტიკე გამოიჩინეს რეფორმათა მოსურნე მუშათა წინააღმდეგ. რუსეთის ბარბაროსობის ამბავი ყველამ ვიცით. აქ არც „დაკანონებაა“ რეფორმათა, აქ ბრძოლით ნაშოვნი მუდამ თოფით უნდა დაიცვა, რომ იმავე მინუტში უკანვე არ წაგართვან. ასე რომ მშვიდობიან რეფორემბზედ ლაპარაკი, უუმცირესიც რომ იყვნენ ეს რეფორმები, ისეთივე ისტორიული შეცდომაა, როგორც მშვიდობიანი რევოლიუციაა. რაც შეეხება პოლიტიკურ რეფორმებს, ამაზე ყველა ისტორიის ზერელად მცოდნეც დაგვეთანხმება, რომ პოლიტიკურ რეფორმათა მოპოვება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ეკონომიურ რეფორმათა. ის რეფორმები კი, რომელნიც გამოვიდნენ ხალხის მიერ რევოლიუციის დროს არჩეულთა კანონმდებლობიდამ, არასოდეს არა ყოფილან ხალხის დამაკმაყოფილებელნი, და უმეტესი ნაწილი არც ხანგრძლივი:—შემდეგ გამაგრებული სახელმწიფო სპობდა ხოლმე საუკეთესო რეფორმებს. მოიგონეთ დიდი რევოლიუციის კანონმდებლობა და 48 წელი;—ასე რომ, „რეფორმიზმის“ მხრივაც, არც დიქტატურა და საყოველთაო არჩევნები, არც გამარჯვებული რევოლიუციიდან გამოსული არჩევნები აკმაყოფილებდა ხალხს, და მით უმეტეს იგი ვერ მოახდენს ურღრმეს რეფორმას,—

ძირითად შეცვლას თანამედროვე საზოგადოებრივ განწყობილებათა შინაარსისა.

ხალხის აუცილებელ ტენდენციას, მის რევოლიუციონურ ინსტინქტებს ვაქცევთ ანარხისტები უმთავრეს ყურადღებას. ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფო და ბურჟუაზია თავის დღეში არაფერს არ დაუთმობენ ხალხს, იგინი თვისი ძალდამტანებელი დაწესებულებებით მუდამ ებრძვიან მის იდეალსაც და რეფორმის მოთხოვნილებათაც,—და ამიტომა ვართ ჩვენ მტერნი ყოველივე მშვიდობიანობისა, როგორც ნამდვილი უტოპიისა,—ხალხის დამმონებელ უტოპიისა. ხალხის იდეალი კი, როგორც ჩვენი, სრული მოსპობაა ბურჟუაზიისა და სახელმწიფოისა. მათი მოსპობა მხოლოდ ძალდატანებითი რევოლიუციით შეიძლება. ამ რევოლიუციისაკენ აუცილებლად მიისწრაფის დღეს ხალხი, იძენს რა კერძო რეფორმებს თვისი ბრძოლის წინსვლაში. ამ ბრძოლის ხელის შემწყობი ვართ ჩვენ,—დიადი ბრძოლის, სოციალური რევოლიუციის მომამზადებელნი, რადგანაც სოციალური რევოლიუცია უღრმესი და მთელი თანამედროვე წეს-წყობილების განმანადგურებელი უნდა იყოს, რომ ახლის შექმნა იქმნას შესაძლებელი; მან არ უნდა განიმეოროს წარსულ რევოლიუციათა შეცდომანი, რომ ისევ უნაყოფო არ დარჩეს ხალხის დიადი ბრძოლა, და განხორციელდეს მისი დიადი იდეალი,—კომმუნიზმი და ანარხია. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ეხლავე საჭიროა შვმუშავება დიადი იდეალის განმახორციელებელი დიადი საშუალებისა,—რომ ზარმა სოციალური რევოლიუციისამ რაც შეიძლება მალე დაჰკრას, და ხალხიც ამ ზარის ზრიალს ახალი იდეით, სრული მომზადებული შეხვდეს, სრულიად შეგნებული ახალ საზოგადოებრივ განწყობილებათა შექმნისათვის, რომელიც უნდა იყოს ნაყოფი სოციალური რევოლიუციისა.

ეხლა ამ უკანასკნელზედ ვილაპარაკოთ.

V

სოციალური რევოლიუცია არ არის მარტო ჩვენი სურვილის თანახმა მოვლენა, რომელიც მომავალში უნდა შეიქმნას აუცილებელი წინ მსრბოლი პირობა კაცობრიობის განახლებისა. სოციალური რევოლიუცია—აუცილებელი შეიქმნა, და ამ აუცილებლობას გრძნობენ დღეს როგორც მშრომელი კლასსები და ბურჟუაზია, ისე სახელმწიფო ყველა თავისი დაწესებულებებით, —აგრეთვე მრავალფეროვანი გამოხატულებანი საზოგადოებრივობისა.

თვით ხალხის სიღრმიდამ იკრიბება დღეს დიდძალი ენერგია სოციალური რევოლიუციის მოსახდენად, და სახელმწიფოსა და ბურჟუაზიის ენერგიაც შესაფერად ემზადება და ნაწილდება სხვა და სხვა დაწესებულებებზედ, რომ ჯეროვანად შეხვდეს მომავალ განმანადგურებელ ქარიშხალს.

დღეს კაცობრიობას აუარებელი საწარმოო ენერგია აქვს დატრიალებული, აუარებელ საგანს აწარმოებს ეს ენერგია, აუარებელი დახარჯული ენერგიის წყაროს შეადგენს ეს ნაწარმოები, და ამ წყაროთა ჯეროვანი განაწილება იხდივიდთა შორის სრულ ჰარმონიას შეჰქმნიდა ადამიანსა და ბუნებას შორის. ადამიანის დახარჯული ენერგია წარმოების პროცესსში რომ ივსებოდეს ნაწარმოები ენერგიის წყაროდამ წარმოების პროცესსის გარეშე,—რომ შემდეგ ისევ დაიწყოს ციკლი ადამიანის ენერგიის ტრანსფორმაციისა, მის ბუნების ენერგიასთან განწყობილებისა,—მაშინ იქმნებოდა სრული რაციონალური განწყობილება ადამიანის ენერგიისა ბუნების ენერგიასთან, მაშინ იქმნებოდა დაკმაყოფილებული ადამიანის **მოთხოვნილება** ინტეგრალურად, როგორც ამას ამბობს თანამედროვე სოციალიზმი. დღეს კი მთელი საწარმოო საზოგადოებრივი ენერგია შემდეგნაირად არის განაწილებული: უუდიდესი ნაწილი ეკუთვნის მათ, ვინც ვერ ატრიალებს ამ ენერგიას, ვინც არ ხარ-

ჯავს ამ ენერგიის მოქმედებაში მოსაყვანად თავის საკუთარ, პიროვნულ ენერგიას. მარტო შეკრება ამ საწარმოო საზოგადოებრივ ენერკიისა არ არის საკმარისი საზოგადოებრივი წარმოების პროცესსიისათვის, —აუცილებელია აგრეთვე მიზნიანი ხარჯვა **ადამიანის ენერგიისა**, რომ ეს აუარებელი საწარმოო ენერგია მოძრაობაში მოიყვანო და ამუშავო. მიზანი ამ ენერგიის ტრიალისა კი გამოიხატება იმგვარ წყაროს შექმნაში, — ნაწარმოების შექმნაში, —რომლითაც კმაყოფილდება პირობები ადამიანის მიერ დახარჯული ენერგიის შევსებისა, ანუ პირდაპირ ივსება დახარჯული ენერგია. არა მწარმოებელს კი არა თუ შეგროვილი საწარმოო ენერგია აქვს მითვისებული, არამედ თავისუფლება ამ ენერგიის დამტრიალებელისა, —მწარმოებელისა, —რომელსაც არა რჩება ნაწარმოებიდან უუმცირესი ნაწილიც კი თავისი ენერგიის შესავსებად; —მას მითვისებული აქვს თითქმის მთელი ნაწარმოები, —მთელი პირობანი, მთელი წყარო დახარჯული ენერგიის შესავსებად. აქ არის ძირი თანამედროვე საზოგადოების უკეთმართობისა და მისი აუცილებელი დანგრევის მიზეზიც. ეს არა-მწარმოებელი კლასსები საზოგადოებისა ამგვარად მხოლოდ ენერგიის მზა წყაროს მხარჯავები არიან და ერთ ნატამალსაც არა ჰმატებენ საზოგადო სუმმას საზოგადოებრივი ენერგიისას, მწარმოებელი კი გაცილებით მეტ პირად ენერგიასა ჰხარჯავს, ვიდრე იძენს საზოგადოებიდანა და ბუნებიდამ, იგი ჰმატებს საზოგადოებრივ ენერგიას ყოველი წარმოების პროცესსის დროს, თვით კი ვერ იწყავს დახარჯულ ინდივიდუალურ ენერგიას, —და ამიტომ ჩნდება საშინელი მეტ-ნაკლებობა დახარჯულსა და შენაძენ ენერგიათა შორის მწარმოებელ თათვის, ე. ი. საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის, —მეტ-ნაკლებობა, რომელმაც პირდაპირ დააყენა დილემმა: ან სრული დეგრადაცია და მოსპობა მთელი საზოგადოებისა, ან მოსპობა იმგვარი საზოგადოებისა, სადაც ასე ირრაციონალურად არის განაწილებული ენერგია ინდივიდთა შორის, და იმგვარის შე-

ქმნა, სადაც ინდივიდისა და ბუნების ენერგიანი საზოგადოებრივი კოორდინაციის შემწეობით რაციონალურ და ჰარმონიულ ურთი-ერთ განწყობილებაში უნდა იყვნენ.

შექმნა იმგვარი სოციალური წრისა, სადაც ინდივიდი სრულიად, ინტეგრალურად იკმაყოფილებდეს ყველა თავის მოთხოვნილებას,—სოციალურ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზედ,—სადაც ენერგიის ხარჯვა და შევსება სრულიად რაციონალურად ხდებოდეს, სადაც ყოველ ინდივიდს ჰქონდეს საკმარისი რაოდენობა სოციალური ენერგიისა ბუნების ენერგიასთან განწყობილებაში,—აი მუდმივი ტენდენცია კაცობრიობისა, და თანამედროვე სოციალური განვითარების საფეხურზედ ეს ტენდენცია უფრო ნათლადა და მკაფიოდ იხატება მწარმოებელთა ცხოვრების ჰორიზონტზედ, მისკენ მიისწოაფის დღეს ყველა მწარმოებელი კლასსები;—მათ შეიგნეს რომ შეუძლებელია თანამედროვე საზოგადოების არსებობა; ეს შეგნება მრავალ მიზეზთაგან არის გამოწყვეული; ყველაზედ უფრო ღრმა მიზეზი ის არის, რომ მეტ-ნაკლებობამ დახარჯულსა და შევსებულ ენერგიათა შორის მაქსიმუმამდის მიაღწია და ამგვარი მდგომარეობა ჰკლავს თვით საზოგადოებას. და რადგანაც ადამიანი ამ განადგურებისაკენ ვერ წავა, როგორც განსაზღვრული ცხოველის სახე—იგი აუცილებლად სცვლის ფორმას საზოგადოებისას, რომ უმაღლესი მისი ფორმა შეჰქმნას ინდივიდთა სიცოცხლის განსაკრძობად. საზოგადოების მოძრაობა ამ მხრით ნაკლები დაბრკოლებისაკენ არის; სოციალური ტრანსფორმაცია აუცილებელი ხდება, როგორც ამ ნაკლები დაბრკოლებისაკენ მოძრაობის შედეგი, და თვით ხასიათი ამ ტრანსფორმაციისა განისაზღვრება აგრეთვე აუცილებლად იმ განსაზღვრული პირობებით, რომელშიდაც იმყოფება თანამედროვე საზოგადოება.

სოციალური რევოლიუცია აუცილებლად კომმუნისტური უნდა იყოს, როგორც განსაზღვრული იდეალისაკენ მისწრაფება კაცობრიობისა. მთელი ისტორიის განმავლობაში მომ-

ხდარი დიდი რევოლიუციები კომმუნისტური ხასიათისა იყვნენ, და ამ გავლენას თავისი ღრმა მიზეზი აქვს: იმ საზოგადოებაში, რომელიც თანამედროვე სიზოგადოების მსგავსად დაყოფილია ორ დიდ ნაწილად: ენერგიის მხარჯავადა და ენერგიის წყაროს მხოლოდ შემსმელად, მხოლოდ დამქსასველად, —რევოლიუცია აუცილებელია, და ეს რევოლიუცია აუცილებლად კომმუნისტურ ხასიათს იღებს ხოლმე, რადგანაც კომმუნიზმი ერთად ერთი ტიპია საზოგადოებრივობისა, სადაც სოციალური ენერგია რაციონალურად არის განაწილებული ინდივიდთა შორის, და სადაც დახარჯული ინდივიდუალური ენერგია უფრო რაციონალურად ივსება სოციალური ენერგიის წყაროდან. კომმუნიზმი ის ფორმაა საზოგადოებრივობისა, რომელიც ყველაზედ უფრო ეთანხმება სახეთა შენახვის კანონს. ამიტომაც ისტორიაში მრავალჯერ ვხედავთ კომმუნისტურ მოძრაობას, კომმუნისტურ რევოლიუციებს, რომელთაგანაც ზოგიერთნი ხშირად დამთავრებულან დამარცხებითა, და მაშასადამე მთელ საუკუნეთა განმავლობაში საზოგადოების ხელახალი ტანჯვითა და განადგურებით, --ხშირად კი გამარჯვებით დაგვირგვინებულან ხოლმე ეს რევოლიუციანი და ეს ყოფილა ხოლმე დასაწყისი სრულიად ახალი ხანისა კაცობრიობის ისტორიაში.

მომავალი სოციალური რევოლიუცია კი უფრო დიადი, მრავალფეროვან-შედეგიანი კომმუნისტური მოძრაობა უნდა იყოს. თანამედროვე წარმოებას რომ დაუკვირდეთ,—ისეთ დიად სურათს წარმოადგენს იგი, რომ ადამიანს მართლაც ამპარტავნობა აღებეჭდება ხოლმე შუბლზედ ერთი მისი გათვალისწინებით. უკანასკნელ რევოლიუციათა შემდეგ ევროპისა და ამერიკის საზოგიდოებამ ისეთი ძლიერი ნაბიჯი წარსდგა წინ, ყოველ დარგში,—სამრეწველოში, სამიწად-მოქმედოში, სამეცნიეროში, ასე გასინჯეთ პოლიტიკურშიდაც, რომ დასაბამიდამ მე-XIX საუკუნემდე მსგავსი არა მოხდარა

რა. ადამიანის გონებრივმა ენერგიამ ისეთი რაოდენობა და-ატრიალა ბუნების ენერგიისა, ისეთი საწარმოო ძალები შე-ქმნა, რომ მათი მოქმედება, მათი მუშაობა გიგანტიური, უმ-რავალ-ფეროვანესი შეიქმნა. ამ გიგანტიური მთლის ნაწილნი ისეთნაირად არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი, რომ შეუ-ძლებელია ერთს რომელიმე დიდ ნაწილს ახლო ხელი, რომ იმავე დროს მეორეს, მესამეს, მეოთხეს არ მოხვდეს პირველის რყევა, რომ ამით მთელი სისტემა არ შეინძრეს ძირიანად. ეს განუზომელი ენერგია დღეს ენერგიის არა მხარჯველთა პრი-ვილეგია-საკუთრებაა, და ის ნაწილი საზოგადოებისა, რომე-ლიც ერთად-ერთი შემაერთებელია ადამიანის ენერგიისა მთელ მსოფლიო ენერგიასთან,—შემქმნელი მთელი თანამედროვე სო-ციალური ენერგიისა,—აუცილებლად მიდის ამ საყოველთაო სოციალური ენერგიის ინდივიდთა შორის რაციონალური გა-ნაწილების პირობათა შექმნისაკენ.

ამის თანახმად მთელი მე-XIX საუკუნის განმავლობაში ისეთი ფართო მდინარენი, ისეთი სიძლიერით მქუხარე ნაკა-დულები კომმუნისტურ იდეათა მოედვნენ მთელ ევროპისა და ამერიკის მწარმოებელთ, რომ დაახლოვებით დღეს არსებობს ის იდეიური-ხალხური ზღვა, რომელმაც უნდა წალეკოს თა-ნამედროვე საზოგადოება, და ინდივიდმა სოციალური ენერგიის რაციონალური განაწილების წრე უნდა აღმოაჩინოს. დღეს ყველა ეს არსებობს,—ეს უტყუარი ფაქტია, და მთელი საზო-გადოება გრძნობს, რომ უბრალო რეფორმებითა და კანონ-მდებლობის ფორმის შეცვლით არ დამთავრდება მთელი ეს დიდი ტენდენცია, სრული შეცვლა სოციალური ენერგიის ინდივიდთა შორის რაციონალური განაწილების წესისა.

სახელმწიფო მთელი თავისი დაწესებულებებით, ისტორი-ულად წარმოშობილი თანამედროვე მონობასთან ერთად და მისი განმამტკიცებელი, პირდაპირი მტერია კომმუნიზმისა და ზემოხსენებული მიმდინარეობისა თანამედროვე მწარმოებელთა

შორის. სახელმწიფო წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა ენერგიის საშინელი რაოდენობის კონცენტრაციას. ეს ენერგია თავმოყრილია მის დაწესებულებებში. მიზანი ამ ენერგიის შეგროვებისა ორნაირია: ერთი: განმტკიცება მთელი სოციალური ენერგიისა არა მწარმოებელთა პრივილეგიად. მეორე: ხმარება ტლანქი ენერგიისა მათ წინააღმდეგ, ვისაც სოციალური ენერგია სურსთ გამოჰყონ სახელმწიფოსაგან და კაპიტალიზმისაგან და განასაზოგადოებრივონ იგი,—გაანაწილონ იგი რაციონალურად ინდივიდთა შორის.

შეტაკება ამ სახელმწიფო ენერგიისა მწარმოებელთა რევოლიუციონურ ენერგიასთან სოციალური რევოლიუციის დროს საშინელი და ხანგრძლივი იქმნება, ავრეთვე გარდამწყვეტი მომავალი საზოგადოებრივი ფორმისა.

აი,—ეს სამი მოვლენა: განდიდება წარმოებისა, მის ნაწილთა რთული ურთი-ერთზედ გადახლართვა და აუცილებლობა ამ აუარებელი სოციალური ენერგიის აუარებელ მწარმოებელთა შორის განაწილებისა, მთელი ზღვა კომმუნისტურ იდეათა, რომელშიაც დღეს სცურავს მთელი მწარმოებელთა კლასსი, აუცილებლობა სახელმწიფოს ენერგიის გაბნევისა, რომელიც ხელს უშლის სოციალურ ტრანსფორმაციას,—ეს სამი მოვლენა შედის როგორც დადებითი და უკუთქმითი პირობანი იმ დიად მოქმედების პროცესსში, რომელსაც წარმოადგენს მომავალი სოციალური რევოლიუცია.

ამ პირობათა ხასიათით განისაზღვრება ხასიათი სოციალური რევოლიუციისა.

სოციალური ენერგიის ინდივიდთა შორის რაციონალური განაწილება მხოლოდ მაშინ შეიძლება რომ მოხდეს, როდესაც უკვე არსებული ენერგია გადავა მწარმოებელთა ხელში. ამ პროცესს ჰქვია ექსპროპრიაცია საწარმოო საშუალებათა. ეს ექსპროპრიაცია ისე მარტივადა და უბრალოდ არ უნდა წარმოიდგინოს კაცმა, როგორც ეს ბევრსა ჰგონია,—უბრალო

გამოგლეჯა საწარმოო საშუალებათა ბურჟუაზიის ხელიდამ და მისი განსაზოგადოებრივება,—როგორც ამბობენ სოციალისტები. ხელიდან გამოგლეჯა საწარმოო საშუალებათა, განსაზოგადოებრივება,—მაგრამ როგორ? აი რა არის საკითხავი. აქ განვსხვავდებით ჩვენ, ანარხისტები, იმ სოციალისტურ პარტიათაგან, რომელთაც აგრეთვე სწამსთ სოციალური რევოლიუცია და საწარმოო საშუალებათა ექსპროპრიაცია, მაგრამ სრულიად სხვაფრად და სხვა წესით. ჩვენის ფიქრით, შეუძლებელია ამ ექსპროპრიაციამ ნამდვილი პირობა დაამყაროს ინდივიდთა შორის ენერგიის რაციონალური განაწილებისა, თუ სახელმწიფო ფორმა დარჩა საზოგადოებისა. სახელმწიფო ფორმა საზოგადოებისა აუცილებლად იგულისხმებს ათასნაირ დაწესებულებათ, რომელნიც შესდგებიან ენერგიის არა მხარჯველ ელემენტებისაგან წარმოების პროცესსში, მაშასადამე რაციონალური განაწილება ენერგიისა ინდივიდთა შორის შეუძლებელია, რადგანაც ენერგიის არა მხარჯავი მუქთად უნდა დაეწაფოს სოციალური ენერგიის წყაროს. ყოველივე სახელმწიფო ორგანიზაცია შეიცავს ზემოხსენებულ ელემენტთა აუარებელ რიცხვს, და მაშასადამე ექსპროპრიაციაც თავის მიზანს ასცდება და შემდეგში ისევ ახალი სოციალური რევოლიუცია იქმნება საჭიროა. მაგალითად კოლლექტივისტური სახელმწიფო თანამედროვე ს.-დიისა ანუ ავტორიტარულ-კომმუნისტიური სახელმწიფო ძველი გერმანელი კომმუნისტებისა,—მათ შორის მარქსისა,—ტიპებია იმ საზოგადოებრივი ფორმისა, სადაც ექსპროპრიაცია ვერ დაამკვიდრებს პირობას ინდივიდთა შორის ენერგიის რაციონალურად განაწილებისა. თანამედროვე წარმოების სიდიდე და სირთულე რომ მივიღოთ მხედველობაში, სახელმწიფო წარმოებითი ორგანიზაცია ისეთი რთული და ბიუროკრატიული რამ იქმნება, რომ რაოდენობა სახელმწიფოს მანქანის ნაწილთა ბევრით აღემატება თანამედროვე სახელმწიფოს მანქანის ნაწილ-

-თა რაოდენობასაც, და ყველამ იცის, თუ როგორი გავლენა აქვს ამ უკანასკნელს თანამედროვე საზოგადოებაში ენერგიის არა-რაციონალურ განაწილებაზედ ინდივიდთა შორის. წინა-აღმდეგ, მომავალმა სოციალურმა რევოლიუციამ არა-მწარმოებელი ელემენტი მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს, და ექსპროპრიაციაც ამის თანახმად უნდა მოხდეს. თვითოეულმა ქალაქმა, სოფელმა, ქარხანამ და სახელოსნომ უნდა მოახდინოს ექსპროპრიაცია და თანაც შრომის ორგანიზაციით უნდა განამტკიცოს ეს ექსპროპრიაცია, რომ რთული სახელმწიფო მანქანა აღარ იყოს საჭირო თავისი ათასნაირი დაწესებულებებით, რომელიც შეუძლებელ ჰყოფს არა-მწარმოებელ კლასსთა მოსპობას, მაშასადამე ენერგიის რაციონალურ განაწილებას ინდივიდთა შორის. ამასთანავე პრინციპი: თვითეულისაგან მისი ძალ-ღონის მიხედვითა და თვითოეულს მის მოთხოვნილებათა მიხედვით,—ეს პრინციპი ენერგიის ეკონომიისა, ანუ, რაიცა იგივეა, ენერგიის ხარჯვისა და წყაროს მართლაც და რაციონალური განაწილებისა,—კომმუნიზმი,—ნამდვილი საფუძველი უნდა იყოს მომავალი საზოგადოების წარმოებისა და ნაწარმოებთა მოხმარების წესისა. ამას თავისი ღრმა მიზეზი აქვს: ინდივიდთა ფიზიკური და გონებრივი მეტ-ნაკლებობა ყოველთვის იყო და იქმნება. ეს აუცილებელი რამ არის, ეს ფაქტია, სრულიად თვალ-საჩინო. სრულიად ერთი და იგივე ინდივიდი არც ყოფილა და არც იქმნება არც ერთ სოციალურ პირობებში. იდენტიური ინდივიდები შეუძლებელი რამ არის, ეს ცნება პირდაპირ უარმყოფელია თვით ცნება „ინდივიდისა“, და ეს უკანასკნელი რომ არსებობს, ამის უარ-ყოფა აბსურდი და შეუძლებელია. მაშასადამე ყოველი ინდივიდი წარმოადგენს ენერგიის განსაზღვრულ რაოდენობას, და ეს რაოდენობა მეტია ან ნაკლები იმ ენერგიის რაოდენობაზედ, რომელსაც სხვა ინდივიდები წარმოადგენენ. ამისდა მიხედვით საწარმოო ენერგიის ხარჯვა ინდივიდ-

თა მიერ სხვადასხვა რაოდენობისაა, მაშინ როდესაც შესავსები ენერგიის რაოდენობა, რომელიც აგრეთვე სხვადასხვა ხარისხისაა სხვადასხვა ინდივიდთა შორის, შეიძლება სრულიადაც არ ესაბამებოდეს დახარჯული ენერგიის რაოდენობას. დახარჯული ენერგია წარმოებისათვის პირდაპირი პროპორციონალური არ არის შესავსებ ენერგიასთან, —ეს არ უნდა დაავიწყდესთ კოლლექტივისტებს, რომელთა პრინციპიც არის: თვითოეულისაგან მისი ძალ-ღონის მიხედვით, თვითოეულს მისი შრომის მიხედვითო. ადვილი შესაძლებელია წარმოებაში ძლიერ ცოტა ენერგიის ხარჯვა შეეძლოს ინდივიდს, შესავსები ენერგიის რაოდენობა კი ძლიერ დიდი იყოს, —ადვილი შესაძლებელია წინააღმდეგი. ასე რომ, აბსოლიუტურ კანონად რომ დავსდვათ მომავალი ექსპროპრიაციისა და შრომის ორგანიზაციის შემდეგ: თვითოეულს თავისი შრომის თანახმადო, —გარდა იმისა რომ სახელმწიფო დაგვჭირდებოდა და ამითი მოვსპობდით პირობას რაციონალურად ენერგიის განაწილებისას ინდივიდთა შორის, ამით თვით ძირიანად მოვსპობდით ამ პირობის განხორციელებას, რადგანაც მაშინ უნდა ჭეშმარიტად აღგვეარებინა ის ყალბი ფაქტი, ვითომც საწარმოოდ დახარჯული ენერგია პროპორციონალურია შესავსებ ენერგიის რაოდენობისა. ყველა ეს კი სწორედ ეწინააღმდეგება იმ ტენდენციას, რომელიც აქვს თვით უმაღლეს საზოგადოებრივობას, რომელიც ინდივიდთა ენერგიების კოორდინაციაა და საერთიერთო ენერგიით ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მინიმუმი ინდივიდუალური ენერგიის ხარჯვისა, და მაქსიმუმი მისი შევსებისა. კომმუნიზმი, ე. ი. წარმოება შეძლებისა დაგვარად და სარგებლობა ნაწარმოებითა მოთხოვნილებათა დაგვარად, სრულიად ეთანხმება თვით შინაარსს უმაღლესი საზოგადოებრივობისას, და ამიტომაც მომავალი ექსპროპრიაციის შემდეგ ამ საფუძველზედ უნდა დამყარდეს შრომის ორგანიზაცია, ინდივიდის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

უკვე თანამედროვე საზოგადოებაში ჩასახულია ის შთანაჩენი, რომელიც ზემოხსენებულ პრინციპზედ ააგებს მომავალ საზოგადოებას. თანამედროვე მუშათა კლასსი დღეს ნელ-ნელა კავშირდება და არდგენს იმ ძალას, რომელიც სრულიად გარეშე სდგას ბურჟუაზიისა და სახელმწიფოს დაწესებულებათა. საფრანგეთისა, ისპანიისა, იტალიისა, ამერიკისა და სხვა ქვეყანათა სინდიკალიზმი დღეს პირდაპირ წარმოადგენს თავისი გარკვეული ორგანიზაციითა და იდეალით ერთ დიდ ძალას, რომელიც შეასრულებს მომავალი ექსპროპრიაციისა და შრომის ორგანიზაციის როლს კომმუნიზმის საფუძველზედ. ეს თავისუფალი და მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაციები სცდილობენ „გაითვალისწინონ მთელი თანამედროვე სიდიადე და სირთულე წარმოებისა, ამ ორგანიზაციებს გლეხებიც მრავლის-უმრავლესი ემხრობა, ბოლოს და ბოლოს მთელი კლასსი მწარმოებელთა წარმოადგენს თითქმის ყველა დარგთა მწარმოებლების ერთ კავშირს, და ამ უკანასკნელს, რომელმაც იცის, და მხოლოდ მას შეუძლია იცოდეს ყოველი წვრილმანი წარმოებისა, მხოლოდ შესწევს ძალ-ღონე წარმოების მოწყობისა. ეს უნდა იყოს მისი როლი, მისი დიადი როლი ექსპროპრიაციის შემდეგ. წარმოების მოწყობა ზევიდან ქვევით, როგორც ეს მიაჩნიათ შესაძლებლად ბევრ პოლიტიკურ პარტიათ, სახელმწიფოს მომხრეთ, არც არასოდეს მომხდარა და მით უმეტეს მომავალშია შეუძლებელი. მთელი თანამედროვე წარმოების მოგვარება, ყველა მის დარგთა რაციონალური კომბინაცია, შრომის განაწილება ისე, რომ ინდივიდი თავისუფლად იღებდეს მონაწილეობას წარმოების პროცესსში, სრული დაკმაყოფილება ინდივიდთა წარმოების პროცესსის გარეშე არ შეუძლია არავითარ მთავრობას, არავითარ სპეციალისტთაგან შემდგარ სახელმწიფო მოხელეებსაც. კაუცკის ეს ნათლად აქვს წარმოდგენილი, და ამიტომაც ამბობს—მომავალი სახელმწიფოც ვერ განთავისუფლდება ბიუროკრატიისაგანაო,

მაგრამ ეს კითხვის გადაწყვეტა კი არა, სასოწარკვეთილებაა მომავალი საზოგადოების თავისუფალ პრინციპზედ დამყარების შესახებ, რადგანაც კაუცკიმ უნდა იცოდეს, რომ დღევანდელზედ ათასჯერ უფრო ძლიერი და საშინელი ბიუროკრატია დასჭირდება კოლლექტივისტურ სახელმწიფოს, ისეთი რთული რამ იქმნება მომავალი კოლლექტივისტური სახელმწიფო, ანუ უკეთ ვსთქვათ სახელმწიფო კაპიტალიზმი.

სულ სხვაა, როდესაც თვითოეულ ქალაქში, თვითოეულ სოფელში, ქარხანაში და ყანაში, აგრეთვე თვითოეულ რაიონში, პროვინციაში მოხდება თვით დამოუკიდებელ მუშათა ორგანიზაციების მიერ ექსპროპრიაცია და შრომის ორგანიზაცია ქვევიდან ზევით. ერთ ხელობაში, ერთ ადგილზედ, წარმოების განსაზღვრულ დარგში შეჩვეული მუშები, თავისუფლად, მაგრამ სოლიდარობით შეკავშირებულნი დაისაკუთრებენ განსაზღვრული ტერრიტორიის თვითოეულ ერთეულზედ ყველა საწარმოო საშუალებათა და შეუდგებიან თავისუფალი შრომის ორგანიზაციას. მაგალითად, პარიზის მრავალ-გვარი ხელობის მუშები ყველანი თავ-თავიანთ ქარხნებს მოაწყობენ და როდესაც ეს შემოქმედებითი მუშაობა თვითეული გრუპპისა დასრულებულ იქმნება, მერე შეიკვრიან ყველა ეს ჯგუფები ერთი განუყოფელი, მაგრამ თავისუფალი კავშირით. ეს იქმნება „პარიზის კომმუნა“. პარიზის ახლო-მახლო სოფლებიც იმავე გვარის თავისუფალ მიწად-მომქმედთა ორგანიზაციას შეჰქმნიან და შეეკვრიან სოლიდარობის კავშირით თვით პარიზს. აგრეთვე ლიონის ქალაქი ლიონის ახლო-მახლო სოფლებს, მარსელი თავის მიდამოებს და ამგვარად მოკლე პერიოდში, მაგალითად მთელი საფრანგეთი დაიფარება ამგვარ თავისუფალ მშრომელთა ასსოციაციებით. შემდეგ სხვა ქვეყნებსაც მოედება ამგვარი ასსოციაციები იმავე პროცესსის შემდეგ, და ამგვარად განხორციელდება ის პირობა, რომელიც აუცილებელია ინტერნაციო-

ნალური სოციალიზმისათვისა და სოლიდარობისათვის. შრომის ბირჟები დიდ სამსახურს გაუწევენ ამ შემოქმედებით მუშაობას, როგორც საფუძვლიანად იმედოვნებენ დღეს საფრანგეთისა და სხვა ქვეყანათა სინდიკალისტები.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით დაწვრილებით აღწერას, თუ როგორ იმოქმედებს მომავალი საზოგადოება, როგორც ერთი მთელი. ეს უკვე სხვა საგანს შეადგენს, უფრო ძნელს; ჩვენ მხოლოდ სოციალურ რევოლიუციაზედა გვაქვს მსჯელობა. ჩვენ კითხვა დავსვით,—როგორ უნდა მოხდეს სოციალური ტრანსფორმაცია,—და ამ კითხვებზედ ვუგებთ პასუხს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამგვარი ექსპროპრიაციის შემდეგ, ზემოხსენებული შრომის ორგანიზაციით არის მხოლოდ შესაძლებელი განახორციელოს კაცობრიობამ თავისი მუდმივი მისწრაფება: ენერგიის რაციონალური განაწილება ინდივიდთა შორის. კომმუნა და მისი წევრები არ იქმნებიან ნაწილნი დიდი სახელმწიფო მანქანასი, არამედ ინიციატორნი წარმოებისა. კომმუნაში მონაწილეობის მიღება, ასოციაციაში შესვლა და გამოსვლა თავისუფალი იქმნება, დამოკიდებული ყველა იმ ბუბუნებრივი პირობებიდან, რომელშიდაც არის ჩაყენებული ინდივიდი განსაზღვრული წრეში. ეს იმიტომ, რომ თვით ექსპროპრიაციის ინიციატორი, შრომის ორგანიზაციის შემოქმედი და მწარმოებელი თვით ინდივიდებია, მათი თავისუფალი ორგანიზაცია, იქიდამ გამოდის მიმართულება და წესი ენერგიის ხარჯვისა. ეს უდევს საფუძვლად თვით საზოგადოებრივობას. აგრეთვე დაკმაყოფილება ინდივიდის ყველა მოთხოვნილებათა, —კომმუნიზმის მეორე ფორმულა,—აუცილებლად უნდა განხორციელდეს სოციალური რევოლიუციიდან გამოსულ საზოგადოებაში: თვითოეულმა კომმუნამ რომ შეჰქმნას პატარა კოლლექტივისტური სახელმწიფო,—ე. ი. შრომის დაგვარად ქირა აძლიოს მწარმოებელს,—კომმუნა ვერაფერს მოიგებს, რადგანაც ამისათვის მას დასჭირდება, როგორც დიდ

სახელმწიფოს, მთელი ხრო მუქთა ხორათა თავის დაწესებულებებში, რომელთა ენერგიის შევსება, მათ მიერ წარმოებითი ენერგიის დაუხარჯავად, აუარებელ ზარალს მოუტანს კომმუნ-ას. გარდა ამისა, —ყოვლად შეუძლებელია ნამდვილი ანგარიში დახარჯული წარმოებითი ენერგიისა და მისი შეფარდება სახმარ საგანთა ღირებულებასთან, რადგანაც ერთი საგანი წარმოებაში ათასნაირ ენერგიათა ტრიალის ნაყოფია, ათას ინდივიდთა ნაწარმოებს შეადგენს. შემდეგ,—ადვილი შესაძლებელია, მუშაობის დროით რომ ვიანგარიშოთ მწარმოებლის ჯილდო, საუკეთესო მუშამაც ვერ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი, რადგანაც მაშინ შრომის სხვადასხვაობის დაგვარად უნდა იყოს ჯილდო დანიშნული, და აგრეთვე რადგანაც წარმოებითი ენერგიის ხარჯვა სრულიადაც არ არის პროპორციონალური შესავსები ენერგიისა. ყოველივე ეს კი პირდაპირ წინააღმდეგია შრომის ორგანიზაციის მისწრაფებისა. ამას დაუმატეთ თავისუფალი ოჯახის მსგავსი სოლიდარობა კომმუნის წევრთა შორის, და მოთხოვნილებათა თავისუფალი დაკმაყოფილება აღარ იქმნება რაღაც აბსურდი და წარმოუდგენელი, როგორც ესა ჰგონიათ კოლლექტივისტებს, არამედ რაციონალური და ერთად-ერთი შესაძლებელი ნამდვილ თავისუფალ საზოგადოებაში, მით უმეტეს რომ სწორედ ამ მიზნით უნდა იყოს შემდგარი ყოველივე საწარმოო ორგანიზაცია,—სხვა მიზანი მას არ აქვს.

მაშასადამე ექსპროპრიაცია თანამედროვე წარმოების ხასიათის მიხედვით, ექსპროპრიაცია აგრეთვე ყოველმხრივი და ფართო, შრომის ორგანიზაცია კომმუნისტური და დაკმაყოფილება მწარმოებელთა ყველა მოთხოვნილებათა განსაზღვრულ პირობებში, და არა შრომის ჯილდო,—აი რა უნდა იყოს უმთავრესი პირობა მომავალი კომმუნისტიური და თავისუფალი —სოციალისტური საზოგადოების დამყარებისა. თუ სოციალური რევოლიუციის უმთავრესი მუშაობა ამაში არ გამოი-

ხატა, ისე ეს სოციალური რევოლიუცია ვერ იქმნება უმთავრესი და ერთად ერთი საშუალებაც ძირითადი სოციალური ტრანსფორმაციისა.

ზემოხსენებული მიზნის მისაღწევადაც არის სწორედ საჭირო სრულიად განსაზღვრული, სრულიად ნათლად გარკვეული იდეალი,—საჭიროა აუცილებელი წინამორბედი იდეა სოციალური ტრანსფორმაციისა, რომ სოციალური რევოლიუციის დროს მწარმოებელსა ჰქონდეს შეგნება თავისი საკუთარი შემოქმედებისა;—საჭიროა, როგორც უკვე ვსთქვით, მთელი ზღვა კომმუნისტიურ იდეათა, რომელნიც ღრმად და ფართოდ უნდა იყვნენ გავრცელებულნი მწარმოებელთა უმცირეს წრეებშიდაც.

საკმარისი არ არის—იდეალად დაისახოს ამა თუ იმ პარტიამ „კომმუნიზმი ან კოლლექტივიზმი“, როგორც ამას ამბობენ ხოლმე ძლიერ ხშირად ს. დ.—ებისა და სხვა პარტიათა იდეოლოგები. ჯერ ერთი, როგორც ეკონომიური სისტემანი, კოლლექტივიზმი და კომმუნიზმი სრულიად განირჩევიან ერთმანეთისაგან. მეორე,—არის კომუნიზმიცა და კომუნიზმიც. მარტო კომმუნიზმი, მარტო ეკონომიური შენობა მომავალი საზოგადოებისა, კიდევ არ შეიცავს ამ მომავალი საზოგადოების ინდივიდთა შორის განწყობილებათა ყველა ჯგუფებს. იგი მარტო ეკონომიურ განწყოფილებათ გამოჰხატავს. და კომმუნისტიური ეკონომიური განწყობილებანი შესაძლებელია გამოხატულ იქმნან სახელმწიფო მონურ მონასტრულ ფორმაშიდაც—შეიძლება კიდევ თავისუფალ შეთანხმებაში, ანარქიულ ფორმაში. სხვა სიტყვით რომა ვსთქვათ:—არის კომმუნიზმი ავტორიტარული, სახელმწიფოებრივი და კომმუნიზმი ანარქიული. და ყოველ კომუნისტს წინ და წინვე გარკვეული უნდა ჰქონდეს,—რომელ კომმუნიზმს ეტრფის იგი, რომელი კომმუნიზმის იდეის გავრცელებაა საჭირო ეხლავე მწარმოებელთა შორის, რომ მის თანახმად გამოჰხატონ ამ უკანასკნელთა თა-

ვიანთი შემოქმედებითი მუშაობა სოციალური რევოლიუციის დროს.

კოლლექტივიზმი, — ეს სახელმწიფო კაპიტალიზმია, და გულ-წრფელი კოლლექტივისტები კიდევაც ავრცელებენ ამ თავიანთ იდეალს მწარმოებელთა შორის, ამ იდეალის შესაფერ ტაკტიკასაც ხმარობენ (პარლამენტარიზმს) და ეს ადვილი გასაგებიც არის. მაგრამ როდესაც სოციალისტი გაიძახის— „კოლლექტივიზმი ან კომმუნიზმი“, ან ისახავს იდეალად კომმუნიზმს და არა საზღვრავს ამ უკანასკნელის ხასიათს,—ეს ჩვენთვის სრულიად გაუგებარი ჰხდება;—ჩვენთვის იმიტომ, რომ არ გვესმის გაურკვეველი იდეალით მოქმედება; ხალხისათვის კი მით უმეტეს ბუნდოვანი ჰხდებიან ეს გაურკვეველი ცნებანი, რადგანაც მას ვერ გაუთვალისწინებია—რისთვის იბრძვის, რა უნდაანგრიოს და რა უნდა ააშენოს დანგრეული საზოგადოების ნაცვლად. მაგრამ თუ ჩაუკვირდებით, საქმე სრულიად ადვილად აიხსნება,—თურმე ამ უიდეალო ხალხს, სრულიადაც არ აინტერესებს მომავალი ფორმა საზოგადოებისა. მათთვის მოძრაობა ყოველისფერია, მიზანი არაფერი, ეს „რეალური პოლიტიკის“, ოპპორტიუნიზმის ფორმულა ყოფილა, ე. ი. სრულიად არა-სოციალისტური, და რა შუაშია აქ ან წმინდა კოლლექტივიზმი, ან წმინდა კომმუნიზმი.

კომმუნიზმის იდეალი კი კარგა ხანია რაც თან და თან მუშავდება. ყოველი დიდი მოძრაობის დროს თვით ხალხი, და მით უმეტეს მისი იდეიური მეთაურები აყენებდენ ხოლმე წინ გარკვეულ კომმუნისტიურ იდეალს, და დროის შესაფერი თავისუფლების ელემენტიც ბევრი ერია ხოლმე მათ მიერ წამოყენებულ კომმუნისტიურ პროგრამმაში.

ევროპის რევოლიუციათა დასაბამიდამ ჩვენ დრომდე თავისუფალი კომმუნიზმის იდეის განვითარება საერთო იდეიურ პროგრესსის ერთ ნაწილს შეადგენს. მე-XIX საუკუნეში გაჩნდა ფანამედროვე სოციალიზმი, და მისი პირველი აღმორძინები-

დან დაწყებული ჩვენ დრომდე აგრეთვე თავისუფალი კომმუ-ნიზმის იდეა თან და თან ვითარდება; დღეს იგი ერთ მშვენიერ ზოლს წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებრივ-ფილოსოფიურსა და სოციოლოგიურ მიმდინარეობაში. ინტერნაციონალიდამ მოკიდებული განსაკუთრებით მუშათა კლასი და მისი საუკეთესო იდეოლოგები იმუშავებენ თავისუფალი კომმუნიზმის იდეალსა და სცდილობენ მისცენ მას მეცნიერული და ფილოსოფიური საფუძველი. მთელი სხვა-და სხვაობანი სოციალისტურ იდეათა მე-XIX საუკუნეში ამ თავისუფალი კომმუნიზმისაკენ ესწრაფვებიან რაღაც მიმზიდველობითი ძალით, და თუ დღეს არსებობენ „დიქტატურისა“ და „სახელმწიფოს“ სოციალიზმი, „კოლექტივიზმი“ და ნახევარ-სოციალისტური და ნახევარ-ბურჟუაზიული ოპპორტიუნიზმი, რომლებითაც მართალია ძლიერ დიდი ნაწილია გატაცებული მუშა-ხალხისა ზოგიერთ ქვეყანაში,—ეს ჩვენის ფიქრით მხოლოდ ცოტად თუ ბევრად განდგომილებაა იმ წმინდა სოციალიზმისაგან, რომელიც არის თავისუფბლი კომმუნიზმი; და ამ განდგომილებამ ან სრულიად უნდა გარდაქმნას არა-კომმუნისტური პარტიები ბურჟუაზიულ პარტიებად, ან თვით განქრეს, და ისევ თავისუფალ კომმუნიზმისაკენ მიემართონ ეს პარტიები. დღეს ერთსაცა და მეორე მოვლენასაც ვხედავთ სოციალიზმის თანამედროვე ისტორიაში.

მართლაც და დაუკვირდით ინტერნაციონალიდამ მოკიდებული დღევანდელ მომენტამდე საერთაშორისო კონგრესსებს, მაგალითად. ყოველი კონგრესი დიდი ნაბიჯი იყო, წინ წადგმული თვით მუშათა კლასსის მიერ, წმინდა, თავისუფალი კომმუნიზმის იდეალის შემუშავებისაკენ. თან და თან მთელი საერთაშორისო სოციალიზმი ანარქიზმის ფორმებით უდგებოდა მთელი ევროპის ბურჟუაზიას თვალის წინ. განსაკუთრებით ყურადღება იმაზედ იყო მიქცეული მუშათა კლასსის მიერ,—თუ როგორ უნდა მოეხდინათ ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია, რო-

გორ უნდა მოეწყოთ შრომა, მთელი მომავალი საზოგადოება. მოხსენებანი ბაკუნინისა, ცეზარ-დე-პეპისა და სხვათა,—საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთებია, თუ საითკენ მიისწრაფოდა მაშინდელი პროლეტარული აზრი. ამისი ეშინოდა ბურჟუაზიას, ამიტომ აფრქვევდა იგი ცეცხლს ინტერნაციონალის წინააღმდეგ, ამიტომ ცახცახებდა იგი სოციალური რევოლიუციის წითელი აჩრდილის წინაშე. ასე იყო პარიზის კომმუნამდე, სადაც მართლაც შეუდგნენ პარიზის მუშები ინტერნაციონალის დიდი იდეის განხორციელებას, და ამიტომაც ჩაახრჩო ეს კომმუნა სისხლში გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ. ინტერნაცნონალის იდეალი იყო: ძალით დათრგუნვა ყველა არსებულ დაწესებულებათა,—ბურჟუაზიულთა და სახელმწიფოებრივთა—და დამყარება ახალთა,—კომმუნისტურთა და თავისუფალთა; ამ იდეის ირგვლივ იყო შეკავშირებული საერთაშორისო პროლეტარიატი, მიტომ წარმოადგენდა იგი დიდ ძალას,—გარკვეული იდეალით და ამ იდეალის თანახმა ტაქტიკით. ინტერნაციონალი—სოციალური რევოლიუციის ნამდვილი პარტია იყო, და ჩვენ, ანარხისტებს, მიტომ მიგვაჩნია ხოლმე საჭიროდ ყოველითვის ამ მართლაც და გიგანტიური და ნამდვილი სოციალისტური დაწესებულების მაგალითის მოყვანა. ინტერნაციონალის დაცემის შემდეგ კი რა მოხდა? ისევ გამოვიდა სცენაზედ, სოციალიზმის სახელით, ძველი, მე-XVIII საუკუნის დემოკრატიზმი და იაკობინიზმი, სახელმწიფო სოციალიზმი იდეალად დაისახეს, პარლამენტარიზმი ერთად-ერთ ბრძოლის საშუალებად, და ამგვარად მთლად ერთიანად შეირყვნა მთელი ცნება სოციალიზმისა და სოციალური რევოლიუციისა. მას შემდეგ მთელი ევროპის მუშა ხალხს არწმუნებდნენ, რომ უსახელმწიფოდ ცხოვრება შეუძლებელია სოციალიზმის დროსაც,—რომ ძალდატანებითი რევოლიუცია,—ბურჟუაზიულია, და ეხლა კანონიერი, პარლამენტარული ბრძოლაა ერთად-ერთი საშუალებაო,—რომ ექსპრო-

პრიაცია კი არა, ასე გასინჯეთ. საწარმოო საშუალებათა გამოსყიდვით დაიწყება პირველი მომენტი სოციალური ტრანსფორმაციისაო, და სხვა. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ავრცელებდა, განსაკუთრებით მარქსისტთა ნაწილი ინტერნაციონალისა, თანამედროვე ს. დ.-იის წინამორბედი, ამგვარ „სოციალიზმს" და ბევრ ქვეყანაშიდ ისედაც საყოველთაო რეაქციისაგან მიდუნებული მოძრაობა სრულიად განაშორეს ნამდვილ თავისუფალ კომუნიზმს. ეს იყო განდგომილება ანარხიული კომმუნიზმისაგან, მაგრამ ინტერნაციონალის ღვაწლი, მისი ნამდვილი შინაარსი და იდეა არ დაკარგულა. იგი მისმა მეორე ჯგუფმა, — ანარხისტების ნაწილმა, შეითვისა, და დღეს ვხედავთ ამ განგრძობილი მოძრაობის შედეგს: წმინდა კომმუნიზმის იდეალი, სოციალიზმისა და სოციალური რევოლიუციის იდეა კიდევ სცოცხლობენ მუშათა შორის, იგინი საშინელი სისწრაფით ვრცელდებიან ყველა ქვეყნებში, და ინტერნაციონალიც ისევ გამოდის საერთაშორისო ბრძოლის სცენაზედ უფრო ძლიერი, განახლებული და გამარჯვებული განდგომილებასთან ბრძოლაში.

ინტერნაციონალის დაცემის შემდეგ, თუ მისმა მარჯვენა ნაწილმა ზემოხსენებული მიმართულება მიიღო, მარცხენა ნაწილმა, ბაკუნისტებმა აშკარა ანარხიზმს ჩაუყარეს საფუძველი. მაშინ როდესაც მარქსისტები თავიანთ კონგრესებზედ არჩევნების შესახებ მსჯელობდნენ და დემოკრატიზმით შემოფარგლეს თავიანთი ტაქტიკა, — ანარხისტები ძველი ტრადიციით საზოგადოების თვით ძირს ეხებოდნენ: ისინი თან და თან იმუშავებდნენ ექსპროპრიაციის პლანსა და ძალ-დატანებითი რევოლიუციის სულს ავრცელებდნენ მუშათა ორგანიზაციებში. მაშინ როდესაც მარქსისტები სახელმწიფოს ფარგალში კანონიერად მოქმედების გეგმებს ადგენდნენ და მომავალშიდაც ყაზარმულ სახელმწიფო-სოციალიზმის იდეალს უნერგავდნენ გულში მუშებს, ანარხისტები სცდილობდნენ გამოეყოთ მუშე-

ბი სჯხელმწიფოსაგან და ბურჟუაზიისაგან, წმინდა კომმუნიზმის იდეალი აღებეჭდათ მათ გულში, მოემზადებინათ იგინი სახელმწიფო და ბურჟუაზიულ დაწესებულებათა სრულ დასამხობად.

შედეგი დღეს ცხადად არის ჩვენი თვალის წინ აღბეჭდილი. და ამ შედეგის მიხედვითაც ვხველმძღვანელობთ ჩვენ, ანარხისტები, ჩვენს მოქმედებაში და იდეალისა და პრაქტიკის შეთანხმებაში. დღეს ერთად ერთი პარტია სოციალური რევოლიუციისა, გარკვეული თავისუფალი კომმუნიზმის იდეალთი, ძალ-დატანებითი რევოლიუციონური ტაქტიკით, ექსპროპრიაციისა და მომავალი შრომის ორგანიზაციის პლანით, რომელიც, დამყარებულ უნდა იყოს ნამდვილ კომმუნისტიურ და თავისუფლების პრინციპზედ,—დღეს ერთად ერთი ელემენტი სოციალური ტრანსფორმაციისა, რომელიც არის შეცვლა ყველა თანამედროვე დაწესებულებათა და ახალ საზოგადოებრივ განწყობილებათა დამყარება, და არა სხვა რამ, —(ამას ყოველთვის მოვაგონებთ მკითხველს)—დღეს ამგვარი ელემენტი სახელმწიფოს უარ-მყოფელი ანარხიზმია, თავისი განსაკუთრებული ორგანიზაციითა და მოქმედებით. მაგალითები ამისი არა ერთხელ გვიჩვენებია: მთელ ქვეყანაზედ მოფენილი მუშათა ორგანიზაციები, გამოყოფილნი სახელმწიფოსაგან და ბურჟუაზიისაგან, გარკვეული კომმუნისტიური იდეალით და რევოლიუციონური ბრძოლის მეთოდით.

კომმუნისტური იდეალი, წინმსრბოლი სოციალური რევოლიუციისა და უმთავრესი მამოძრავებელი ძალა, თვით რევოლიუციის პროცესსში აუცილებელი პირობაა მომავალი შემოქმედებითი ბრძოლისათვის. უამისოდ მუშათა კლასი ვერ შეჰქმნის ვერავითარ ხანგრძლივს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც მართლაც რომ აკმაყოფილებდეს ადამიანის სრული განვითარების ყველა პირობათა.

მესამე პირობა სოციალური რევოლიუციის აღსრულებისა, როგორც უკვე ვსთქვით, სახელმწიფოს მოსპობაა. თანამედროვე სახელმწიფო—კრებულია იმ ძალ დამტანებელ დაწე-

სებულებათა, სადაც შეგროვილია დიდ-ძალი ენერგია, რომელიც მუშაობს არა-მწარმოებელთა პრივილეგიების განსამტკიცებლად და მთელი მწარმოებელი კლასის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჯარი, პოლიცია, სამსაჯულო, მთავრობა, მათი ათასნაირი განყოფილებანი,—აი ის დაწესებულებანი, სადაც ეს ენერგიაა შეგროვილი. დაწესებულება არ უნდა გვესმოდეს, როგორც განყენებული რამ. აქ უფრო სინამდვილის ანალიზია საჭირო, რომ ნათლად დავინახოთ თვით ძირი სახელმწიფოს ხასიათისა. ყოველი დაწესებულება გამოჰხატავს ადამიანთა შორის ერთგვარ განწყობილებას. რა არის მაგალითად მუდმივი ჯარი თავისი შინაარსით? ეს უბრალო განწყობილებაა საზოგადოებაში არსებულ ადამიანთა სხვა და კატეგორიათა შორის, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ადამიანთა ერთი კატეგორიის ბრძანებით, რომელსაც „ძირითადი კანონი“ ეწოდება, აუარებელი ხალხი უნდა წავიდეს ყაზარმაში იარაღის ხმარებისა და ადამიანის კვლის სასწავლებლად. რათ მიდის ხალხი ამგვარი ცუდი საქმისათვის? რატომ არა აქვს მას შეგნება? აქ სხვა დაწესებულებანი, სხვა განწყობილებანი არიან ამისი მიზეზნი: სიღატაკე ხალხისა და მასზედ აშენებული უმეცრება, რაიცა აგრეთვე შედეგია კაპიტალისტისა და მემამულის მშრომელთან განწყობილებისა, აგრეთვე სამღვდელოების სახელმწიფოსთან და ხალხთან განწყობილებისა, და ასე ამგვარად, დაუსრულებლივ,—ერთი გრუპპა ადამიანთა მეორესთან არის განსაზღვრულ განწყობილებაში, და თვითეული განსაკუთრებული გრუპპის მეორესთან განსაზღვრულ განწყობილებათა კრებულს ჰქვია დაწესებულება. ამასთანავე ეს დაწესებულებანი ერთი-მეორეზედ არიან გადახლართულნი, და თანამედროვე საზოგადოებაში ორ დიდ კრებულს ვხედავთ განწყობილებათა: კაპიტალისტურსა და სახელმწიფოებრივს,—რომელნიც აგრეთვე მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ისტორიულადაც და ლოგიკურადაც, და რომელთაგანაც

პირველის დამცველი მეორეა.—უადამიანოდ დაწესებულება შეუძლებელია. ყოველი დაწესებულება შესდგება ადამიანთა განსაზღვრული რაოდენობისაგან.

და მსგავსად იმისა, როგორც კაპიტალისტური დაწესებულებანი წარმოადგენენ ადამიანთა კრებულებს, რომელთაც მთელი სოციალური ენერგიაა ქვსთ მითვისებული, სახელმწიფო დაწესებულებანიც აგრეთვე წარმოადგენენ ენერგიის ზემოხსენებული ხასიათის საშინელ კონცენტრაციას. გაითვალისწინეთ — რამდენი გონებრივი ენერგიაა მთელ ბიუროკრატიულ დაწესებულებებში ხალხის საძარცვაცად, მოსატყუებლადა და გასასულელებლად; რამდენი ენერგიაა სამსჯავროებში იმ ადამიანთა დასასჯელად და საწამებლად, რომელნიც მსხვერპლნი არიან მთელი თანამედროვე საზოგადოების უკეთმართობისა; რამდენი ტლანქი ენერგიაა ჯარში და სხვა დაწესებულებებში ხალხთა გასაწყვეტად და აგრეთვე ,,აჯანყებულთა დასამშვიდებლად'', რომელთაც უნდათ მოსპონ სწორედ ეს ანტისოციალური დაწესებულებანი;რამდენი ენერგია სჭირდება მწარმოებლისა მათ შენახვას, მათ მდიდრულად ცხოვრებას, მათი დარბაზების აშენებას, მათ სასწავლებლებში ეაწვრთნას, მათ ქეიფსა და აუარებელი სიმდიდრის ფლანგვას;—იანგარიშეთ და არ გაგიკვირდებათ თანამედროვე საზოგადოების გამათახსირებელი სიღატაკე და წამება ხალხისა, როცა დაინახავთ, რომ მთელი წყარო სოციალური ენერგიისა, რომელიც უნდა მიდიოდეს საწარმოოდ დახარჯულ ენერგიის შესავსებად,—ზემოხსენებულ ადამიანთა მადას აკმაყოფილებს მხოლოდ, და მხოლოდ იმისთვის, რომ მუდამ გრძელდებოდეს ამგვარი აბსურდული განაწილება სოციალური ენერგიისა ინდივიდთა შორის. თუ დღეს ფაქტიურად არსებობენ ამგვარი, სახელმწიფო დაწესებულებანი,—ეს კიდევ იმიტომ, რომ სულ მცირე ნაწილს სოციალური ენერგიისას ანაწილებენ იგინი ნახევარ-რაციონალურად ინდივიდთა შორის (მაგალითად სკოლების გაკეთება და სხვა საზოგადო სასარგებლო დაწესებულებანი), ისე როგორც

კაპიტალისტი აძლევს მუშას უმცირეს სამუშაო ქირას, რომ სრულიად არ დაიშრიტოს მისი ენერგიის სახარჯავი წყარო. მაგრამ ამგვარი სისტემის არსებობა დიდხანს და მუდმივ შეუძლებელია, და ამიტომაც აქვსთ დღეს მწარმოებელ კლასსებს დაყენებული კითხვა: გაბნევა ამ სახელმწიფოში თავმოყრილი ენერგიისა, რაიცა აუცილებელია სოციალური გარდაქმნის დაწყებისათვის! და რადგანაც ეს ენერგია უმეტეს ნაწილად ტლანქად, მექანიკურად მუშაობს,—ამიტომ შეიარაღება და იარაღით ხელში, აგრეთვე ტლანქი, ფიზიკური ძალით მოსპობა ყველა იმ დაწესებულებათა, რომელთაც ძალ-დატანების ბეჭედი აზის!—ეამისოდ ყოვლად შეუძლებელია ახალ დაწესებულებათა შექმნა,—იმგვარ დაწესებულებათა, რომელნიც მართლაც წარმოადგენენ ენერგიის აუარებელ წყაროს, მაგრამ სულ სხვა წყაროს,—წყაროს, რომელსაც თავისუფლად, შეუზღუდავად და თანასწორი უფლებით დაეწაფება ყოველი მწარმოებელი, მხარჯავი ენერგიისა მთელი საზოგადოებისათვის და შემქმნელი ამ დაუშრეტელი წყაროსი. აქ ს. დ.-ები და სხვა სახელმწიფო პარტიები უეჭველად წამოიყვირებენ: ჩვენც მაგნაირი საზოგადოება გვსურსო; მხოლოდ ჩვენ მაგასაც სახელმწიფოს ვუწოდებთო; დღეს არის სახელმწიფო იმ ხასიათის, როგორც თქვენ ამბობთ, თორემ მომავალი სახელმწიფო მხოლოდ საწარმოო ორგანიზაცია იქმნებაო... მაშასადამე რას ემტერებით საზოგადოდ სახელმწიფოს, რად ემტერებით თანამედროვე სახელმწიფოსაც, რომლის სრული გარდაქმნა შეიძლება მუშათა სასარგებლოდ, და რა საჭიროა მისი დანგრევაო... მაშასადამე გაუმარჯოს პარლამენტარიზმსო და სხვა.

ჩვენ ამ „მაშასადამეებამდის“ მზადა ვართ მიულოცოთ მათ გაანარხისტება, მხოლოდ კი მოვაგონოთ, რომ საწარმოო ორგანიზაციას სრულიადაც არა ჰქვია სახელმწიფო, და ჭირვეულობა,—მაინცა და მაინც სახელმწიფო უნდა ერქვასო,—ან ტერმინოლოგიის არ-ცოდნაა, ან და უბრალო ყინი, რომელიც ჩვენ-

თვის მაინცა და მაინც საინტერესო არ არის. მაგრამ საქმე ასე უბრალო რაშეში არ არის. საქმე მათ „შაშასადამეებშია“. ჩვენ სახელმწიფოს სწორედ მიტომ ვემტერებით, რომ იგი მხოლოდ ზემოხსენებულად განისაზღვრების, — როგორც კრებული ძალდამტანებელ დაწესებულებათა, როგორც კონცენტრაცია ანტისოციალური ენერგიისა. ჩვენ ეს კრებული დაწესებულებათა გვაინტერესებს, და მიტომ უარ-ვყოფთ მას, როგორც აწმყოში, ისე მომავალში, და რა სახელს უწოდებენ ს. დ — ები მას, — ჩვენთვის ეს დიდ მეცნიერულ ინტერესს არ წარმოადგენს. გარდა ამისა, სად არის ლოგიკა ამ „მაშასადამეებში“ი.? თუ დღევანდელი სახელმწიფო ძირითადად განირჩევა მომავლისაგან, თუ დღევანდელი სახელმწიფო ძალ-დატანებაა და ტლანქი ძალა, განა შეიძლება მითი სარგებლობა, ან მისი გაუმჯობესება, რომ მომავალში მხოლოდ „საწარმოო ორგანიზაცია“ გახდეს ეს განმანადგურებელი მოვლენა თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაში, — „საწარმოო ორგანიზაცია“, — ესე იგი ჩვენი ტერმინოლოგიით — ანარხიული კომმუნიზმი? — არა, აქ ნამდვილად არც ტერმინის საქმეა, არც ულოგიკობის, აქ სახელმწიფოს პრინციპიალური აღიარებაა, მთელი თავისი შინაარსითა და ხასიათით, — მხოლოდ მისი აუცილებლობის დამტკიცების შეუძლებლობა აყვირებს ზემოხსენებულ სოციალისტებს „საწარმოო ორგანიზაციაზედ“. მაგრამ როდესაც მათ დაუმტკიცებენ, რომ სწორედ ეს „საწარმოო ორგანიზაციაა“ ანარხია, სახელმწიფოს უარ-ყოფა, — მაშინვე უკან დაიხევენ ხოლმე და დაიძახებენ: მაშ ვინღა იქმნება ხელმძღვანელი, განსაკუთრებით ექსპროპრიაციის დროს და სხვ.? — ჩვენ ვეთყვით, — ისევ ადამიანები, მწარმოებლები, მცოდნე ხალხი, იდეით განმსჭვალული კომმუნისტები, — თუ გნებავსთ ისევ „დაწესებულებანი“, მაგრამ არა პოლიციური და ბიუროკრატიული, რაიცა აუცილებლად ახასიათებს სახელმწიფოს, არამედ დაწესებულებანი, თავისუფალი ქარხნის მუშათა, სახელოსნოთა, სოფელთა და

ქალაქთა მწარმოებელთაგან შემდგარნი,—არა ხალხის ელეტი-სათვის, არამედ წარმოების ორგანიზაციისათვის. დაამტკიცეთ რომ ჟანდარმი აუცილებელია წარმოებისათვის, რაიცა ვერა ჰქნა ვერც ერთმა იურისტმა, ს. დ—ებზედ უფრო მცოდნემ სახელმწიფოს ხასიათისა, და მერმე დაიწყეთ მომავალი კოლ-ლექტივისტური სახელმწიფოს პლანების შენება! თანამედრო-ვე მუშათა კლასს კი მომავალი სულ სხვანაირად ესმის: მოს-პობა თანამედროვე ძალ-დატანებით და მყვლეფელ დაწესებუ-ლებათა (სახელმწიფო და კაპიტალიზმი), და შექმნა კომმუ-ნისტიური და ანარხიული შრომის ორგანიზაციისა. ეს ორი დიადი საქმე უნდა შეასრულოს სოციალურმა რევოლიუციამ, რომ ნამდვილი სოციალური ტრანსფორმაცია შესაძლებელი შეიქმნას.

თანამედროვე მუშათა კლასს სამ ნაირი ენერგია აქვს: საწარმოო ენერგია, რომლითაც იგი მთელ სიმდიდრესა ჰქმნის, სოციალური ენერგიის წყაროს; გონებრივი, შემოქმედებითი ენერგია,—კომმუნისტიური იდეალი,—რომლითაც მან უნდა შეჰქმნას მომავალი ანარხიულ-კომმუნისტიური საზოგადოება; დამთგურნველი ენერგია, რომლითაც უნდა განაბნიოს სახელ-მწიფო დაწესებულებებში დაგროვილი ანტისოციალური ენერ-გია, მოახდინოს ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია და გზა გაუწმინ-დოს თავისი შემოქმედებითი ენერგიის მუშაობას.

პირველი ენერგია მას საკმაოდ შესწევს,—თანამედროვე წარმოების განსაცვიფრებელი სიდიადე ამისი უტყუარი საბუ-თია, მეორეც ძლიერია, თუმცა მეტია საჭირო, და ამ ენერგიის შევსებისათვის ყოველი წელიწადი წინ-წადგმული ნაბიჯია ევ-როპისა და ამერიკის მუშათა კლასისათვის, მესამე კი ძლიერ ცოტაა, და ამაზედ უნდა იყოს მიქცეული უმთავრესი ყურად-ღება მუშათა ორგანიზაციათა და სოციალური რევოლიუციის ნამდვილ მოტრფიალეთა. ამ უკანასკნელის შესავსებათაც ემზადება მუშათა კლასსი თავისი ორგანიზაციებით, იარაღის

შეძენით, თანამედროვე ტეხნიკური ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებითა და სხვ. და როდესაც თვით მუშათა კლასსი იგრძნობს, რომ საკმარისი ენერგია შეიძინა ძველის დასანგრევად და ახლის შესაქმნელად, მაშინ დაიწყება ის სანატრელი სოციალური რევოლიუცია, რომელმაც უნდა განაახლოს კაცობრიობა.

უდიდესი მუშაობა ხდება დღეს მუშათა შორის. დიქტატურისა და დეპუტატობიის მაგივრად, დღეს მუშები იმაზედა მსჯელობენ განსაკუთრებით,—თუ როგორ უნდა გამოაცალონ ბურჟუაზიას თავისი საწარმოო ენერგია,—ეს არის საყოველთაო გაფიცვის კითხვა, რომელმაც მთელი ქვეყნის პროლეტარიატი დააინტერესა და მრავალი ცდის შემდეგ მიიყვანა იმ დასკვნამდის, რომ ეს საშუალება საუკეთესოა ბურჟუაზიის მოსპობისათვის და საწარმოო საშუალებათა ექსპროპრიაციისათვის; ისინი მსჯელობენ, თუ როგორ უნდა მოაწყონ წარმოება ექსპროპრიაციის შემდეგ, ე. ი. როგორ შეაერთონ თავიანთი შემოქმედებითი ენერგია თავიანთ აუარებელ საწარმოო ენერგიასთან და შეგროვილ საწარმო ენერგიასთან, რომ განახორციელონ ბოლოს და ბოლოს თავიანთი იდეალი; ისინი მსჯელობენ აგრეთვე პირდაპირი ომის შესაძლებლობაზედ და საშუალებზედ, რომ საუკუნოდ, დაუბრუნებლად განაბნიონ სახელმწიფო ენერგია და ახალ პირობებში მის აღმოცენებას ადგილი აღარა ჰქონდეს. სოციალური რევოლიუციისა და სოციალური ტრანსფორმაციის ელემენტები მაშასადამე მზად არის, და ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ დავაჩქაროდ ეს სანატრელი დრო.

როგორი იქმნება ეს საყოველთაო გაფიცვა, რევოლიუციის დამწყები, რახანს გასტანს ექსპროპრიაცია და მწარმოებელთა შემოქმედებითი მუშაობა, როგორი იქმნება შეტაკება ახალი აღოღრძინებული ძალისა სახელმწიფო ენერგიასთან,—ყველა ეს კითხვები ძლიერ საინტერესო და

ძნელი გადასაწყვეტია. მათი ნამდვილი გადაწყვეტა შომავლისაა, მაგრამ აწმყოში მათზედ მსჯელობა ყოველთვის სასარგებლოა, და თუ ამ წიგნში ვერ მოვახერხეთ, სხვა ცალკე წიგნებში ვეცდებით მივსცეთ მათი შეძლებისა დაგვარად გარკვეული პასუხი, რამდენადაც შესაძლებელია მომავალზედ წინასწარ-მეტყველება ზემოხსენებულ კითხვათა სირთულისა და სიძნელის გამო.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ.

ეს წიგნი უკვე გათავებული იყო, როდესაც გაზეთში წავიკითხე საფრანგეთის სინდიკალისტების უკანასკნელი კონგრესის შესახებ, რომელიც ამიენში შესდგა. ბაკუნინის იდეამ გაიმარჯვა საფრანგეთის პროლეტარიატის შორისო, ამბობდა გაზეთ „Товарищъ"-ის კორესპონდენტი,—და ეს სრულიად არ არის საკვირველი. დღეს საფრანგეთი წარმოადგენს მხოლოდ იმ ქვეყანას, სადაც ყოველივე მთავრობის ფორმა ნაცადია, ხალხი მრავალ რევოლიუციისაგან გამოცდილი, "პოლიტიკურად აღზრდილი",—როგორც ამბობენ ხოლმე,—და საფრანგეთის პროლეტარიატის გატაცება ძველი დემოკრატიზმისაკენ და მის მიერ შემოღება ძველ, დემოკრატიულ—კანონიერ ბრძოლის წესთა, ყოვლად შეუძლებელია, თუმცა ბევრს ეცადენ მარქსისტები ისევ ეგრედ წოდებულ „პოლიტიკისაკენ" მიებრუნებიათ საფრანგეთის სინდიკალიზმი, რომელმაც გამოჰყო მუშათა კლასი როგორც ბურჟუაზიასა და სახელმწიფოს, საზოგადოდ, ისე დემოკრატიასა და ს. დ.—იას კერძოდ, და შეადგინა ნამდვილი მუშათა პარტია, პარტია მუშათა ერთობისა, „შრომის პარტია",—როგორც თვით ამბობენ,—პარტია ნამდვილი სოციალური რევოლიუციისა,—დავუმატებთ ჩვენ. დღეს სინდიკალიზმის გამარჯვება პარლამენტარიზმის საუკუნოდ დამარცხებას მოასწავებს, გამარჯვებას ორი დიდი იდეისას,—პირდაპირი მოქმედებისას და საყოველთაო გაფიცვისას,—რომელნიც პირდაპირ გამომდინარეობენ სოციალიზმისა და რევოლიუციის ნამდვილ განსაზღვრათაგან.—გარდა ამისა ამ იდეალთ თავისი ისტორი-

ული ძირი აქვსთ ინტერნაციონალში, თავისი ბრწყინვალე და სისხლით შეღებილი ისტორია, — და ამიტომაც ვსცანით საჭიროდ ამ დამატებაში ცოტა რამ გველაპარაკნა როგორც ამ პირდაპირ მოქმედებაზედ და საყოველთაო გაფიცვაზედ, ისე განსაკუთრებით საფრანგეთის სინდიკალიზმზედ.

ინტერნაციონალმა აღიარა, რომ მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა მიერ უნდა მოხდესო. ამ პრინციპით იყვნენ გამსჭვალულნი ყველა მუშები, ვინც შედიოდენ იმ დროს დიდ საერთაშორისო მუშათა კავშირში. ინტერნაციონალი თვით არ წარმოადგენდა სახელმწიფოს მსგავსს ორგანიზაციას, არამედ ორგანიზაციას „ძირიდან ზევით“. ყოველ ქვეყანაში, ყოველ პატარა პროვინციაში, ყოველ ქალაქში არსებობდენ ავტონომიური ორგანიზაციები, ერთმანეთთან ფედერატიულად შეკავშირებულები. ყოველი ქალაქის ან პროვინციის ერთი რომელიმე ხელობის მუშები შეკავშირებულები იყვნენ, ამ კავშირში ისინი იცავდენ თავიანთ პროფესიონალიურ ინტერესებსა და ეწეოდენ ყოველ დღიურ ბრძოლას; ამ კავშირთა ფედერაციები რომელიმე ქალაქში ან პროვინციაში შეადგენდენ სექციას, სადაც ირჩეოდა როგორც ყოველი კითხვა მუშათა ცხოვრებასთან კავშირის მქონე, ისე მთელი სექციის ინტერესთა კითხვები. სექციაც აგრეთვე ავტონომიური იყო თავის შინაგან საქმეებში. სექციათა ფედერაცია რომელიმე ქვეყანაში ჰქმნიდა ერთ ნაციონალურ ფედერაციას, რომელიც არჩევდა აგრეთვე საერთოდ სოციალიზმისა და კერძოდ ნაციონალურ მუშათა ინტერესთა კითხვებს და ამ ნაციონალურ ფედერაციათა კავშირი კი წარმოადგენდა ერთ დიდ საერთაშორისო მუშათა კავშირს, რომელსაც თავში ჰყავდა ეგრედ წოდებული საზოგადო საბჭო (ლონდონში). მაგრამ ამ საბჭოს სრულიადაც არა ჰქონია მთავრობის უფლება, იგი იყო მხოლოდ ცნობათა ბიურო, რომ ერთი ქვეყნის მუშებს სცოდნოდათ, რა ხდებო-

მეორე ქვეყანაში, გაფიცულ ამხანაგთათვის დახმარება გაე-

წიათ და სხვა. აგრეთვე არც ერთი კონგრესი არ მომხდარა დიდი ინტერნაციონალისა ისე, რომ სოციალიზმის კითხვები წინდაწინ, ერთი წლით არ ყოფილიყვენ განხილულნი თვით მუშათა მიერ, ყოველ პატარა ჯგუფში და ორგანიზაციაშიაც კი. როდესაც მუშები მოვიდოდენ ხოლმე კონგრესზედ, მათ იცოდენ უკვე თვით მუშათა აზრი ამა თუ იმ კითხვის შესახებ. ამიტომაც იყო, რომ პირველი კონგრესსები ინტერნაციონალისა, ჟენევის კონგრესსი 1866 წლ., ლოზანნის 1867 წლ., ბრიუსსელის 1868 წლ. და ბაზელის 1869 წლისა, დიდს ინტერესს წარმოადგენდენ. 1864 წლიდან, როდესაც დაარსდა ინტერნაციონალი, თვითოეული წელი, ე. ი. თვითოეული კონგრესსი, როგორც ვსთქვით, დიადი ნაბიჯი იყო სოციალიზმისაკენ, ორგანიზაციათა გაძლიერებისაკენ, მუშათა მართლაც და კლასსიურ შეგნებისაკენ, და ამითი აიხსნება ის წივილ-კივილი, რომელიც მორთო ბურჟუაზიამ მთელს ევროპაში,—არიქა ინტერნაციონალი იზრდება და არ გავა დიდი ხანი და ბურჟუაზიას ბოლო მოეღებაო. (იხილე მაგალითად Oscar Testut: L'Internationale, L'Internationale et le jacobinisme au ban de l'Europe და სხვ.). ამ კონგრესსებზედ ბოლოს და ბოლოს იმას ირკვევდენ უკვე, თუ როგორი უნდა იყოს სოციალური რევოლიუცია, როგორი უნდა იყოს მომავალი საზოგადოება, როგორი უნდა იყვნენ მუშათა ორგანიზაციები, რომ მალე მიაღწიონ მიზანს და სხვა,—ერთი სიტყვით თვით მუშები არჩევდენ იმ კითხვებს, რომელიც პირდაპირ შეეხებოდა მათ და მათ მიერ მოსახდენ სოციალურ რევოლიუციას. მუშები განურჩევლად პარტიისა, არჩევდენ ამ კითხვებს და იმუშავებდენ საერთო გეგმებსა და საერთო იდეალს, რადგანაც ამ დროს და დღესაც საზოგადოებაში იმდენი მიმდინარეობაა, სოციალიზმშიაც იმდენი მიმართულებაა, რომ ყოვლად შეუძლებელია მთელი მუშათა კლასსის ერთ დიდ პარტიაში შეგროვება. მოიგონეთ მაგალითად ცეზარ-დე-პაპის

მოხსენებანი, ბაკუნინისა, მარქსისა და მრავალ სხვათა;—ეს მოხსენებანი განირჩეოდენ ერთმანეთისაგინ, მაგრამ ამითი კიდევ უფრო წინ მიდიოდა სოციალიზმის საქმე, უფრო ირკვეოდა კითხვა. ამასთანავე არსებობდა მაშინდელ ყველა ეროვნებათა მუშათა შორის ისეთი მჭიდრო კავშირი, რომ მსგავსი რამ ეხლაც სანატრელია ჩვენთვის,—და მხოლოდ იმიტომ, რომ არც ერთ პარტიას არა ჰქონდა პრეტენზია რომ მთელ მუშათა კლასს იგი შეჰკრეფდა, ერთ ყალიბში ჩამოასხამდა ყველა მიმდინარეობას მთელი ქვეყნის მუშათა კლასში. ინტერნაციონალისათვის ჯერ თვით მუშათა კლასსი იყო, მისი თვით-მოქმედება და თავისუფალი მოძრაობა, მერე კი პარტია რომელიმე მიმდინარეობის გამომხატველი—შემდეგ კი კავშირი და საერთო მოქმედება ყველა პარტიათა და მუშათა ორგანიზაციებისა. დღეს კი ბევრს ჰგონია, რომ ჯერ პარტია უნდა იყოს, და მერე შიგ გამომწყვდეული მუშები. ცხადია დიდი განსხვავებაა ამ ორ პრინციპთა შორის.

ამგვარად მე 60-ცე წლებში მზადდებოდა უდიდესი ძალა მუშათა, რომელმაც უარ-ჰყო სახელმწიფო თავისი საზღვრებითა და ეროვნული შოვინიზმით, უარ-ჰყო ბურჟუაზია და სცდილობდა მის ექსპროპრიაციას დიდი სოციალური რევოლიუციით. ამგვარად იზრდებოდა სრულიად ახალი საზოგადოება გარეშე სახელმწიფოისა და ბურჟუაზიისა, რომელსაც უნდა დაემხო ძველი თავისივე--თვით მოქმედებით. და ამავე თვით მოქმედებით უნდა აეშენებინა ახალი საზოგადოება შრომისა და თავისუფლებისა ბურჟუაზიისა და სახელმწიფოს ნანგრევებზედ. თვით მომავალ საზოგადოების ორგანიზაციას ეთანხმებოდა ორგანიზაცია ინტერნაციონალისა, თვით-მომქმედი გრუპპები და ფედერაციები მუშათა, მათი საერთაშორისო კონფედერაცია გარეშე სახელმწიფოსა და ეროვნებისა; თვით მომავლის შთანაჩენი იყო ინტერნაციონალი და ამითი ჰქონდა მას ძალა, იმისი ეშინოდა ბურჟუაზიას.

მაგრამ პარიზის საუკეთესო პროლეტარიატის დახოცვამ კომმუნის დროს 1871 წელში, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ სახელმწიფო ელემენტის გამოჩენამ თვით ინტერნაციონალში დაჭლუპა ინტერნაციონალი. პარიზის პროლეტარიატი სულის ჩამდგმელი იყო ინტერნაციონალისა. ტყვილა კი არ ამბობდენ ხოლმე ამ დროს: ინტერნაციონალი დაიბადა პარიზის ქარხნებში და ლონდონში ნაპოლეონ მესამის შიშით საძიძაოდ გააბარესო. პარიზის პროლეტარიატის ამოჟლეტით ინტერნაციონალს ნახევარი სიცოცხლე მოაკლდა.—ამასობაში მარქსისტებმა მოიწადინეს თვით პრინციპის გამოცვლა ინტერნაციონალისა. ინტერნაციონალს ესმოდა პოლიტიკური ბრძოლა, როგორც ბრძოლა სახელმწიფო დაწესებულებათა წინააღმდეგ, და მარქსისტებმა კი გადაასხვაფერეს ეს პრანციპი და დაიწყეს ამ აზრის გატარება: რადგანაც ყოველივე ეკონომიური ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაც არის, მაშასადამე გაუმარჯოს კანონიერ ბრძოლას, კანონმდებლობაში მონაწილეობის მიღებას, ლეგალიზმსაო, და 1872 წლის ჰააგის კონგრესსზედ კიდევაც გაიყვანეს ეს აზრი, — რა ზომებით კი, ეს თვით სინიდისიერ მარქსისტთა ვკითხოთ!.. აქედამ იწყება ინტერნაციონალის დაშლა. ძველი პრინციპის მიმდევრებმა რასაკვირველია არ დაუჯერეს ჰააგის კონგრესსის გადაწყვეტილებას, და „გამორიცხულმა“ ბაკუნინმა, რომელმაც თავისი მხრივ მარქსისტები „გამორიცხა“, მთელი თავისი ყურადღება ცნობილ „იურის ფედერაციას“ მიაპყრო, სადაც იმ დროს იკრიბებოდენ საუკეთესო სოციალისტური ძალები მთელი საფრანგეთ-შვეიცარია-იტალიისა. გარდა ამისა საზოგადო საბჭომ მოინდომა მთავრობად გადაქცეულიყო, ცენტრალურ კომიტეტად, —ცნობის ბიუროს მაგივრად. ამან გამოიწვია საშინელი პროტესტი მუშათა მხრივ. დაიშალა ინტერნაციონალი, საზოგადო საბჭო ნიუ-იორკში გადაიტანეს „ინტერნაციონალის“ მოსაკლავად, როგორც ამბობდენ მაშინდელი მუშები, და შემდეგ, დაინახეს-რა, რომ

ამ გადატან-გადმოტანით არაფერი გამოდის, ფილადელფიის კონ-
გრესსზედ 1876 წელს, მარქსისტებმა გამოაცხადეს ინტერნა-
ციონალის დაშლა ოფიციალურად.

მას შემდეგ შესდგენ და იზრდებიან ს.-დემოკრატების
პარტია და ანარხიზმი, ორი შვილი დიდი ინტერნაციონალისა
—პირველი კანონიერებით, მეორე ინტერნაციონალის დიდი
პრინციპით:—მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით
მუშათა მიერ, მისი თვითმოქმედებით, გარეშე სახელმწიფოისა
და კანონიერებისა. მასუკან სულ სხვა და სხვა გზით მიდის ეს
ორი მიმართულება. პირველი ნამდვილ პოლიტიკურ კანონიერ
პარტიად გადიქცა, მათი ორგანიზაციებიც არას წარმოადგე-
ნენ გარდა „წესიერების“ და „არჩევნების პარტიისა“, მეორე
ამზადებს მუშებს დიდი სოციალური რევოლიუციისათვის და
ორგანიზაციებსაცა ჰქმნის ინტერნაციონალის ტრადიციების
მიხედვით. ისპანიის მუშებს თავის ჯღეში არ უღალატნიათ
ინტერნაციონალის პრინციპისათვის. ამითი აიხსნება იქ მუ-
შათა ორგანიზაციების სიძლიერე და შედარებითი გაუმჯობე-
სება მათი ხვედრისა მუდმივი რევოლიუციონური ბრძოლითა
და კანონიერების უარ-ყოფით. იტალიაში უმეტესი ნაწილი
მუშათა ორგანიზაციებისა თვით-მომქმედ სინდიკატებს ეკუთ-
ვნის. ჰოლლანდიაში კიდევ უფრო ძლიერია სინდიკალიზმი,
რომელიც პირდაპირაა აგებული ინტერნაციონალის გეგმაზედ.
საფრანგეთში მუშათა მოძრაობა ეხლა ნამდვილი უარ ყოფაა
პოლიტიკანიზმისა და დაბრუნება ინტერნაციონალისაკენ.
ამერიკაში, ჩრდილოეთშიდაც და სამხრეთისაშიდაც, თავი-
სუფალი სინდიკალიზმია ერთად ერთი მოძრავი ელემენტი
მუშათა კლასში. ინგლისში ინტერნაციონალის დანგრე-
ვის შემდეგ ვერც სოციალ-დემოკრატიულმა ლეგალიზმ-
მა მოიკიდა ფეხი და ვერც ანარხიზმმა, მაგრამ ამისი მიზე-
ზები ბევრი იყვნენ, რომელთა ჩამოთვლას აქ ვერ შევუდგე-
ბით. ვიტყვით მხოლოდ, რომ თვითმოქმედებას მიჩვეული ინ-

ბლისის მუშათა კლასი უფრო მეორეს მიემხრობა, ვიდრე პირველს, რადგანაც ის ენტუზიაზმი, რომლითაც ინგლისის მუშები მიეგებენ საერთო გაფიცვის იდეას, ბევრს კარგს არას მოასწავებს საპოლიტიკო ლეგალიზმისათვის. გერმანიაშიდაც კი შეირყა ამ ბოლო დროს ს. დ.—თა ლეგალიზმის პრინციპი. დრ. ფრიდებერგმა მრავალი მუშა მიიმხრო ბერლინში და შეადგინა ანარხო-სოციალისტთა პარტია. საზოგადოდ—ვამჩნევთ, რომ ლეგალიზმს სრულიად დაეკარგა კრედიტი ამ ბოლო დროს. ჯერ ერთი იმიტომ რომ პრაქტიკულად სრულიად გამოუდეგარი ყოფილა, — რეფორმებს ვერ ახორციელებს და წვრილ რეფორმათა მოსაპოვებლადაც მუშებს თვითმოქმედება და ქუჩის ბრძოლა სჭირდებათ, მეორე—თვით ახალ ორგანიზაციათა შექმნამ დაარწმუნა მუშები, რომ მართალი ყოფილა ძველი ინტერნაციონალის პრინციპი მუშათა თვით მოქმედების შესახებ; შეამუშავებინა ახალი თეორია საყოველთაო გაფიცვისა, და აღადგინა ძველი ინტერნაციონალი. საყოველთაო ამომრჩევლობითმა უფლებამ კრედიტი დაჰკარგა, იგი მუშებს ვეღარ აკმაყოფილებს; ეს პრინციპი, როგორც სხვა დემოკრატიული პრინციპი, მოსცილდა სოციალიზმს, სოციალიზმი გამოეყო დემოკრატიზმს, გამოეყო სახელმწიფოს, და ეხლა როგორც მე-19 წლებში, ევროპის მუშათა კლასი ისევ ერთდება, ისევ გამოდის ცალკე, როგორც მწარმოებელთა დიდი რევოლიუციონური ძალა, თვითმომქმედი და შეკავშირებული გარეშე სახელმწიფოისა და ბურჟუაზიისა; იგი დამხობით ემუქრება ერთსაც და მეორესაც. ეს მოძრაობა ყველა ქვეყნებში მკვდრეთით აღდგენაა ინტერნაციონალისა.

ინტერნაციონალის დაშლის შემდეგ, როგორც მრავალჯერა ვსთქვით, მარქსისტებმა მიმართეს ძველ ტაქტიკას—კანონიერ მოქმედებას. ანარხისტებმა ახალი ტაქტიკის შემუშავებას მიჰყვეს ხელი. ძველი ინტერნაციონალის კონგრესის ანგარიშებშიდაც ნახავს კაცი საერთო გაფიცვის იდეას. საქმე ის არის

რომ ნამდვილი შინაარსიანი კონგრესები ინტერნაციონალს ჰქონდა 1866—1869-მდის, და რომ დასცლოდა, ვინ იცის რამდენი დიადი პრინციპის შემუშავება შეიძლებოდა მთელი ქვეყნის მუშათა ჰკუის საერთო ამოძრავებით; ინტერნაციონალმა ვერ მოასწრო საერთო გაფიცვის თეორიის შექმნა. ამერიკის ანარხისტ მუშებმა შექმნეს იგი და შეიმუშავეს. 1885 წელს პიტსბურგში შეიკრიბენ ამერიკის მუშების წარმომადგენლები ამ კონგრესზედ უმთავრეს როლს თამაშობდა ეგრედ წოდებული Intenational Working men's Association, რომელიც თითქმის ანარხისტული ორგანიზაცია იყო. აქ იყო გადაწყვეტილი, რომ რადგანაც შეერთებულ შტატებში არ იყო 8 საათის სამუშაო დღე,—გამოეცხადებიათ შეერთებული შტატების მუშებს **საერთო გაფიცვა 1 მაისს 1886 წელს**, რომ თავისივე ბრძოლით მოეპოვებიათ ეს უმთავრესი ეკონომიური რეფორმა. მოვიდა 1886 წელიც. დადგა პირველი მაისი. მთელი შეერთებული შტატების მუშები ფეხზედ იყვნენ 8 საათის სამუშაო დღის მოსაპოებლად. ნიუიორკში, ბოსტონში, ნიუორლეანში, სანფრანცისკოში და სხვაგან უმეტეს ნაწილად მოიპოვეს მუშებმა 8 ს. სამუშაო დღე. ბევრგან სისხლის ღვრაც მოხდა. ჩიკაგოში კი ყველაზედ უფრო გაჯიუტდა ბურჟუაზია. პოლიციამ საშინელი მძვინვარება დაიწყო, შეკრებასაც აღარ ანებებდა მუშებს. 3 მაისს 1886 წელს ჰეიმარკეტზედ მუშებს კრება ჰქონდათ, იყვნენ იქ ანარხისტები, მუშათა მოძრაობის სულის ჩამდგმელნი ჩიკაგოში: შპისი, ენგელი, ლინგი, ფილდენი, შვაბი, ნეებე და ფიშერი. ლაპარაკის დროს პოლიციელთა რაზმი დაეცა მიტინგს, მაგრამ ისროლეს ამ დროს ბომბი და მოჰკლეს ერთი პოლიციელი, დასჭრეს მრავალი და გაფანტეს დანარჩენი, მაგრამ მალე მოვიდა პოლიციელთა მეორე ჯგუფი, დაერია ხალხს და ცემა-ტყეპით გარეკა. მთავრობასაც ეს უნდოდა: დაიჭირეს ანარხისტები, და მათი ამხანაგი ალბერტ პარსონსი, რომელიც თვითონ არც კი იყო ამ დროს

ჩიკაგოში, არამედ შემდეგ მოვიდა და შეუერთდა თავის მოძმეებს,—იუდებს ჩააბარა თავისი თავი ნებით. ბომბ არც ერთ მათგანს არ უსვრია, ეს სასამართლოში გამოირკვა, მაგრამ ვერაგმა მთავრობამ მაინც დაახრჩო შპიზი, პარსონსი, ენგელი და ფიშერი. ლინგი რომ მიჰყავდათ სახრჩობელაზედ, სიგარა აანთო, რომელშიდაც დინამიტი იყო და თვითაიფეთქა თავი. ფილდენს, შვაბსა და ნეებეს კატორგა გადაუწყვიტეს, და მხოლოდ შემდეგ გაანთავისუფლეს, როდესაც გუბერნატორმა ოლტგელდმა დაამტკიცა მათი უდანაშაულობა და მთავრობის სიყალბე და დანაშაული. შესწირეს გმირებმა თავი, მაგრამ ამაოდ არა: ჩიკაგოშიდაც ბევრ ქარხნებში მიიღეს 8 საათის სამუშაო დღე. ამით გათავდა ეს პირველი დიდი საყოველთაო გაფიცვა, რომელიც ანარხისტების სისხლით არის მონათლული. მასუკან გადმოვიდა ეს მუშათა იდეა, მუშათა თვითმოქმედების იდეა ამერიკიდან ევროპაში 1 მაისის დღესასწაულთან ერთად.

გასაკვირველი არ არის, რომ ევროპის მუშა ხალხი ამას დიდის ენტუზიაზმით შეხვდა. ესპანიაში მყისვე მიიღეს ეს აზრი და დაიწყეს საყოველთაო გაფიცვის ხმარება, როგორც საუკეთესო საბრძოლველი იარაღისა. მალე მან ნაყოფიც გამოიღო და შემდეგ კი მართლაც საუკეთესოდ დააჯილდოვა ისპანიის პროლეტარიატი. საფრანგეთში ს. დ.—ებმა დიდის ეჭვის თვალით შეჰხედეს ამას, რადგანიც ხალხის მიერ შემუშავებული აზრი საერთო გაფიცვისა რაღაც ძლიერ ეწინააღმდეგებოდა პარლამენტარიზმს, კანონიერ მოქმედებას; სადაც კი იყვნენ გედისტები მუშათა ორგანიზაციებში, უარ-ჰყვეს საყოველთაო გაფიცვა, ამით მოიმდურეს მუშები და 1888 წლიდან, როდესაც ბორდოს კონგრესზედ არისტიდ ბრიანმა პირველად წარადგინა საერთო გაფიცვის პროექტი, სოციალდემოკრატებმა იწყეს გამოსვლა მუშათა ორგანიზაციებიდან და ბოლოს და ბოლოს სულ გარეშე დარჩენ. თვით ბრიანი კი თუმცა გატაცებული იყო,—როგორც ის, ისე თვით ჟორესი

და ბევრი ჟორესისტი, საყოველთაო გაფიცვით, მაგრამ იგი იყო მშვიდობიან საერთო გაფიცვის მომხრე. დღეს კი მინისტრად ბრძანდება.

მუშებიკი 1888 წლიდან 1995 წლამდე, როდესაც სდგებოდა საფრანგეთის „შრომის საერთო კონფედერაცია“, თან და თან იმუშავებდენ რევოლიუციონურ საერთო გაფიცვის თეორიას; ერთ-ერთ ამ საერთო გაფიცვის დროს **ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია უნდა მომხდარიყო**, და რასაკვირველია ჟორესისტებმა მალე დაინახეს ამგვარი იდეის სრული წინააღმდეგობა პარლამენტარიზმთან და მალე თავი დაანებეს მა „პარლამენტის უმეტესობა“—აი რა არის ერთად ერთი საშუალება, გაიძახის ეხლა ჟორესი, როგორც უკვე ვსთქვით. „კონფედერაციამ“ კი მთელი თეორია შეჰქმნა საყოველთაო გაფიცვის და მასზედ დაამყარა მთელი თავისი მოქმედება. იგივე მოხდა სხვა ქვეყნებშიდაც. სოციალ-დემოკრატია ყველგან წინა-აღუდგა ამ იდეას. და სხვანაირად არც კი იქმნებოდა. პარტია, რომელიც ინტერნაციონალში და შემდეგ, განსაკუთრებით ციურიხის 1893 წლისა და ლონდონის 1896 წლ. კონგრესებზედ სცდილობდა რაღაც სოციალისტური დიქტატურა, სოციალისტური მთავრობა შეექმნა მთელი ევროპის მუშათა კლასსის კანონიერ გზაზედ დასაყენებლად, ვერ მიიღებდა საყოველთაო გაფიცვას, რომელიც ბოლოს და ბოლოს სრულიად განდევნიდა ლეგალიზმს მუშათა მოქმედებიდამ. ს.-დ—იამ მუშების ჩამოშორება არჩია საერთო გაფიცვას. ასე მოხდა საფრანგეთში, ამერიკაში, ჰოლლანდიაში, ისპანიაში, იტალიისა და ბელგიის ძლიერ ბევრ ორგანიზაციებში. გერმანიაზედ ხომ ლაპარაკიც მეტია: „კონგრესსი არ ყოფილა ისე გერმანიაში, რომ საერთო გაფიცვის ანათემა არ წარმოეთქვას პარტიას. უკანასკნელ ს. დ. საერთაშორისო კონგრესზედაც დაჰგმეს „ანარხისტული“ საყოველთაო გაფიცვა ამსტერდამში, ამავე წლის საფრანგეთის ს.-დ. კონგრესსზედ ლილ-

ში იგი დაჰგმეს აგრეთვე. მაგრამ როცა დაინახეს, რომ მუშები ძლიერ გაიტაცა საყოველთაო გაფიცვამ, როცა დაინახეს რომ საყოველთაო გაფიცვას ნაყოფი მოაქვს, როცა დაინახეს, რომ ს.-დ—ის ჩამოშორებით მუშებს არა დაჰკლებიათ-რა, მაშინ ორი შესანიშნავი მოვლენა მოხდა ს.-დ. ბანაკში. 1) საუკეთესო ს.-დ—ები სინდიკალიზმს მიემხრენ, თუმცა ბევრი ძლიერ პატიოსანი მიზნით კი არა: საფრანგეთში ლაგარდელი, ბერტი და მათი მასწავლებელი სორელი, იტალიაში არტურო ლაბრიოლა, გერმანიაში ფრიდებერგი პირდაპირ გაანარხისტდა, რუსეთშიდაც პოსსემ უღალატა მართლმადიდებლობას და მარცხნივ გადიწია; ფრანგი ბერტი კი რაღაც მარქსისტულ ანარქიზმზედაც ლაპარაკობდა ასე გასინჯეთ!.. 2) ს.-დ —ებმა ბოლოს და ბოლოს მიიღეს „პოლიტიკური საყოველთაო გაფიცვა“. მაგრამ ვნახოთ რა არის ეს ს.-დ—იული „პოლიტიკური გაფიცვა“? ანარხისტების საყოველთაო გაფიცვა, ამბობენ ს.-დ.—ები, უტოპიურია, რადგანაც მათ უნდათ **ყველა** მუშები გაიფიცონ გამოუკლისად,—ეს კი შეუძლებელია, რადგანაც მუშათა კლასსის მხოლოდ უმცირესი ნაწილია შეკავშირებულია, და თუ კი მოსახერხებელია ეს **საყოველთაო** გაფიცვა, მაშინ საყოველთაო გაფიცვა რაღა შუაშია,—სოციალურ რევოლიუციად გადიქცევა მოძრაობაო. პოლიტიკური გაფიცვა კი, როდესაც მუშებს უნდათ დაიცვან თავის პოლიტიკური უფლებანი, ან განაფართოვონ იგინი,—ეს სულ სხვაა, ესა გვრწამსო. მაგრამ ეს არგუმენტი კი არა, პირდაპირი უაზროობაა,—მაპატიეთ ეს სიტყვა. არც ერთი ანარხისტი და სინდიკალისტი არ ამბობს—საყოველთაო გაფიცვა **ყველა** მუშებისა და **ყველა** ქარხნების გაფიცვაა. ეს მგონი უფრო კაუცკისა და პლეხანოვის მოგონილი ჭორია, ვიდრე ანარხისტთა და სინდიკალისტთა „უტოპია“. ის დიდი გაფიცვა, ანარხისტებს რომ უნდათ, სოციალური რევოლიუცია იქმნება, და არა **გაფიცვაო**! დიახ, ამაშიდაც არის საქმე. იმდენად უნდა ივარ-

ჯიშოს მუშათა კლასსმა, ისეთი ძლიერი ორგანიზაციები უნდა შექმნას, იმდენად უნდა იყოს მუშათა კლასსი სწორედ საერთო გაფიცვებით გაჩვეული თვითმოქმედებას, რომ ერთ დროს დიდი საყოველთაო გაფიცვით უნდა **დაიწყოს** სოციალური რევოლიუცია, რომელიც დახასიათდება არსებულ დაწესებულებათა ძალით განადგურებითა და ბურჟუაზიის ექსპროპრიაციით, თორემ სოციალური რევოლიუცია პირში არ ჩაუვარდება პროლეტარიატს არც კანონიერი მოქმედებითა და არც გერმანული პოლიტიკური ქვიეტიზმით. დღეს კი სავარჯიშოდ მუშებს სწორედ საყოველთაო გაფიცვა აქვსთ. ეს არის ვარჯიშობა თვითმოქმედებისა, რომელსაც მუშათა კლასს თავის დღეში ვერ მისცემს პარლამენტარიზმი. დიახ, სოციალური რევოლიუცია **დაიწყება დიდი საყოველთაო გაფიცვით**, და ამ დასაწყისს წინ უნდა უძღოდეს მუშათა თვითმოქმედება მრავალ საყოველთაო გაფიცვებითა და არა პარლამენტარული კანონმდებლობით,—აი რას ვამბობთ ჩვენ. ამგვარ საყოველთაო გაფიცვას ს.-დ—ები უარ-ჰყოფენ. უარ ჰყოფენ აგრეთვე წვრილ რეფორმათა მოპოვებას საყოველთაო გაფიცვით, მაგრამ ამის წინააღმდეგ თვით ფაქტებია, და ამ ბოლოს დროს, სადაც კი გაუუმჯობესებიათ მუშებს თავისი ეკონომიური მდგომარეობა – სწორედ საყოველთაო გაფიცვით. ს.-დ—ებს სწამსთ „პოლიტიკური საყოველთაო გაფიცვა“, ეკონომიურ საყოველთაო გაფიცვას კი ჰგმობენ. მაგრამ განა პოლიტიკური საყოველთაო გაფიცვა პოლიტიკურ რეფორმათა მოპოვების სურვილს არ მოასწავებს? მაშინ ს.-დ--ები ძლიერ ღალატობენ ლოლიკას, რადგანაც პოლიტიკური რეფორმის მოპოვება ყოველთვის უფრო ძნელია, ვიდრე ეკონომიური წვრილი რეფორმისა, მაშასადამე თუ ეკონომიური საყოველთაო გაფიცვა ძნელია, ათასჯერ უფრო ძნელია პოლიტიკური, და ს.-დ—ებიც **სიძნელის** მიზეზით ვერ უარ-ჰყოფენ ეკონომიურ საყოველთაო გაფიცვას. მეორე,—ისევ უნდა განვიმეოროთ, რომ

საყოველთაო გაფიცვისათვის, **ეკონომიურია იგი პოლიტიკური**, საჭიროა მუდმივი რევოლიუციონური ვარჯიში კერძო საყოველთაო გაფიცვებით, და ეს ვარჯიშობა სწორედ უარყოფილია ს. დ—იული პარლამენტარიზმის ნაცვლად. მესამე—ანარხისტები სრულიადაც არა ჰყოფენ უარს პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებას საერთო გაფიცვის საშუალებით, მხოლოდ კი ეს უფლების მოპოვება უნდა იყოს ძველი შეზღუდვის მოსპობა და თანაც თვით მოძრაობის არა შეჩერება ახალი მონობით, არამედ მისი განვითარება. მაგალითად 1902 წელს ბელგიაში დიდი საყოველთაო გაფიცვის დროს, სწორედ სოციალ-დემოკრატებმა უღალატეს გაფიცვას, რადგანაც გაფიცვის შედეგი საყოველთაო ამომრჩევლობითი უფლება უნდა ყოფილიყო მათი ანგარიშით, ანარხისტები კი ქუჩაში იბრძოდენ რევოლიუციის განსაფართოვებლად, და სხვ. რაც თუ გინდ არა სთქვან, ს.-დ—ების მხრივ „პოლიტიკური საყოველთაო გაფიცვის“ მიღებაც დიდი დათმობაა და მასთანაც კრიტიკას ვერ უძლებს; გარდა ამისა ამან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ს.-დ—ები, რადგანაც საყოველთაო გაფიცვა საზოგადოდ და ს.-დემოკრატიული პარლამენტარიზმი სრული წინააღმდეგია ერთიმეორის: ერთია ხალხის თვითმოქმედება, მეორე მთავრობის მოქმედება, და როგორ უნდა აღიარო ერთი, რომ მეორე არ უარ-ჰყო? ამითი აიხსნება ზემოხსენებული არგუმენტების სისუსტე საერთო გაფიცვის წინააღმდეგ ს.-დ—თა მხრივ და მათი „პოლიტიკური გაფიცვა“. ეს კარგად იცოდენ ლაბრიოლამ, ლაგარლელმა, ფრიდებერგმა, პოსსემ, და ზოგიც გულწრფელად, ზოგიც ვინ იცის რამიზნით, პირდაპირ შეუერთდენ საყოველთაო გაფიცვის მომხრეთ და უარ-ჰყვეს „პარლამენტარული კრეტინიზმი“, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უფრო მარქსისტები იყვნენ, ვიდრე ანარხისტები.

ანარხიული საყოველთაო გაფიცვა მართლაც და საშიშა

რი არაფერია. აი მოკლედ თეორია საყოველთაო გაფიცვისა, რომელიც შეიმუშავეს განსაკუთრებით საფრანგეთის სინდიკალისტებმა: თანამედროვე წარმოების მრავალნაირი დარგნი, ამბობენ ისინი, ისე არიან ერთმანეთზედ ვადახლართულნი, აგრეთვე მრეწველობასა და მეურნეობას ისეთი მჭიდრო კავშირი აქვს ერთმანეთში, რომ შეუძლებელია ერთი რომელიმე დიდი წარმოების დარგის დეზორგანიზაცია, რომ ამან არ გამოიწვიოს სხვა მრავალ დარგთა დეზორგანიზაციაც: გაფიცვა, მაგალითად, უმთავრეს სამრეწველო და სამეურნეო დარგთა მუშებისა: რკინის გზებისა, გემზედ მოსამსახურეთა, სანოვაგის მმზადებელ მუშათა, სოფლიდან ჭირნახულის შემომტანთა, სოფლის პროლეტარიატისა, ქვა-ნახშირის მემადნეებისა და სხვ. —გამოიწვევს თითქმის მთელი ნაციონალური წარმოების დეზორგანიზაციასო. ამიტომაც არის საჭირო, რომ ამ წარმოების დარგთა მუშები მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი და, როდესაც საჭირო იქმნება, გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა კაპიტალიზმის დეზორგანიზაციისათვის და რეფორმების ჩამოგლეჯისათვის. მაგრამ რადგანაც შეკავშირებული პროლეტარიატის რიცხვი რაც მეტი იქმნება ისა სჯობია საერთო ბრძოლის გასაწევად, ამიტომ ყოველ სოფელში და ქალაქშია საჭირო შექმნა ცალკე ორგანიზაციებისა, რომლებიც ამთავრეს წარმოების დარგთა მუშებს შეუერთდებიან. მათი საყოველთაო გაფიცვა კი სრულიად შეაჩერებს კაპიტალიზმის მეხანიზმს. მეორეს მხრით—სახელმწიფო რადგანაც დამცველია კაპიტალიზმისა და ჯარი და პოლიცია ყოველთვის კაპიტალისტების მხარეზედ იქმნება, საჭიროა მუშათა შეიარაღება და ტეხნიკური მომზადება, რომ ყოველ შემთხვევაში ჯარსა და პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიონ. თუ კი განსაზღვრული ტერრიტორიის ყოველ კუთხეში მოხდება გაფიცვა და აჯანყება, მაშინ მთავრობა იძულებული იქმნება ჯარი დაანაწილოს და პროლეტარიატს ადვილად შეუძლია მისი და-

მარცხება. თუ მთავრობა სათადარიგო ჯარს შეაიარაღებს, მაშინ წააგებს, რადგანაც ესენი ყველა მუშებია თითქმის, ისინი თვითონ იქმნებიან გაფიცულთა რიცხვში და მაშასადამე ამითი მთავრობა თავის დასაკლავ დანას გამოსჩხრეკს.—იქ სადაც ჯარი შეგროვილია და მათი იმედი არ არის,—დინამიტი და ბომბი პირველი წამალია მათ წინააღმდეგ, რადგანაც მეცნიერება მთავრობის მონოპოლია არ არის. გარდა ამისა ანარხისტებმა დააარსეს შარშან-წინ ანტიმილიტარისტული ინტერნაციონალი. მთელი ევროპა მოიფინა სექციებით, რომელთა საქმეც იქმნება ანტიმილიტარისტული პროპაგანდა ჯარის კაცებში და ახალგაზრდა მუშებში, რომ ბოლოს და ბოლოს სალდათებშიაც გაფიცვებისა და რევოლიუციის დროს პროლეტარიატს საიმედო მეგობრები ჰყავდეს. როდესაც პროლეტარიატის ორგანიზაციები ძლიერი იქმნება,—და ამისათვის დიდი და მუდმივი მზადებაა საჭირო,—როდესაც უმთავრესი წარმოების დარგები მაინც იქმნება მჭიდრო ორგანიზაციებად შეკრული, მაშინ შეიძლება რომელიმე ქვეყანაში გამოცხადდეს საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც შეძლება მოჰყვეს სოციალური რევოლიუციაც, ე. ი. შეიძლება **საყოველთაო გაფიცვით დაიწყოს სოციალური რევოლიუცია.** არავინ არ იცის, როდის დაჰკრავს სოციალური რევოლიუციის ზარი, **მაგრამ მისთვის იდეიური და ტეხნიკური მუდმივი მზადება კი საჭიროა პროლეტარიატისათვის.** აი ეს მზადება, ეს ვარჯიშობაც გამოიხატება ყოველდღიურ ბრძოლაში და რომელიმე ერთი ან რამოდენიმე წარმოების დარგის მუშათა საყოველთაო გაფიცვით. საყოველთაო გაფიცვები ისპანიაში, იტალიაში და ამერიკაში, სადაც ბევრი რეფორმები მოიპოვეს ბრძოლით, მაგალითია ამგვარი მომზადებისა; „საქირაო კანტორების“ მოსპობა საფრანგეთშიც საყოველთაო გაფიცვის საშუალებით საუკეთესო მაგალითია მისი, რომ ანარხისტები „კანონის მოსასპობადაც“ იბრძვიან, ე. ი. **პოლიტიკურ** გაფი-

ცვას აცხადებენ. 8 საათის სამუშაო დღე, პოლიტიკური რეფორმის შემოღება და სხვ. მისაღწევია აგრეთვე საყოველთაო გაფიცვით, რამდენადაც კი შეიძლება ამა თუ იმ დროს გაფიცვა საყოველთაო იყოს. ბოლოს კი დიდი საყოველთაო გაფიცვა, რომლისთვისაც პატარა საყოველთაო გაფიცვებით **ემზადებიან**, იქმნება დასაწყისი სოციალური რევოლიუციისა, რომლის დროსაც მოსპობენ სახელმწიფოს, დაისაკუთრებენ მუშები საწარმოო საშუალებათა და მოაწყობენ წარმოებას. ასე რომ, საყოველთაო გაფიცვა ბევრნაირია: საყოველთაო გაფიცვა წარმოების ერთი დარგისა, რომელიმე მცირე ეკონომიური გაუმჯობესების მოპოვებისათვის, საყოველთაო გაფიცვა რამოდენიმე დარგთა რომელიმე საერთო ეკონომიურ ან პოლიტიკურ რეფორმისათვის, დიდი საყოველთაო გაფიცვა, რომლითაც დაიწყება სოციალური რევოლიუცია. არავინ არ ამბობს საყოველთაო გაფიცვა ნიშნავს ყველა მუშათა გაფიცვას, ან ყველა წარმოების დარგთა გაფიცვასო; სიტყვა „საყოველთაო“ ნახმარებია ჩვეულებრივად,—გამონაკლისები იგულისხმება. მაგალითად, რუსეთშიდაც იყო საყოველთაო გაფიცვები, და ეს იმას ნიშნავს, **ყველა** მუშები **ყველა** წარმოების დარგთა გაიფიცნენ, ან ყველა მუშები ორგანიზაციებში ოყო მოთავსებული? სრულიადაც არა,—და რაღას იძახიან მაშ ბ-ნ ს-დე-ები „ანარხიულ უტოპიაზედ,“ რომდესაც ძლიერ კარგად უნდა იცოდენ, თუ რა არის ეს „ანარხიული უტოპია“? მიზეზი უკვე მოგახსენეთ: საერთო გაფიცვისა და პარლამენტარიზმის შეუთანხმებლობა,—ხან და ხან კი უვიცობა ჩვენი ლიტერატურისა! ამასაც მართლ-მადიდებლობა უკრძალავთ! რჯულის საქმეა,-სინიდისის თავისუფლებაა! ასე ესმისთ დღეს საყოველთაო გაფიცვა სინდიკალისტებს, ასე ემზადებიან ისინი დიდი სოციალური რევოლიუციისათვის,—მუდმივ ბრძოლაში ვარჯიშობით,—რომ რევოლიუციამ მოუმზადებელთ არ მოუსწროსთ და უწინდებურათ აღარ მოსტყუვდნენ. ორგანიზაცია

სოფელთა და ქალაქთა მუშებისა, ორგანიზაცია ცალ-ცალკე ხელობათა, შეერთება ამ ორგვარ ორგანიზაციებისა, კონგრესები და მუდმივი ბჭობა ექსპროპრიაციის შესახებ თვით მუშათა მიერ, კერძო ან საყოველთაო გაფიცვები, როგორც საყოველთაო რეფორმათა მოსაპოებლად და გასაუმჯობესებლად მუშის და გლეხის ხვედრისა, ისე დიდი საყოველთაო გაფიცვის მოსამზადებლად, სოციალური რევოლიუციის დასაწყებად, როდესაც მუშები სამინისტროებში და ქალაქის საბჭოებში კი აღარ გაიქცევიან ადგილების დასაკავებლად და ახალი პოლიციის და ჯარის ხალხის წიინაღმდეგ გასაყვანად, არამედ შიგ ქარხანაში, შიგ სოფელში და ქალაქში დარჩებიან, როგორც წარმოების მცოდნენი მოაწყობენ წარმოებას, როგორც შეგნებული სოციალისტები და რევოლიუციონერები სოციალისტურ საფუძველზე დაამყარებენ ახალ წარმოების წესს,—აი რა არის დღეს სინდიკალიზმის შინაარსი. თვითოეულ ქალაქში და სოფელში მოწყობილი წარმოებიდამ გამოვა მწარმოებელი კომმუნა, და მათი ფედერაცია შეჰქმნის განახლებულ კაცობრიობას. ეს არის იდეალი თანამედროვე თვითმომქმედ მუშათა უმეტესი ნაწილისა მთელს ევროპაში, გარდა გერმანიისა, სადაც მუშა სწორედ ს-დ.-ების კანონიერების წყალობითა და მუშათა უმოქმედობის მიზეზით 10—11 საათს მუშაობს დღეში, და სადაც ნახევარი აბსოლიუტიზმია გამეფებული მიუხედავად მრავალ ს-დ. დეპუტატისა რეიხსტაგში და 3,000,000 ამრჩეველისა!

თანამედროვე პრინციპი მუშათა ბრძოლისა და ორგანიზაციისა ინტერნაციონალის დიდი პრინციპია. ის ბრძოლა რომელიც იყო ინტერნაციონალში სახელმწიფო კოლლეკტივიზმისა (მაშინ სახელები ასე იყო: თავისუფალი კოლლეკტივიზმი (ბაკუნიზმი) და სახელმწიფო კომმუნიზმი (მარქსიზმი), და თავისუფალი კომმუნიზმის შორის, რევოლიუ-

ციისა და პარლამენტარიზმის შორის, დღევანდლამდის მოვიდა. კომმუნიზმმა და რევოლიუციამ სძლია სახელმწიფო კოლლექტივიზმს და ძველ დემოკრატიზმს. ერთი ნაბიჯი კიდევ და ინტერნაციონალი აღსდგება მკვდრეთით მთელი თავისი სიდიადით, გაბრწყინებული და განსპეტაკებული. მაშინ დაეცემა უარესი ზარი პარიზელთა სისხლითა და გერმანელ ს-დ.-თა კანონიერებით დროებით დამშვიდებულ ბურჟუაზიას ლეგალიზმით. საფრანგეთის ბურჟუაზია. უკვე იჩენს მოუთმენლობას და შიშსა გრძნობს. რას მოსწავებდა მაშ მისი გალაშქრება პარიზის შრომის ბირჟის წინაალმდეგ ბ.ბ. ლეპინისა და ექსანარხისტ-სოციალისტ-პოსსიბილისტ ბრუსსის მეთაურობით? აშინებდა მას „კონფედერაციის“ მიერ გადაწყვეტილი (ბურჟის კონგრესსზედ უკანასკნელად) საერთო გაფიცვა 1 მაისს[1]) 1906 წელს 8 საათის სამუშაო დღის მოსაპოვებლად?—მეტი განსაცდელიც უნდა მოელოდეს საფრანგეთის ბურჟუაზიას და მთელი ევროპის ბურჟუაზიასაც. ნუ დაივიწყებენ დიად რუსეთის რევოლიუციას!..

საფრანგეთის სინდიკალიზმი საუკეთესო გამომხატველია ზემოხსენებული თავისუფალი მიმართულებისა მუშათა მოძრაობაში. დღეს მისი ორგანიზაციის პრინციპი—თავისუფალი ფედერაციაა სხვა და სხვა ხელობათა სინდიკატებისა და სხვა-

---

[1]) უნდა შევნიშნოთ, რომ 1 მაისის „უქმე“, რომელიც ამერიკაში სისხლით შეიღება 1886 წელს, ევროპაში მართლაც „უქმედ“ გადიქცა ს-დემოკრატების წყალობით. საფრანგეთში და იტალიაში პეტიციები დაიწყეს 1 მაისს, შემდეგ უბრალო სეირნობა და სიტყვები. გერმანიაში კი მხოლოდ სეირნობა და სიტყვები, თუმცა საფრანგეთშიაც და იტალიაშიაც ბურჟუაზიამ პირველად სისხლით შეჰღება ჟერმინალის დღეები. 1 მაისი საერთო გაფიცვის დღეა, მასზედ ს-დ-ებს არავითარი უფლება არა აქვთ, რადგანაც ეს უტოპიაა მათი აზრით. საფრანგეთის სინდიკატებმა კი მოახდინეს ამ დიადი დღის რეაბილიტაცია თავისი გადაწყვეტილებით, ოცის წლის შემდეგ.

დასხვა ქალაქთა და სოფელთა შრომის ბირჟებისა, ორგანიზაცია—გარეშე სახელმწიფოსი, ბურჟუაზიისა და „პოლიტიკურ პარტიათა“; მათი მეთოდი ბრძოლისა,—პირდაპირი მოქმედებაა, საკუთარი ძალ-ღონით,—განსაკუთრებით საყოველთაო გაფიცვებით, და არა კანონიერებითა და პარლამენტარიზმით; მათი როლი,—შექმნა ნამდვილი, თვითმოქმედი შრომის პარტიისა, რომელმაც სოციალური რევოლიუციით უნდა გარდაქმნას თანამედროვე საზოგადოება; მათი იდეალი,—უსახელმწიფო კომმუნიზმია,—ანუ იგივე—ანარხია. ამნაირი ხასიათის არის დღეს საფრანგეთის სინდიკალიზმი, და ამიტომაც წარმოიდგენს იგი ისეთ დიდსა და უძლიერეს ზნეობრივსა, გონებრივსა და ფიზიკურ ძალასაც, რომლისაც დღეს საფრანგეთის ბურჟუაზიასა და სახელმწიფოს ეშინიათ და ეკრძალვისთ. თანამედროვე სინდიკალიზმის ისტორიული განვითარება შემდეგ ნაირად მოხდა საფრანგეთში. ჩვენ არ შევუდგებით აქ მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიას ყველა იმ პირობათა მიხედვით, რომელთაც გამოიწვიეს მისი შექმნა; ეს ერთი ცალკე, ვრცელი გამოკვლევის საგანს შეადგენს,—ჩვენ მხოლოდ მოკლე ისტორიული მოთხრობით დავკმაყოფილდებით ჯერ-ჯერობით.

დღეს სინდიკალისტების საერთო ორგანიზაციას ეწოდება „შრომის საყოველთაო კონფედერაცია“ (Confédération génerale du Travail). იგი დაარსებულ იყო მონპელიეს კონგრესსზედ 1902 წელს. კონფედერაციის დაარსება მოხდა ორი დიდი მუშათა ორგანიზაციის შეერთებით; ერთი იყო ფედერაცია შრომის ბირჟებისა, რომელიც წარმოადგენდა მუშათა გეოგრაფიულ კავშირთა ფედერაციას,—მაგალითად იყო შრომის ბირჟა პარიზის, ლიონის, ტულუზის, ამიენის და სხვა. ამ ბირჟათა კავშირს ეწოდებოდა „ფედერაცია შრომის ბირჟათა“ (Fédèration des bourses bu Travail). მეორე იყო ფედერაცია სინდიკატებისა, ანუ ძველი კონფედერაცია შრო-

მისა, რომელიც წარმოადგენდა ხელობათა ორგანიზაციების კავშირს; იყო მაგალითად სინდიკატი მეჩექმეებისა, ასოთ-ამწყობთა, მექანიკოსთა და სხვ. ამ სინდიკატთა კავშირს ეწოდებოდა — კონფედერაცია. შრომისა მონპელიეს კონგრესსზედ ესორი ტიპის ფედერაცია შეერთდა აგრეთვე ფედერატიულად და გამოვიდა ამ საერთო ორგანიზაციისაგან დღევანდელი „საყოველთაო კონფედერაცია შრომისა“—Confédération générale du Travail. დღეს მთელი საფრანგეთის სოციალისტური მოძრაობა ამ კონფედერაციაშია მოთავსებული. იგი შეიცავს 700,000 მეტ მუშას, რომელთა შორის უმცირესობა, განსაკუთრებით ასოთ-ამწყობები, უბრალო რეფორმისტებია კეიფერის თაოსნობით, დიდი უმეტესობა კი რევოლიუციონერები ანარხისტების თაოსნობით. ამ უკანასკნელებმა გააბატონეს დღეს „ბაკუნინის სოციალიზმი“ მთელი საფრანგეთის პროლეტარიატის შორის.

განვიხილოთ ცალ-ცალკე, მოკლედ, ისტორია ორივე ორგანიზაციისა,—შრომის ბირჟათა ფედერაციისა და შრომის კონფედერაციისა მათ შეერთებამდის ერთ დიდ კონფედერაციად.

შრომის ბირჟები თავდაპირველად წარმოადგენდენ უბრალო ადგილობრივ სინდიკატთა კავშირს. წევრები შედიოდენ ამ კავშირებში განურჩევლად პარტიულ რწმენათა და ეს იყო მიზეზი მათი განსაცვიფრებელი ზრდისა. გედისტების ორგანიზაციიდამ აგრეთვე ამ ბირჟებში გადადიოდენ მუშები, რადგანაც იქ უფრო იყო დამოუკიდებელი თვითმოქმედების ასპარეზი, და ამან კიდევ უფრო გაზარდა შრომის ბირჟები. მთავრობას ამ შემთხვევაში ორი ტაქტიკა აქვს. ან მოსპობს ხოლმე მძლავრ ორგანიზაციებს, ან და დააკანონებს და დახმარებას გაუწევს მათ, რომ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს; დაამშვიდოს „მღელვარე ელემენტები“. ასე იყო ისტორიის ჟამთა სრბოლაში და ეხლაც იმავე გზას დაადგა მთავრობა:

მან ამ ორგანიზაციებს მისცა სახლები, სუბსიდია და სხვა დახმარებანი. ამასთანავე მოინდომა ეს ორგანიზაციები სავაჭრო ბირჟებს დაემსგავსებინა და ამიტომ უწოდა მას „შრომის ბირჟები“. თითქოს ბირჟებს სხვა ფუნქცია არ უნდა ჰქონოდათ, გარდა მუშა ხელის მოთხოვნისა და მიწოდების მოწყობისა. მაგრამ ამ ბირჟებს ბედმა სულ სხვანაირი ბრწყინვალე მომავალი მოუმზადა. ორგანიზაციები სავსე იყო წმინდა სოციალისტური ელემენტებით, და ვიწრო პროფესიონალურ კავშირთა ფარგალში დარჩენა მათ არ შეეძლოთ. სენტ-ეტიენის კონგრესსზედ 1892 წელს ეს ბირჟები შეერთდენ და შეადგინეს „შრომის ბირჟათა ფედერაცია“. ამავე კონგრესსზედ დაადგინეს მათ: 1) გამოყოფა მუშათა ორგანიზაციებისა სახელმწიფოსაგან, ბურჟუაზიისაგან და პოლიტიკურ პარტიათაგან, მუშათა შეერთება ეკონომიურ ნიადაგზედ, 2) სოციალისტური და რევოლიუციონური ბრძოლა სოციალიზმის იდეალის განსახორციელებლად. „შრომის ბირჟათა ფედერაციებს“ ჰქონდათ შემდეგი კონგრესსები 1895 წლამდე: ტულუზაში 1893 წ., ლიონში 1894 წ., ნისში 1895 წელს და ყველგან იგივე იდეა გაატარეს.

ამგვარად „შრომის ბირჟათა ფედერაცია“ სულ სხვა გზას დაადგა, ვიდრე „სინდიკატთა ფედერაცია“, რომელიც გედისტებით იყო სავსე. ასტყდა საშინელი ბრძოლა ამ ორი განიზაციის შორის. მაგრამ ერთმა ამბავმა პირველად დააახლოვა იგინი. დახურა მთავრობამ პარიზის ბირჟა. მუშებმა საერთო მუშათა კონგრესსი მოიწვიეს პარიზში, 1893 წ. ბევრი რამ გამოირკვა ამ კონგრესსზედ. სხვათა შორის საყოველთაო გაფიცვის კითხვა, რომელიც წამოაყენეს ბირჟებმა, ძლიერ მოეწონათ მუშებს; გედისტებმა იგი უარ-უყვეს, მაგრამ შემდეგ კონგრესსზედ ნანტში 1894 წელს, მუშათა უმეტესობამ მიიღო იგი, და „სინდიკატების ფედერაციამ“ დასტოვა კონგრესის დარბაზი. შემდეგ ეს უკანასკნელი ნელის

სიკვდილით მოკვდა, რადგანაც იგი ს. დ.-ების ხელში იყო, რომელთაც ვერ გაიგეს მუშათა კლასსის ახალი მოთხოვნილებანი.

შრომის ბირჟები ყველა თავის კონგრესებზედ მსჯელობდენ იმ კითხვებზედ, რომელიც პირდაპირ აინტერესებდა მუშათა კლასს, როგორც აწმყოში, ისე მომავალში. შრომის ბირჟების კონგრესსები იმართებოდა ხოლმე იმავე წელს და იმავე ადგილს, როგორც სინდიკატების კონფედერაციისა, (ეს კონფედერაცია სხვა იყო, ვიდრე გედისტების „სინდიკატების ფედერაცია“). — ეს იმ მიზნით, რომ კონფედერაციაც ბირჟების გზაზედ დამდგარიყო. ტულუზის კონგრესზედ 1897 წ. ბირჟებმა აიძულეს კონფედერაცია მიეღო შემდეგი: უნდა ყოფილიყო ერთი საერთო კონფედერაცია, რომელშიდაც შევიდოდნენ: 1) ბირჟათა ფედერაცია, 2) ცალკე სინდიკატთა ფედერაციები, მაგრამ თვითოეულ მათგანს ექმნებოდა სრული ავტონომია. უნდა ყოფილიყო აგრეთვე საერთო კონფედერატიული კომიტეტი. მაგრამ შემდეგ წელს 1898, რენნის კონგრესსზედ საერთო კონფედერაცია ისევ ორ ნაწილად გაიყო და კონფედერაცია ისევ უბრალო სინდიკატების შემაერთებელ ცენტრად გადიქცა. ტურის კონგრესსზედ 1896 წელს შრომის ბირჟებმა განიხილეს თავიანთი როლი მომავალ საზოგადოებაში. ამითი მათ დიდი ნაბიჯი წარსდგეს მომავალი შემოქმედებითი გეგმის შემუშავებაში. ტულუზის კონგრესსზედ 1897 წელს, განიხილეს კითხვა მუშათა ერთი ქალაქიდან მეორეში გადასვლის დროს დახმარების შესახებ. შემდეგ კონგრესსზედ რენნში 1898 წელს ვრცელი გამოკვლევა შეადგინეს სხვადასხვა წარმოების დარგთა მდგომარეობისა სხვადასხვა ადგილას და პროექტი კი აღსრულებაში მოიყვანეს 1900 წელს, პარიზის კონგრესსზედ, როდესაც დაარსეს ცნობათა და სტატისტიკის „ნაციონალური ბიურო“. ამავე კონგრესსზედ შეიმუშავეს კითხვა პროფესსიო-

ნალეტრი აღზრდის შესახებ, შესახებ „შრომის მუზეუმის“ დაარსებისა, და განსაკუთრებით დაჰგმეს პოლიტიკანობა, მილიერანის რეფორმიზმი და უფრო განამტკიცეს თავიანთი რევოლიუციონური სული და სოციალისტური მისწრაფებანი. ამავე კონგრესსზედ გადასწყვიტეს, მთლად გამოჰყოფოდენ სახელმწიფოსა და ბურჟუაზიას, უარ-ეყოთ სუბსიდიები მთავრობისა, და უკვე 1902 წელს, ალჟირის კონგრესსზედ, საბოლოოდ გადასწყვიტეს,—დაევალოს ფედერატიულ კომიტეტს შრომის ბირჟებისათვის სიკუთარი წყაროს გამონახვა, რომ სრულიად დამოუკიდებელი გახდენ სახელმწიფოსაგან და ბურჟუაზიისაგან. საზოგადოდ შრომის ბირჟების კონგრესსებზედ შემდეგი კითხვები ირჩეოდა ხოლმე: 1) საურთი-ერთო დახმარება; 2) განმანათლებელი დაწესებულებანი—ბიბლიოთეკები, მუზეუმები, სკოლები და სხვ. 3) პროპაგანდა. 4) „წინააღმდეგობის“ ორგანიზაცია, 5) საყოველთაო გაფიცვა და სოციალური რევოლიუცია, 6) მომავალი საზოგადოება და შრომის ბირჟები, და სხვ. ეს იყო შეერთება სოციალისტური პრაქტიკისა და და თეორიისა.

„მუშათა სინდიკატების ნაციონალური ფედერაცია“, რომელიც გედმა დააარსა 1887 წელს, და რომელიც ეკუთვნოდა „საფრანგეთის მუშათა პარტიას“ (Parti ouvrier Fraucais), მალე მცკვდა, რადგანაც მხოლოდ სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება სურდა ამ პარტიას და სინდიკატები კი უბრალო ამომრჩეველთა რაზმებად უნდოდა გადაექცია. ამ ფედერაციას ჰქონდა კონგრესსები მონპელიეში 1887 წელს, ბორდოში 1888 წელს, კალეში 1890 წელს, მარსელში 1892 წელს, ნანტში 1894 წელს, და ტრუაში 1895 წელს. ის მუშები, ვინც ეკუთვნოდენ არა გედისტურ ფრაქციებს, მალე წავიდენ, განსაკუთრებით საყოველთაო გაფიცვის კითხვის გამო, და ფედერაციამაც მალე სული დალია.

ეს არის მოკლე ისტორია ამ ორი ფედერაციისა.

ორივე ესენი დიდი მტრები იყვნენ ძველი „შრომის კონფედერაციისა“, რომელიც დაარსებულ იყო ბლანკისტების მიერ 1891 წელში, და რომელშიდაც შეეძლოთ შესვლა ყველა მუშათა ორგანიზაციებს განურჩევლად პარტიულ რწმენათა.

„სინდიკატთა ნაციონალურ ფედერაციის“ სიკვდილის შემდეგ კონფედერაციას ერთი ძლიერი მტერი დარჩა,—შრომის ბირჟები. მაგრამ ეს უკანასკნელები სცდილობდენ კონფედერაცია თავის გზაზედ დაეყენებინათ. როგორცა ვსთქვით, სწორედ ამ მიზნით ჰმართავდენ ისინი ერთსა და იმავე ადგილს და ერთსა და იმავე დროს კონგრესსებს, როგორც კონფედერაცია. ეს უკანასკნელი ბრაფერს არ წარმოადგენდა 1895 წლამდე, რადგანაც მისი წევრები უფრო ბლანკიზმის სიმპატიებით იყვნენ განმსჭვალულნი, მაგრამ როდესაც ლიმოჟის კონგრესსზედ მან მოინდომა ყველა ორგანიზაციების შეკრება, და თანაც სწორედ იგივე რევოლიუციონურ-ანარხიული პროგრამმა მიიღო, როგორიცა ჰქონდათ შრომის ბირჟებს, მაშინ იგი გაიზარდა მუშათა თვალში და მისი გავლენაც თან და თან იზრდებოდა. მან მიიღო სახელ წოდება „შრომის საყოველთაო კონფედერაციისა“, და მოინდომა შრომის ბირჟების მიმხრობაც, მაგრამ შრომის ბირჟებმა არ ისურვეს ეს კავშირი, და კონფედერაციაც მხოლოდ უბრალო სინდიკატთა ცენტრალური ორგანოს როლით დაკმაყოფილდა, როგორც უკვე ვსთქვით. ტულუზის კონგრესსის ცდამაც 1897 წლ. ამ ორი ორგანიზაციის შეერთებისამ უქმად ჩაიარა. მას შემდეგ კონფედერაციამ მოჰკიდა შრომას ხელი, და დაადგა რა 1895 წლიდამ თვითმოქმედების გზას, დიდი უნარი გამოიჩინა მუშათა შეერთებაში. პარიზის კონგრესსმა 1900 წლისა ეს ნათლად დაამტკიცა და დაანახვა მთელი საფრანგეთის პროლეტარიატს, რომ მას შეუძლია მართლაც მთელი საფრანგეთის პროფესსიონალური კავშირების ერთ დიდ კავშირად შეკვრა.

ლიონის კონგრესსმა 1901 წელს კიდევ უფრო განამტკიცა კონფედერაციის ძალა. მან უკუ-აგდო ყოველივე დახმარება მთავრობისა, უკუ-აგდო მილიერანის პროექტი მუშათა პენსიისა, დაჰგმო რეფორმიზმი და აშკარად გამოვიდა რევოლიუციონურ გზაზედ. ამ დროს ნისში იყო კონგრესსი შრომის ბირჟათა. კონფედერაციამ აღიარა ერთხელ კიდევ, რომ მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა მიერ უნდა მოხდესო. შრომის ბირჟებს ეს კაი ხანია გამჯდარი ჰქონდათ ძვალსა და რბილში. და ამ ორმა ორგანიზაციამ ეხლა კი გადასწყვიტეს შეერთება. გეგმა ბირჟებმა შეიმუშავეს. გადასწყვიტეს 1902 წ. მონპელიეში მოეხდინათ საგანგებო კრება შეერთებისათვის. როგორც მკითხველმა უკვე იცის, ამ კონგრესსზედ დაარსდა ეხლანდელი „საყოველთაო კონფედერაცია შრომისა“. ახალი კონფედერაცია დაემყარა შემდეგ სტატიებზედ: 1) ორგანიზაციას მიზნად აქვს შეაკავშიროს ყველა დაქირავებული მუშები 2) მიზნად აქვს სოციალური რევოლიუცია,—ე. ი. მოსპობა კლასსთა—მყვლეფელთა და ბატყვლეფილთა. 3) ბრძოლა, რომელსაც გასწევს კონფედერაცია, უნდა ხდებოდეს გარეშე ყოველივე პოლიტიკურ სკოლათა.— ორგანიზაციაში შეუძლიათ შევიდენ: 1) ნაციონალური ფედერაცია მრეწველობათა და ხელობათა (ე. ი, ძველი კონფედერაცია). 2) შრომის ბირჟათა ფედერაცია. 3) ცალკე სინდიკატები, რომელთაც ჯერ ფედერაციები არა აქვსთ, ან რომელთა ფედერაციები ჯერ არ შესულან დიდ საერთო ორგანიზაციაში. „საყოველთაო შრომის ფედერაცია“ იყოფა ორ სექციად, — რომელნიც სრული ავტონომიით სარგებლობენ: 1) სექცია სხვა და სხვა პროფესიონალურ, სამრეწველო და სხვა სინდიკატთა. 2) სექცია შრომის ბირჟათა ფედერაციისა. შრომის ბირჟებს ისევ დარჩათ სრული ავტონომია და თავიანთ საკუთარ საქმეებზედ მოსალაპარაკებლად ცალკე კონგრესსთა გამართვის უფლებაც

პირველი სექციის მოვალეობა არის საზოგადოდ სოციალიზმის პროპაგანდა, ორგანიზაცია საერთო მუშათა პარტიად მთელი პროლეტარიატისა, მეორეს კი ძველი ფუნქციები შერჩა. კონფედერაცია არ ერევა სექციათა შინაგან საქმეებში. სექციებს შეუძლიათ სრულიადაც არ მიიღონ კონფედერაციის წინადადებანი. ყველა ეს ძლიერა ჰგავს ინტერნაციონალის ორგანიზაციას, სადაც აგრეთვე თვითოეული სექცია სრული და-მოუკიდებელი იყო.

1904 წელს ბურჟში პირველად მოხდა შეერთებული პროლეტარიატის კონგრესსი. სწორედ ამ წელსავე იყო ამსტერდამში საერთაშორისო კონგრესსი სოციალისტთა,—პოლიტიკან-სოციალისტთა ვიტყვით ჩვენ. საინტერესოა შინაარსი ამ ორი კონგრესსისა. განსხვავება ამ ორ შინაარსის შორის პირდაპირ გვიჩვენებს საერთაშორისო სოციალიზმის ორ მოწინააღმდეგე მიმართულებას. მაშინ როდესაც ამსტერდამის კონგრესსზედ ერთი კითხვაც არ იყო დაყენებული სოციალიზმთან კავშირის მქონე; მაშინ როდესაც ამ კონგრესსზედ საყოველთაო გაფიცვის შესახებ ყოვლად უაზრო და სასაცილო რეზოლიუცია გამოიტანეს, მთელმა კონგრესსმა კი ორესიზმისა და მართლმადიდებლობის ბრძოლაში გაიარა, ბურჟის კონგრესმა ნამდვილი სოციალისტური კითხვები წამოაყენა, განმეორებით აღიარა თავისი იდეალი, დაამარცხა რეფორმიზმი, განამტკიცა საყოველთაო გაფიცვის ტაკტიკა და მოიწადინა მისი პრაქტიკულად გამოყენება 8 საათის სამუშაო დღის მოსაპოვებლად. კონგრესსმა გადასწყვიტა 1906 წელს, 1 მაისს დაეწყო საყოველთაო გაფიცვა და ამ საშუალებით 8 საათის სამუშაო დღის მოპოება. მართლაც შიშის ზარი დაეცა ბურჟუაზიას 1 მაისს 1906 წელს. უკანასკნელი 288,000 კაცი გავიდა პარიზიდან შიშით, პატენის სანოვაგის მაღაზიებმა 4,000,000 კონსერვის კოლოფი გაჰყიდეს. მაგრამ გაფიცვამ ვერაფერი მოახდინა დიდი. მთელი ჯარი ფეხზედ დადგა,—

დაიჭირეს მრავალი კაცი. თუმცა მთელ საფრანგეთს მოედვა გაფიცვა, მაგრამ მუშებმა მიზანს ვერ მიაღწიეს: არ დამტკიცდა საფრანგეთში 8 საათის სამუშაო დღე საზოგადოდ. მაგრამ მიუხედავად ამისა პროლეტარიატმა ისეთი სოლიდარობა გამოიჩინა, ისეთი ძალა ორგანიზაციისა, რომ ცოტა კიდევ,— და იგი მართლაც საშინელ სოციალურ ძალას წარმოადგენს, რომელიც წაჰლეკავს თანამედროვე საზოგადოებრივ ორგანიზაციას და შეჰქმნის ახალს: კონფედერაცია ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მას ზრდა უნდა, და იგი იზრდება თანდათან. იგი იმგვარ გზაზეა დამდგარი, რომ არ შეუძლია არ იზარდოს, მას იმნაირი შინაარსი აქვს, რომ არ შეიძლება მიზანს არ მიაღწიოს. მხოლოდ დრო და მუშაობაა საჭირო. 1906 წლის გაფიცვის დამარცხება გულ-გასატეხი არ არის, იგი აგრეთვე უბრალო ვარჯიშობა იყო, და ბურჟაზიისათვის ამგვარი გამარჯვება მხოლოდ პირრის გამარჯვებაა და სხვა არაფერი. და რომ სინდიკალისტებს მართლაც არ გასტეხიათ გული, სწორედ ამას ამტკიცებს უკანასკნელი მათი კონგრესი. აქ მათ კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი იდეალი და ბრძოლის ტაქტიკა. ბაკუნინის იდეებმა გაიმარჯვეს საფრანგეთშიო, ამბობენ, და ეს სრული ჭეშმარიტებაა.

საყურადღებო ის არის, რომ როდესაც ისედაც პატარა პარტიებმა,—გედისტებმა, ჟორესისტებმა, ალემანისტებმა, და ბლანკისტებმა დაინახეს, რომ მუშები მათ ჩამოშორდნენ და სინდიკატებში შევიდნენ,—მოინდომეს თვით კონფედერაციის დაღუპვა და პოლიტიკისაკენ ხელ-მეორედ მობრუნება. ჯერ იყვირეს რომ პროფესსიონალური კავშირები ბურჟუაზიული ორგანიზაციებიაო, მაგრამ არც ისე სულელი იყო ვინმე რომ მოეტყუებიათ: სინდიკატები ინტერნაციონალის პროგრამმას დაუბრუნდენ, ნამდვილს რევოლიუციონურსა და სოციალისტურს, თვით ამ ვაჟბატონებმა კი დემოკრატიზმი,—„არჩევნები“ მონათლეს სოციალიზმად, და აბა ვინ დაუგდებდა ყურს

მათ უძლურ წკნავილს. შემდეგ, როცა დაინახეს რომ სინდიკალიზმი იმისთანა ძალად გახდა საფრანგეთში, რომ მთელი სოციალიზმის მატარებლად შეიქმნა და ყურადღებასაც აღარ აქცევს მათ ყვირილს, მოინდომეს შიგნიდან ციხის გატეხა, მაგრამ სასტიკად დამარცხდენ ამიენში წლეულს. მგონი აწი საუკუნოდ დაჩუმდებიან, ან და გულწრფელად აღიარებენ თავიანთ შეცდომას და ორში ერთს იზამენ: ან ბურჟუაზიას მიეკედლებიან, ან სინდიკალიზმს. როგორც შარშანწინ ბურჟში რეფორმიზმი დამარცხდა თვით მუშათა შიერ, ისე წლეულს პარლამენტარიზმს მიარტყეს საბოლოოდ სამარცხვინო ჭიტლაყი თვით მუშებმა აგრეთვე,—და ჩვენის ფიქრით 1906 წელი უნდა ჩაითვალოს საფრანგეთში ნამდვილი სოციალური რევოლიუციის პარტიის გამოსვლის დასაწყისად. ტრაბახში ნუ ჩამოგვართმევენ, და ანარხისტების საქმე იყო უმეტეს ნაწილად ამ პარტიის შექმნა და ორგანიზაციაა. ინტერნაციონალის იდეა ჩვენ შევინახეთ. შრომის ბირჟებში ჩვენ ვმოქმედობდით და გამოვგლიჯეთ ხელიდან ბურჟუაზიას. ანარხისტი პელუტიე იყო სულის ჩამდგმელი 1892 სენტ-ეტიენის კონგრესისა, რომელზედაც შეერთდენ შრომის ბირჟები ანარხიული პროგრამმით. ჩვენ ვმუშაობდით სინდიკატებში და ძველ კონფედერაციაში. ლიმოჟის კონგრესზედ 1895 წელს ჩვენი რეზოლიუციები გადიოდა. ანარხისტი პუჟე იყო აგრეთვე სულის ჩამდგმელი მონპელიეს კონგრესისა 1902 წელს და დღეს იგივეა სხვა ჩვენ ამხანაგებთან ერთად მთელი კონფედერაციის სული და დიდი იდეიური ძალა. ჩვენი პროგრამმა მიიღო დღეს მთელმა კონფედერაციამ, და ამიტომაც მოგვაგონებს იგი ბაკუნინის ინტერნაციონალს, ამიტომ გვგონია ჩვენ, რომ სინდიკალიზმი ყველგან, და განსაკუთრებით საფრანგეთში ნამდვილი მკვდრეთით აღდგომაა ინტერნაციონალისა, განგრძობაა ამ დიდებული ასოციაციისა.

უვიცი კაცი დღესაც განცვიფრდება ხოლმე: როგორ! სად

„პროფესსიონალური კავშირი“ და სად სოციალიზმიო! მათ მაშინვე მოაგონდებათ ხოლმე ინგლისის ტრედ-იუნიონები და გერმანიის უსიცოცხლო პროფესსიონალური კავშირები; მათ საფრანგეთისა და სხვა ლათინთა ქვეყნების სინდიკალიზმი და ტრედ-იუნიონიზმი ერთი და იგივე ჰგონიათ, მაგრამ ამით ერთისაც და მეორის უვიცობას ამტკიცებენ. ლაგარდელის სიტყვით*), სინდიკალისტთა მიზანია დღეს ჩამოართვან სახელმწიფოს ყველა ფუნქციები, რომელიც მუშათა კლასს ეხება, და გადასცენ იგინი სინდიკატებს, რომელიც მუშათა მოძრაობის ორგანოა. და განა მარტო ეს არის მათი მიზანი? მათი მიზანია სრულიად მოსპობა კლასსთა და ყველა სახელმწიფო-ძალ-დატანებით ფუნქციათა, მათი მიზანია თავისუფალი კომუნიზმის საფუძველზედ მოწყობა მომავალი წარმოებისა. მათი საშუალებაა სოციალური რევოლიუცია, ძალ-დატანებითი რევოლიუცია, და იარაღი, მეთოდი ბრძოლისა—დიდი საყოველთაო გაფიცვა, რომელიც აშკარა სამოქალაქო ომად უნდა გადიქცეს.

შესწყდა ყოველივე კავშირი მტერთან, მუშათა შეგნებამ, ორგანიზაციამ და თვითმოქმედებამ ნამდვილად ჩაუყარეს საფუძველი მომავალ საზოგადოებას. როგორც უწინ ინტერნაციონალის ორგანიზაცია, ისე თანამედროვე სინდიკალური ორგანიზაცია ეთანხმება თვით მომავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის იდეალს. მუშათა კლასსი დღეს, საფრანგეთში განსაკუთრებით, ნამდვილი განთავისუფლების გზაზეა დამდგარი, იგი ჯერ მეტ ძალას იკრებს, და საკმარისია საბოლოო ბრძოლა, la lutte finale, როგორც ფრანგები ამბობენ, რომ მართლაც ინტერნაციონალური გახდეს კაცობრიობის ცხოვრება,

---

*) ამ შოკლე ისტორიულ მოთხრობაში ჩვენ სხვათა შორის ვსარგებლობდით ლაგარდელის სტატიებით, რომელიც დაიბეჭდა **Mouvement SOcialiste**-ში, სინდიკალიზმზედ.

მოისპოს საზღვრები, რომელნიც პირდაპირ დაახასიათებენ საჴელმწიფოს. მწარმოებელს, ასოციაციას, ერს—ყველას ჰქონდეს თავისი საკუთარი თავისუფლება და კომმუნისტური წარმოებით იკმაყოფილებდეს ყველა თავის მოთხოვნილებათა, ვითარდებოდეს ინტეგრალურად.—დაწვრილებითი ისტორია სინდიკალიზმისა—შემდეგისათვის.

3.8